# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 15 მარტი, 1998 წელი. №61 (2761)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ – 45 თეთრი.


**პერსპექტივა**

## ახალი შტრიხი

14 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ფრანგული კომპანიების „შარლ ობერტურისა“ და „კასტელის“ წარმომადგენელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შალვა გედევანიშვილი.

იმსჯელეს ფრანგული მხარის მონაწილეობით თბილისში ახალი ლუდის ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

# თურქეთის სახით საქართველოს ძლიერი და სანდო მეგობარი ჰყავს

## გუშინ დასრულდა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მესუთ ილმაზის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში

14 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო თურქეთის პრემიერ-მინისტრი მესუთ ილმაზი, დელეგაციის წევრები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გულთბილად მიესალმა სტუმრებს და განაცხადა, რომ ეძლევა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ გამოხატოს ქართველი ხალხის პატივისცემა თურქი ხალხის მიმართ, ვინაიდან პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პარტია და დაჯგუფება, განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, ერთნაირად დარწმუნებულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი თანამშრომლობა თურქეთთან. პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები თავიანთ ძალისხმევას მოახმარენ საპარლამენტო დონეზე ისეთივე აქტიურ თანამშრომლობას, როგორიც მთავრობებს შორის არის დამყარებული.

ბატონმა მესუთ ილმაზმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და თურქეთის კავშირურთიერთობა სწრაფი ტემპით ვითარდება და ეს სხვა ქვეყნებისათვის სამაგალითოა.

„ჩვენ საქართველოს აღვიქვამთ როგორც სტრატეგიულ პარტნიორს და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მომავალშიც განვავრძოთ ეს კავშირურთიერთობა“, – განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა. ამ მხრივ ძალზე სასარგებლო იყო გასულ თვეში საქართველოს პარლამენტის თურქეთის დიდ ეროვნულ მეჯლისთან მეგობრობის ჯგუფის ვიზიტი თურქეთში. კავშირურთიერთობის გაღრმავებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი თურქეთში, რომელიც მაისშია დაგეგმილი.



თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა საქართველოს პარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

იხ. მე-2 გვ.

## ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

14 მარტს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს 1998 წლის 19 მარტს მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს პოზიციის შესახებ.

ეროვნული უშიშროების საბჭომ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლებას დღემდე არ გამოუთქვამს თავისი დამოკიდებულება იმ ტერორისტთა მიმართ, რომლებმაც განახორციელეს საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმა 1995 წლის 29 აგვისტოს და 1998 წლის 9 თებერვალს, მხილებულნი არიან სხვა მძიმე სახელმწიფოებრივ დანაშაულში და რომლებმაც თავშესაფარი პოვეს რუსეთში, კერძოდ კი, ქალაქ მოსკოვში.

უშიშროების საბჭომ ცნობად მიიღო საქართველოს პრეზიდენტის განცხადება იმის თაობაზე, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მოსკოვის სამიტის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ მოგვიანებით მიიღებს.

**დაჯილდოება**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 7 მარტი ქ.თბილისი

ვ. გრიგალაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო ორგანოებში ნაყოფიერი მოღვაწეობისა და საქართველოს ქალთა საბჭოში აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი **ვარვარა გრიგალაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

**კონტაქტები**



საქართველოს სამხედრო აკადემიაში.

**დღეს**

### ამინდი



*თბილისში:* ცვალებადი მოღრუბლულობა, ჩრდილო დასავლეთის ქარი 10-12 მეტრი წამში.

*ღამით:* +6+8.

*დღისით:* +15 +17.

**აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი**

გაეროს უშიშროების საბჭო:

## აფხაზეთში დაგეგმილ არჩევნებს არანაირი კანონიერი საფუძველი არ გააჩნია

საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ გაეროში მიმართა უშიშროების საბჭოს აფხაზეთის რეგიონში დაგეგმილი ეგრეთ წოდებული არჩევნების შეფასების აუცილებლობის თაობაზე.

იხ. მე-5 გვ.

## საქმიანი თანამშრომლობის გაღრმავებისთვის საჭირო კლიმატი ჩამოყალიბდა

გუშინ გაუწყეთ, რომ 13 მარტს თბილისის სასტუმრო „შერატონ-პალასის“ საკონფერენციო დარბაზში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მესუთ ილმაზმა ორი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს სიტყვები წარმოთქვეს.

დაპირებისამებრ გთავაზობთ მათ გამოსვლებს.

იხ. მე-4 - 5 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№61, კვირა, 15 მარტი, 1998 წელი.

# თურქეთის სახით საქართველოს ძლიერი და სანდო მეგობარი ჰყავს

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ დაადასტურა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოსა და თურქეთს შორის სრულიად უნიკალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში პრაქტიკულად არც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხისადმი არ გვქონია განსხვავებული მიდგომა. დიდად ვაფასებთ იმ გარემოებასაც, თქვა შემდეგ ბატონმა ზურაბ ჟვანიამ, რომ ისეთ უმნიშვნელოვანეს პროექტზე, როგორიც არის კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება, ჩვენს ქვეყნებს ერთიანი პოზიცია აქვთ. ეკონომიკური კონტაქტების გაღრმავებასთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარე ორ ქვეყანას შორის ნდობის პოლიტიკის გააქტიურებასაც გულისხმობს, ესაა საზღვრების დაცვის საკითხი, სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში თანამშრომლობა და სხვა. „მოხარული ვიქნებით, თუკი თურქეთი უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჩვენი პრობლემების, უწინარეს ყოვლისა, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში, — მიმართა სტუმარს ბატონმა ზურაბ ჟვანიამ, — ვინაიდან, თუ ლაპარაკია მშვიდობიან და სტაბილურ კავკასიაზე, ამ თვალსაზრისით აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესია. შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის მშვიდობის გასაღები მთელ კავკასიაში და ამ საკითხის მოუგვარებლობა სეპარატიზმის დაუსჯელობისადმი მხარდაჭერა იქნება“.

დელეგაციის წევრებმა, რომელთა შორის მრავლად იყვნენ წარმოდგენილი თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის დეპუტატები, აღნიშნეს, რომ ბოლო ხანს სასიამოვნო ცვლილებებია ორი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების ურთიერთობაში.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საპატიო სტუმარს თურქეთში მიწვევისათვის. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა საქართველოს პარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

* * *

იმავე დღეს თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მესუთ ილმაზმა და საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა დაათვალიერეს საქართველოში თურქეთის საელჩოს ახალი შენობა, რომელიც ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარეობს. ახლა ამ სამსართულიან სახლში სარემონტო სამუშაოები წარმოებს. სტუმრებს ახლდა და ახსნა-განმარტებებს აძლევდა თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში თევფიქ უფუკ ოქიაუზი. წლეულს აქ შესრულდება ყველა საჭირო სამუშაო და საელჩო ახალმოსახლეობას იზეიმებს.

* * *

გულთბილად შეხვდნენ მეგობარი თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში. საპატიო სტუმარს თურქულ ენაზე მიესალმა ცენტრის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, რომელმაც ამცნო დამსწრეთ, რომ ბატონი მესუთ ილმაზი ცენტრის უცხოელ საპატიო წევრადაა არჩეული და მას შესაბამისი დიპლომი გადასცა. სხვადასხვა დროს ეს წოდება მიენიჭათ ისეთ თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეებს, როგორებიც არიან ზბიგნევ ბჟეზინსკი, ჯორჯ შულცი, ჯეიმს ბეიკერი, სულეიმან დემირელი, ბუტროს ღალი და სხვები.

ბატონმა მესუთ ილმაზმა მადლობა გადაიხადა ასეთი დიდი პატივისათვის და მოკლედ ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ემყარება მისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა. — თურქეთის მიზანია, — თქვა მან, — გააღრმავოს რეგიონში ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობანი, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა ააგოს ჯანსაღ საფუძველზე, თავისი წვლილი შეიტანოს რეგიონში არსებული რესურსების, სავაჭრო და ეკონომიკური პოტენციალის ყველა ქვეყნის კეთილდღეობისათვის გამოყენების საქმეში. ამასთან დაკავშირებით მან მაღალი შეფასება მისცა ამიერკავკასიაში ნავთობსადენების, სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობის პროექტების რეალიზაციას, რომლებმაც საფუძველი უნდა შეუქმნას რეგიონში მყარ სტაბილურობას.

* * *

ბატონმა მესუთ ილმაზმა მონაწილეობა მიიღო დავით აღმაშენებლის პროსპექტზე ავიაკომპანიის „თურქეთის ავიახაზების“ წარმომადგენლობის გახსნის ცერემონიაში. აქ ყველა პირობაა შექმნილი, რათა მგზავრებს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოემსახურონ. წარმომადგენლობა თავის წვლილს შეიტანს ავიაციის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში, მით უმეტეს, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის შესაბამისი ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია.

* * *

ამიერიდან საქართველოში თურქეთის ერთ-ერთი უდიდესი ბანკის „ემლაკის“ წარმომადგენლობა იქნება. ფილიალის საწესდებო კაპიტალი 5 მილიონ ლარს შეადგენს. ბანკის საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტებია სასწრაფო და უვადო ანაბრების მიღება, კრედიტების გაცემა, მოძრავი და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სადაზღვევო საქმიანობის განხორციელება და სხვა. ბანკის გახსნის ცერემონიას დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მესუთ ილმაზი. მათ დაათვალიერეს ფილიალის შენობა, ესაუბრნენ მის თანამშრომლებს.

* * *

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში პირველი უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი სულ რამდენიმე წელია არსებობს, აკადემიას უკვე აქვს თავისი ტრადიციები. 14 აგვისტოს აკადემიის მსმენელები და მასწავლებლები მასპინძლობდნენ საპატიო სტუმრებს — თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს მესუთ ილმაზს, საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, მათ თანმხლებ პირებს. ქართული არმიის მომავალმა ოფიცრებმა მაღალი სტუმრების პატივსაცემად საზეიმო მარშით ჩაიარეს. ედუარდ შევარდნაძემ და მესუთ ილმაზმა დაათვალიერეს აკადემიის სასწავლო კორპუსები.

* * *

საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მესუთ ილმაზის ოფიციალური ვიზიტის დასასრულს, „კრწანისის“ სამთავრობო რეზიდენციაში, მხარეებმა გააფორმეს კიდევ ერთი დოკუმენტი „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობების ერთობლივი განცხადება ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“. დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით ზუბიტაშვილმა და თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ჯემჰურ ერსუმერმა.

**(ერთობლივი განცხადების ტექსტი ქვეყნდება — იხ. მე-3 გვ.).**

* * *

„ბავშვებისათვის ბედნიერების მინიჭება ჩემთვის უპირველესი საზრუნავია“, — განაცხადა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მეუღლემ ქალბატონმა ბერნა ილმაზმა 14 მარტს წყნეთის უდედმამო ბავშვთა სახლში სტუმრობისას.

ქალბატონმა ბერნა ილმაზმა დაათვალიერა ბავშვთა სახლის ტერიტორიაზე არსებული სამი საცხოვრებელი კოტეჯი, სადაც სამიდან 12 წლამდე ასაკის 109 უდედმამო ბავშვი ერთ ოჯახად ცხოვრობს. სტუმარი გულთბილად გაესაუბრა სახლის პატარა ბინადართ, რომლებმაც მას თვითშემოქმედების კონცერტი გაუმართეს.

„ყოველი ასეთი დღე წარუშლელი დარჩება ბავშვების მეხსიერებაში“, — აღნიშნა უდედმამო ბავშვთა სახლის დირექტორმა მანანა წილოსანმა.

ქალბატონმა ილმაზმა სახლის აღსაზრდელებს კვების პროდუქტები, სამედიცინო დანიშნულების საგნები და ხუთი ათასი დოლარი გადასცა საჩუქრად.

იმავე დღეს ქალბატონმა ბერნა ილმაზმა დაათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ეწვია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებს, სადაც გაეცნო ჩვენი ქვეყნის უმდიდრეს კულტურულ და ისტორიულ საგანძურს.

* * *

14 მარტს, დღის მეორე ნახევარში, საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი თურქეთის პრემიერ-მინისტრი მესუთ ილმაზი სამშობლოში გაემგზავრა.

თბილისის აეროპორტში საპატიო სტუმარი და მისი მეუღლე გააცილეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და ქალბატონმა ნანული შევარდნაძემ.

გამცილებელთა შორის იყვნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, სხვა ოფიციალური პირები.

**საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები.**



საქართველო-თურქეთის ერთობლივ დოკუმენტზე ხელმოწერის დროს.



აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის საპატიო წევრის დიპლომის გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე.

დოკუმენტები

# ერთობლივი განცხადება

საქართველოს პრეზიდენტის, მისი აღმატებულება ბატონ ედუარდ შევარდნაძის მოწვევით, თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, მისი აღმატებულება ბატონი მესუთ ილმაზი 1998 წლის 13-14 მარტს ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში.

თურქეთის პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით დელეგაციებს შორის მეგობრულ, ურთიერთგაგებისა და გულწრფელ ატმოსფეროში გამართულ შეხვედრებზე მრავალმხრივ განიხილეს თურქეთ-საქართველოს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების გზები. საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობის განმტკიცებას, რომელმაც თავისი სიღრმით დიდი მნიშვნელობა შეიძინა. დეტალურად განიხილეს რეგიონული და გლობალური საკითხები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:

მხარეებმა დაადასტურეს მტკიცე სწრაფვა მიმართული ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისაკენ და ხაზი გაუსვეს, რომ ეს თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სტაბილურობის განმტკიცებას კავკასიაში და შექმნის ახალ შესაძლებლობებს რეგიონული თანამშრომლობისათვის.

მხარეებმა აღნიშნეს რა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივის „მშვიდობიანი კავკასია" დიდი მნიშვნელობა, გადაწყვიტეს თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერება კავკასიის მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის რეგიონად გადაქცევისათვის.

მხარეებმა დაადასტურეს თავისი ერთგულება გაერთიანებული ერებისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ძირითადი ფასეულობების, მიზნებისა და პრინციპებისადმი, გამოთქვეს თავისი მზადყოფნა, კვლავაც მიმართონ ერთობლივი ძალისხმევა კავკასიაში საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და კანონიერების დასამკვიდრებლად და მოუწოდებენ სხვა რეგიონის ქვეყნებს ამ მიმართულებით ერთობლივი მოღვაწეობისაკენ.

მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს მათი მხარდაჭერა ყველა რეგიონული კონფლიქტის, მათ შორის, აფხაზეთის საკითხის, მშვიდობიანი გზებით გადაჭრისადმი, სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის პრინციპების გათვალისწინებით.

მხარეებმა გამოხატეს ურყევი ნება, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული საზღვარი გადაიქცეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და მშვიდობის საზღვრის ნიმუშად სხვა ქვეყნებისათვის და გამოხატეს თავისი მზადყოფნა სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის გააქტიურების მიზნით სახელშეკრულებო ბაზის კიდევ უფრო გაფართოების შესახებ.

მხარეებმა მიაღწიეს პრინციპულ შეთანხმებას, რომ განავითარონ ნდობისა და უსაფრთხოების ზომების განხორციელება, რათა ერთობლივი წვლილი შეიტანონ ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცების, რეგიონული სტაბილურობისა და უსაფრთხოების გაძლიერების საქმეში და სამხედრო სფეროში გამჭვირვალობის ატმოსფეროს დამკვიდრებაში.

მხარეები შეეხნენ ბოლო წლებში განსაკუთრებულად გამწვავებულ საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემას, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის, სტაბილურობისა და დემოკრატიული განვითარებისაკენ მიმართულ ძალისხმევას.

მხარეები ორმხრივი თანამშრომლობის გააქტიურებასთან ერთად, მოუწოდებენ საერთაშორისო თანამეგობრობას უფრო მჭიდრო და ქმედითი თანამშრომლობისაკენ ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში, რომელიც საფრთხეს უქმნის რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

გაუსვეს რა ხაზი იმ მნიშვნელობას, რაც კასპიის ზღვისა და შუა აზიის ენერგორესურსების მილსადენებით მსოფლიო ბაზარზე გატანას ენიჭება, მხარეებმა განაცხადეს, რომ ამ პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს საერთო კეთილდღეობის ზრდასა და პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებას რეგიონის ქვეყნებში.

ითვალისწინებენ რა იმ დიდ მნიშვნელობას, რაც აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფნის ქვეყნებს ენიჭება, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და საქართველოზე გავლით თურქეთში ბუნებრივი გაზის მილსადენებით ტრანსპორტირების საკითხებში საქმიანობისას, მხარეებმა დაადასტურეს თავისი მზადყოფნა, მჭიდროდ ითანამშრომლონ და ძალისხმევა არ დაიშურონ ორმხრივი და მრავალმხრივი კონტაქტების, საჭირო შეთანხმებების გაფორმების მეშვეობით, დღის წესრიგში არსებული პროექტების სწრაფად განსახორციელებლად, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოწვევით ნავთობისა და ბუნებრივი აირის მილსადენებით ტრანსპორტირების საკითხებთან დაკავშირებით აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთის, თურქმენეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ა. წ. 1-2 მარტს სტამბოლში შეხვედრის დროს მიღებული განცხადების პრინციპების საფუძველზე.

მხარეებმა გამოთქვეს სურვილი, რათა დაწქარდეს თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის, როგორც ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელოვანი ნაწილის, პროექტირებისა და მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.

მხარეები შეთანხმდნენ ტრაბზონ-თბილისის საჰაერო ხაზის გახსნის თაობაზე, ამასთანავე, მათ მიიღეს გადაწყვეტილება თურქეთ-საქართველოს შორის მესამე სასაზღვრო გადასასვლელის ჩილდირ-აქთაშის გახსნასთან დაკავშირებული სამუშაოების დაჩქარების შესახებ და განაცხადეს, რომ ითანამშრომლებენ ახალი სასაზღვრო გადასასვლელის ჩილდირ-ახალქალაქი-თბილისის საავტომობილო გზის მონაკვეთის საძიებო სამუშაოების წარმოებაში.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები 1944 წელს სამხრეთ საქართველოს მესხეთის რეგიონიდან დეპორტირებულ მოქალაქეთა დაბრუნებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ და შეთანხმდნენ გააგრძელონ კონსულტაციები ამ საკითხზე.

ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარების მიზნით, არასერტიფიცირებული საქონლის შესვლის აღსაკვეთად მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორი ქვეყნის საბაჟო და საგადასახადო სამსახურებს შორის თანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობას და აღნიშნეს, რომ ამ მიზნით თურქეთის მხარე ახლო მომავალში მოაელენს დელეგაციას საქართველოში.

მხარეებმა გადაწყვიტეს უმოკლეს ვადაში მესამე შეხვედრის გამართვა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულების საბოლოო განხილვის მიზნით.

მხარეებმა გადაწყვიტეს საქართველოსა და თურქეთში კულტურული ცენტრების ერთობლივად გახსნა.

მხარეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებს შავი ზღვის რეგიონის მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის რეგიონად გადაქცევაში. მათ კმაყოფილება გამოთქვეს ამ ორგანიზაციის ფარგლებში განხორციელებული მჭიდრო თანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის გამო და აღნიშნეს, რომ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საქმიანობის მომავალში კიდევ უფრო გაფართოება ახალ იმპულსს მისძენს რეგიონში თანამშრომლობის პროცესის გაღრმავებას.

ურთიერთხარგებლობის პრინციპზე დაყრდნობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსა და აღორძინების კონფერენციის დასკვნითი დოკუმენტების გათვალისწინებით, მხარეებმა გადაწყვიტეს გააფართოონ თანამშრომლობა გარემოს დაცვის ეფექტურად უზრუნველყოფის მიზნით.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ შავი ზღვის საერთო სანაპირო ზოლის ეკოლოგიური ბალანსის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე დამყარებული პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით მიმდინარე თანამშრომლობა ტრანსსასაზღვრო მდინარე ჭოროხთან დაკავშირებულ საკითხებზე მომავალშიც გაგრძელდება ორივე ქვეყნის სასარგებლოდ.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, მისმა აღმატებულებამ ბატონმა მესუთ ილმაზმა გამოხატა მადლიერება იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც გამოიჩინეს პირადად მისი და მთლიანად, თურქეთის დელეგაციის მიმართ და აღნიშნა, რომ მეტად გაახარებს საქართველოს პრეზიდენტის, მისი აღმატებულება ბატონი ედუარდ შევარდნაძის თურქეთში ხილვა.

წინამდებარე ერთობლივი განცხადება შედგენილია თბილისში, 1998 წლის 13 მარტს, თურქულ და ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ორივე ტექსტს თანაბარი ძალა გააჩნია.

| | |
|---|---|
| **საქართველოს სახელით<br>ედუარდ შევარდნაძე.** | **თურქეთის რესპუბლიკის სახელით<br>მესუთ ილმაზი.** |

## ერთობლივი განცხადება

### საქართველოს მთავრობა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა

აღნიშნავენ რა, რომ სურთ განავითარონ და გააძლიერონ თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში,

მიაღწიეს ურთიერთგაგებას შემდეგში:

1. სტამბოლში 1998 წლის 1-2 მარტს გამართული აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთის, თურქმენეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შედეგად გაკეთებული განცხადების გათვალისწინებით, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

ა) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მიმართულება საქართველოს ტერიტორიის გავლით ყველაზე ხელსაყრელია ძირითადი ნავთობის ექსპორტირებისათვის მსოფლიო ბაზრებზე.

ბ) გააქტიურდეს მოსამზადებელი სამუშაოები კასპიის ზღვის აუზიდან აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიის გავლით ბუნებრივი აირის მსოფლიო ბაზრებზე ტრანსპორტირებისათვის. მხარეებს მიაჩნიათ, რომ უნდა დაჩქარდეს სხვა ქვეყნებიდან აირის მიწოდება თურქეთისათვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მილსადენების გამოყენებით.

2. საქართველოს მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, რათა გასცეს ნებართვა საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გატარების შესახებ, ხოლო ტარიფების თაობაზე გაიმართება მხარეების ექსპერტთა შეხვედრა.

3. მხარეები თანხმდებიან შექმნან ხელსაყრელი სამართლებრივი და ფინანსური გარემო აღნიშნული პროექტებისათვის.

4. მხარეები, მთავარი საექსპორტო სატრანზიტო მილსადენებისათვის პროექტების განხორციელებისას ვალდებულებას იღებენ, უზრუნველყონ შესაბამისობა საერთაშორისოდ აღიარებულ ეკოლოგიურ სტანდარტებთან.

5. მხარეებმა გამოთქვეს ელექტროენერგეტიკის სფეროში მრავალმხრივი თანამშრომლობის სურვილი და აღნიშნეს რა, უწინარეს ყოვლისა, ელექტროენერგიის ტრანზიტში მიღწეული დადებითი ძვრები, შეთანხმდნენ თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

6. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქვეყნის შესაბამისი სამთავრობო და კერძო სააგენტოები ითანამშრომლებენ საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების საინჟინრო, სამშენებლო, სარეაბილიტაციო და საექსპლუატაციო საკითხებში. ამ ფარგლებში თანამშრომლობა განხორციელდება „ფარავანის" ჰიდროელექტროსადგურთან და მხარეთა მიერ ერთობლივად განსაზღვრულ სხვა ახლად ასაშენებელ და სარეაბილიტაციო ჰიდროელექტროსადგურებთან დაკავშირებით.

ხელმოწერილია თბილისში, 1998 წლის 14 მარტს, ორ ეგზემპლარად ინგლისურ ენაზე.

| | |
|---|---|
| **საქართველოს<br>მთავრობის სახელით<br>სათბობ-ენერგეტიკის<br>მინისტრი<br>დავით<br>ზუბიტაშვილი.** | **თურქეთის რესპუბლიკის<br>მთავრობის სახელით<br>ენერგეტიკისა და<br>ბუნებრივი<br>რესურსების მინისტრი<br>ჯუმჰურ ერსუმერი.** |



ავიაკომპანია „თურქეთის ავიახაზების" საზეიმო გახსნისას.



ქალბატონი ბერნა ილმაზი წყნეთის ბავშვთა სახლში სტუმრობისას

№61, კვირა, 15 მარტი, 1998 წელი.

# საქმიანი თანამშრომლობის გაღრმავებისთვის საჭირო

## საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა

**ქვირფასო ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონებო,**

უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, მოგესალმოთ საქართველო-თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს და გამოვთქვა იმედი, რომ დღევანდელი შეხვედრები სასარგებლო იქნება ორივე მხარისთვის, ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობის შემდგომ გაფართოებას.

ეკონომიკის აღმაჟღლობასთან ერთად, დღევანდელი საქართველოს უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია საუკეთესო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, რაც ქვეყანაში სტაბილურობის და მშვიდობიანი განვითარების გარანტიას წარმოადგენს.

მიღწეულ წარმატებებს, საქართველოს ხელისუფლების და მთელი ხალხის ძალისხმევასთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაციების და საზღვარგარეთის განვითარებული სახელმწიფოების დახმარებას უნდა ვუმადლოდეთ. ფინანსურ, ტექნიკურ და ჰუმანიტარულ თანადგომაში თავისი მნიშვნელოვანი და მეგობრული წვლილი თურქეთმაც შეიტანა. თურქეთი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც საქართველოს დახმარების ხელი გამოუწოდა და მხარში ამოუდგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე და დემოკრატიული გარდაქმნების დაწყების პირველსავე ეტაპზე. ეს მხარდაჭერა დღესაც გრძელდება. საქართველოსათვის ძალზე მძიმე 1993 წელს, თურქეთის რესპუბლიკისაგან მივიღეთ 50 მილიონი ამერიკული დოლარის მოცულობის კრედიტი, რომელსაც ჩვენთვის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ბოლო პერიოდის მოვლენებიდან განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ მთელმა საქართველომ თურქეთის მხრიდან კეთილი ნების და მეგობრობის გამოხატულებად მიიღო ის თანადგომა, რომელიც თურქეთმა გაგვიწია აზერბაიჯანის ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე გატარების საკითხში.

საქართველოში მიზანმიმართული ეკონომიკური რეფორმების და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის განხორციელების პირველი შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა. დაძლეულია ჰიპერინფლაცია და მიღწეულია ფინანსური სტაბილიზაცია. ყოველთვიური ინფლაციის ტემპი, რომელიც 1994 წელს 66 პროცენტს შეადგენდა, 1995 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში 3 პროცენტამდე შემცირდა, რამაც საშუალება მოგვცა 1995 წლის სექტემბერში შემოღებულიყო ეროვნული ვალუტა – ლარი, რომლის გაცვლითი კურსი, ამერიკულ დოლართან შეფარდებით, საკმაოდ სტაბილურია. აღსანიშნავია, რომ ნაცვლად პროგნოზირებული 29 პროცენტისა, 1996 წელს ინფლაციის ტემპმა მხოლოდ 13,5 პროცენტი შეადგინა. 1997 წელს ინფლაციის მაჩვენებელი 7,5 პროცენტი იყო.

1995 წელს დაიწყო ეროვნული ეკონომიკის აღმავლობის პროცესი. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 1995 წელს 2,4 პროცენტით, 1996 წელს 11 პროცენტით, ხოლო 1997 წელს, წინა წელთან შედარებით, 11,3 პროცენტით გაიზარდა.

1995 წლიდან მოყოლებული, მიღწეულია ბიუჯეტის დაბალანსებულობა, ყოველწლიურად მცირდება მისი დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. სახელმწიფო და ტერიტორიული ბიუჯეტის შემოსავალი წინა წლის მაჩვენებელზე 1,5-ჯერ მეტია. მიმდინარე პერიოდში საქართველოს ეროვნულ ბანკს მუდმივად აქვს უცხოური ვალუტის საჭირო რეზერვები.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ბაზარში ინტეგრაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ვაჭრობის დეცენტრალიზაციის და ლიბერალიზაციის დონეზე. ამ მხრივ მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელებულია შემდეგი კონკრეტული ღონისძიებები: გაუქმდა კვოტირება, საექსპორტო და საიმპორტო კონტრაქტების რეგისტრაცია, ფაქტობრივად მოხსნილია არასატარიფო ბარიერები და შეზღუდვები, ექსპორტის და იმპორტის ლიცენზირებას ექვემდებარება მხოლოდ ძალზე შეზღუდული ნომენკლატურის საქონელი, გაუქმებულია საექსპორტო საბაჟო გადასახადი.

ეს ყოველივე აისახა საგარეო ვაჭრობის ინტენსიფიკაციაში: გაფართოვდა საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია. 1997 წელს საქართველო საგარეო ვაჭრობის ოპერაციებს 86 ქვეყანასთან ახორციელებდა. საქართველოსათვის თურქეთი ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. იგი 1997 წელს საქართველოს სავაჭრო პარტნიორთა სიაში მე-2 იყო. საკმაოდ მრავალდარგობრივია ჩვენი ქვეყნების სავაჭრო ბალანსი. საქართველო-თურქეთი ერთმანეთს აწვდიან მეტალურგიის, ქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი, ხე-ტყის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციას. მაგრამ პოტენციური შესაძლებლობანი ბევრად მეტია და მათი გამოყენებისათვის ორივე ქვეყნის მეწარმეებმა უნდა იზრუნონ.

საგარეო ვაჭრობის საკითხებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა, როგორებიცაა ევროკავშირის ქვეყნები, ჩეხეთი, სლოვაკია, შვეიცარია, კანადა, იაპონია საქართველოს მიანიჭეს პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემის (GSP) ბენეფიციარის სტატუსი. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ქვეყნების მიერ საქართველოში წარმოებული პროდუქციის იმპორტი იბეგრება შემცირებული ტარიფით.

1996 წლის 26 ივნისს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ (WTO) საქართველოს მიანიჭა დამკვირვებლის სტატუსი. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ამ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად.

წარმატებით მიმდინარეობს პრივატიზაციის პროცესი. ე. წ. „მცირე პრივატიზაცია" დასასრულს უახლოვდება. პრივატიზებულია 10.500-მდე ობიექტი. ბევრი რამ გაკეთდა საშუალო და დიდი საწარმოების პრივატიზაციის (ე. წ. „მასობრივი პრივატიზაცია") მიმართულებითაც. დღეისათვის დაფუძნებულია 1072 სააქციო საზოგადოება. უცხოელ ინვესტორთა მიერ საბარათო აუქციონებზე შესყიდულ იქნა რეალიზებული აქციების 20 პროცენტი. ეკონომიკური რეფორმის მიმდინარე ეტაპის მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების ახალი ტალღა, რომელიც საშუალო და მსხვილი საწარმოების ნულოვანი საწყისი ფასით სპეციალიზებულ აუქციონებზე გაყიდვას ითვალისწინებს.

საქართველოს საბანკო სფერო, ორიარუსიანი სახით, სამართლებრივ საფუძველზე, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად ფუნქციონირებს. საბანკო რეფორმის დროს სრულად გაითვალისწინეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები. ბოლო პერიოდში იმდენად გაიზარდა საქართველოს კომერციული ბანკების საიმედოობა, რომ მსოფლიო ბანკი, განვითარებისა და რეკონსტრუქციის ევროპული ბანკი, ევროკავშირი, სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და გერმანიის მთავრობა თავის პროექტებს საქართველოს კომერციული ბანკების საშუალებით ახორციელებენ.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია ეკონომიკის სფეროში ურთიერთობათა მარეგულირებელი უმნიშვნელოვანესი კანონები, რომელთა დამუშავებაში აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის უცხოელი ექსპერტები. მაგალითად: კანონები სამეწარმეო საქმიანობის, ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკების, იჯარის, საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების, გირავნობის, მონოპოლური საქმიანობისა და კონკურენციის, რეკლამის შესახებ და ა. შ. 1997 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო სამოქალაქო კოდექსი, საგადასახადო კოდექსი და ისეთი მნიშვნელოვანი კანონი, როგორიცაა კანონი ელექტროენერგეტიკის შესახებ.

ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ თურქეთთან, ამ უძველესი და უდიდესი ტრადიციების მქონე სახელმწიფოსთან, ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას. ახალი დატვირთვა შეიძინა ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობამ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში. საქართველო დიდად აფასებს თურქეთის როლს რეგიონული პროექტების მხარდაჭერასა და განვითარებაში.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა თავისი არსებობის ხუთწლინახევრის მანძილზე სწრაფად ვითარდება და მსოფლიოში სათანადო ავტორიტეტით სარგებლობს. მან უკვე თანამშრომლობის მრავალი მიმართულება მოიცვა. მსხვილი რეგიონული პროექტების შემუშავებისათვის, ექსპერტების დონეზე ინტენსიური მუშაობა წარმოებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, მრეწველობა, ვაჭრობა, ტურიზმი, გარემოს დაცვა, სტატისტიკა, მეცნიერება. ამასთან, მიმდინარეობს ზემოთ აღნიშნულ მიმართულებებთან დაკავშირებული საკითხების ჰარმონიზაცია. მუშავდება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების, ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის, საქმიანი წრეების წარმომადგენლების შავი ზღვის ქვეყნებში შეუფერხებელი მიმოსვლის შესახებ მრავალმხრივი ხელშეკრულებების პროექტები. განხილვის სტადიაშია შავი ზღვის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის საკითხი.

ჩემი, როგორც ქვეყნის პრეზიდენტის ამოცანა, ყოველთვის იყო და არის უცხოელ ინვესტორთათვის საქმიანობის საუკეთესო პირობების შექმნა. მე პირადად, ვარ ჩემს ქვეყანაში საინვესტიციო საბჭოს თავმჯდომარე და გარწმუნებთ, რომ ხელს შევუწყობ თქვენს მიერ წამოწყებული პროექტების წარმატებით განხორციელებას. საქართველოს კანონმდებლობით უცხოური ინვესტიციები მთლიანად და უპირობოდაა დაცული, გამორიცხულია მათი ყოველგვარი დისკრიმინაცია. უცხოელი ინვესტორები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ინვესტიციების მოცულობას და დაბანდების მიმართულებებს, გარანტირებული აქვთ მიღებული მოგებისა და სხვა ფულადი სახსრების, აგრეთვე, მათ საკუთრებაში მყოფი ქონების საზღვარგარეთ დაუყოვნებელი და შეუფერხებელი რეპატრიაციის უფლება. ახლადშექმნილი საწარმოები სარგებლობენ მთელი რიგი საგადასახადო შეღავათებით.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ჩამოყალიბდა და წარმატებით მოქმედებს ბევრი ერთობლივი საწარმო, ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროსა და დარგში. 1996-97 წლებში თავისი კაპიტალი საქართველოში დააბანდა საზღვარგარეთის 37 სახელმწიფოს ფირმებმა. საქართველოში ცალკეული პროექტების დაზღვევა დაიწყეს ისეთმა მსხვილმა სადაზღვევო კომპანიებმა, როგორიცაა „ჰერმესი" (გერმანია), „კოფასი" (საფრანგეთი) და „ოპიკი" (აშშ). საქართველოში პროექტების დასაზღვევად მზად არის, აგრეთვე, „საჩე" (იტალია). ანალოგიური საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მზადყოფნა გამოთქვა იაპონიის მთავრობამ.

აღსანიშნავია თურქეთთან საინვესტიციო თანამშრომლობა. საქართველოში მოქმედებს თურქეთის ფირმებთან შექმნილი ერთობლივი საწარმოები კავშირგაბმულობის, კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და ტურიზმის სფეროებში.

გასულ წელს მნიშვნელოვნად გააქტიურდა ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ურთიერთობა. თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ სულეიმან დემირელის (14-15 ივლისი), ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო მინისტრის ქალბატონ ილმაზის (10-12 ივნისი) და თურქეთის უცხოურ ეკონომიკურ ურთიერთობათა საბჭოს (3-4 სექტემბერი) ოფიციალური ვიზიტების დროს გაიმართა სამუშაო შეხვედრები თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან. დელეგაციების შემადგენლობაში შემავალ თურქ ბიზნესმენებს შეხვდა საქართველოს მხარის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს 250-მდე მეწარმე. თბილისში მოეწყო თურქეთის ნაწარმის ფართომასშტაბიანი გამოფენა-გაყიდვა. დამყარდა საქმიანი ურთიერთობა და კონტაქტები, რომლებიც დღესაც გრძელდება და რომელთა მიზანია პრაქტიკული შედეგების მიღება.

შარშან, ივლისში შეიქმნა საქართველო-თურქეთის ბიზნეს საბჭო, რომელმაც უკვე მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის სფეროებში თანამშრომლობის თვალსაზრისით. მაგრამ მათაც მეტი აქტიურობა და ყველა შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენება მართებთ.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ჩვენი ქვეყნების კომპანიებმა დაიწყეს ერთობლივი მსხვილი პროექტების განხორციელება. ამის მაგალითებია რუსთავის მეტალურგიული კომბინატისა და თურქული ფირმა „ნიუკასლ ოვერსის" თანამშრომლობა, ნავთობის ტრანსპორტირების დარგში ქართული მხარე აქტიურად თანამშრომლობს თურქულ ფირმებთან და თურქულ-აზერბაიჯანულ კომპანიასთან „თექფენ-აქსფენი". კავშირგაბმულობის სფეროში საქართველოსა და თურქულ კომპანიებს უკვე მრავალწლიანი მჭიდრო კავშირები აქვთ. მათ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტიც განახორციელეს. მისასალმებელია, რომ ასეთი მაგალითები სხვაც გვაქვს. მასშტაბური თანამშრომლობა ვითარდება ტრანსპორტის, ენერგეტიკის სფეროებშიც.

ამასთან, მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ჩვენ მეზობელი სახელმწიფოები ვართ და ერთობლივად მეტის გაკეთება შეგვიძლია. ჩვენს ქვეყნებს ეკონომიკის სფეროში ურთიერთობის საკმაოდ მდიდარი სამართლებრივ-სახელშეკრულებო ბაზა აქვს. ჯერ კიდევ 1992 წელს ხელმოწერილია შეთანხმება ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ. საქმიანი წრეებისათვის ამ შეთანხმებას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. იგი სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს ნებისმიერი სახის კაპიტალდაბანდებისათვის. გარდა აღნიშნულისა, არსებობს სამთავრობათაშორისო შეთანხმებები ეკონომიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობის, ტელეკომუნიკაციის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, საბაჟო სფეროებში თანამშრომლობის შესახებ და სხვა. ამდენად, ორივე ქვეყნის მთავრობების მიერ ბიზნესისათვის გზა ხსნილია. თანადგომას არც მომავალში მოგაკლებთ. საჭიროა ერთმანეთის შესაძლებლობათა ყოველმხრივი შესწავლა და ეფექტიანი პროექტების განხორციელების გზების ერთობლივი ძიება. ბიზნესმენთა დღევანდელი შეხვედრებიც ამ მიზანს ემსახურება და ამითვე არის განპირობებული მათი დიდი მნიშვნელობა.

დასასრულ, კიდევ ერთხელ მინდა გისურვოთ წარმატებები და ერთობლივი საქმიანობის გააქტიურება.

გმადლობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლიმატი ჩამოყალიბდა

## თურქეთის პრემიერ-მინისტრის მესუთ ილმაზის სიტყვა

**ბატონო პრეზიდენტო,**
**ძვირფასო ბიზნესმენებო,**
**ძვირფასო სტუმრებო,**

დიდად მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა მომემართა ისეთი რჩეული საზოგადოებისათვის, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ჩვენს ქვეყნებს შორის ახლო თანამშრომლობასა და ურთიერთობაში.

გულითადად მწამს, რომ თურქეთისა და საქართველოს საქმიანი წრეების წარმომადგენლების მეშვეობით, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და სავაჭრო კავშირურთიერთობა უახლოეს მომავალში რეგიონში თანამშრომლობის სამაგალითო დონეს მიაღწევს. ჩემს ამ რწმენას აღრმავებს საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის გონიერი მმართველობის შედეგად ძალიან მოკლე პერიოდში მიღწეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წარმატებები, რომელსაც ჩვენი მხრიდან გულისყურით ვადევნებთ თვალს.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც ევროპასა და აზიას შორის ერთგვარი ბუნებრივი ხიდის როლს ასრულებს, ძალიან ბევრ უპირატესობას ანიჭებს ჩვენს ქვეყნებს. საქართველო და თურქეთი ევრაზიის ტრანსპორტირების, კომუნიკაციის და ვაჭრობის ცენტრში მდებარეობს. თურქეთი და საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ურთიერთთანამშრომლობის ამ მონაცემების კონტექსტით განვითარებასა და ჯანსაღ საფუძველზე მის შემდგომ წარმართვას.

თურქეთისა და საქართველოს კერძო სექტორები ეკონომიკური და სავაჭრო კავშირურთიერთობის განვითარების უმთავრესი რგოლია. მოხარული ვარ, რომ თურქეთი საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია და ქვეყანაში უცხოურ კაპიტალდაბანდებებს შორისაც, ენერგეტიკის გარდა, წამყვანი ადგილი უკავია. 1997 წლის მონაცემების მიხედვით, ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობა ამერიკულ დოლარებში დაახლოებით 233 მილიონს აღწევს, მაშინ როდესაც 1996 წელს 98 მილიონ დოლარს აღწევდა. ციფრები მეტყველებს, რომ ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ვაჭრობის მოცულობა.

მაგრამ ჩვენ უნდა ვეძებოთ ეკონომიკური კავშირურთიერთობის უფრო განმტკიცებისა და გამრავალფეროვნების გზები, რადგან ვაჭრობის მოცულობა ორი ქვეყნის პოტენციალზე გაცილებით დაბალია.

მინდა მოკლე ინფორმაცია მოგაწოდოთ ამ სფეროში კავშირურთიერთობის განვითარების მიზნით გაწეული სამუშაოების შესახებ.

გრძელდება მოლაპარაკება ფინანსთა მინისტრებს შორის ორმხრივი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულების მოსამზადებლად და ვიმედოვნებთ, რომ იგი უმოკლეს დროში დამთავრდება. ეს ხელშეკრულება თურქ და ქართველ ინვესტორებს ხელსაყრელ ატმოსფეროს შეუქმნის და ერთგვარ ბიძგს მისცემს მათ.

საქართველოში თურქული კაპიტალის შემოდინების გამო ხელს ვუწყობთ ბანკებს, რათა საქართველოში გახსნან ფილიალები. ამის გამო მე ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ ვიზიტის დროს მომეცა „ემლაქ ბანკის" თბილისის ფილიალის გახსნის საშუალება.

გასული თვის მოლაპარაკების შედეგად საქართველოს მიერ „ექსიმ ბანკის" კრედიტის რესტრუქტურიზაციის საკითხი დადებითად გადაწყდა ახალი ხელშეკრულების მეშვეობით. მჯერა, რომ ეს ხელშეკრულება საქართველოს ეკონომიკისთვის ერთგვარი შემსუბუქება იქნება.

თურქეთსა და საქართველოს მნიშვნელოვან ინტერესებს შეადგენს რკინიგზის, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გადაზიდვების ქსელის უფრო მეტად განვითარება. მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული რეგიონის სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებისა და ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურის შექმნის საქმეში. შარშან ნოემბერში ჩვენი ტრანსპორტის მინისტრის საქართველოში ვიზიტის დროს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ყარსი-თბილისის რკინიგზის პროექტზე ორი ქვეყნის კანონმდებლობების შესაბამისად ტენდერის გამოცხადების შესახებ. ნათელია, რომ სარკინიგზო მაგისტრალის პროექტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს პროექტი არის აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაკავშირებელი და „კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის" უზრუნველყოფის გასაღები.

საჭიროა, რომ ჩვენ კვლავ განვაგრძოთ ერთობლივი ძალისხმევა ამ პროექტის განსახორციელებლად. უნდა ვიპოვოთ გზები ამ სფეროში კერძო სექტორის მოსაზიდად. თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო რკინიგზების დირექტორატისაგან უკვე ოცდაერთმა ფირმამ მიიღო სატენდერო მასალები და აპრილამდე მოითხოვეს ვადის გაგრძელება თავიანთი წინადადებების წარმოსადგენად.

გასულ წელს დაარსებული თურქეთ-საქართველოს შერეული სატრანსპორტო კომისია კონსტრუქციული მიდგომით მოკიდებს ხელს ტრანსპორტის სფეროში არსებულ ყველა თანამშრომლობის შესაძლებლობას და ასევე შეუდგება მათ განხორციელებას.

თურქეთსა და საქართველოს შორის საჰაერო გადაზიდვების შესახებ ხელშეკრულებაც წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყნებს შორის ტურიზმისა და ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარებაში. ამ საქმეში მომსახურებას გასწევს თურქეთის ავიაკომპანიის თბილისის ბიუროც.

1997 წელს თბილისში სამოქალაქო ავიაციის საკითხების განსახილველად შეიკრიბნენ ქართველი და თურქი სამოქალაქო ავიაციის წარმომადგენლები და მოლაპარაკებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს. მჯერა, რომ ამ სფეროში არსებული პრობლემები ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით გადაწყდება.

გრძელდება ტექნიკური სამუშაოები და მოლაპარაკება ბათუმის აეროპორტის მოდერნიზაციისა და ერთობლივი ექსპლოატაციის პროექტთან დაკავშირებით. ამ პროექტის განხორციელების შედეგად საჰაერო ტრანსპორტით ისარგებლებენ საქართველოს მეზობელი, განსაკუთრებით კი შავი ზღვის რეგიონის მცხოვრები ჩვენი მოქალაქენი. დღესავით ნათელია, რომ ეს პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკური, ტურისტული და კულტურული პოტენციალის ამაღლებას.

რეგიონის მნიშვნელოვანი პროექტებიდან ერთ-ერთი ბაქო-ჯეიჰანის ძირითადი ნავთობსადენია. კმაყოფილებას გამოვთქვამთ, რომ ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის ახლო თანამშრომლობა გრძელდება. მეორე მხრივ, გარდა იმ ნავთობსადენისა, რომელიც საქართველოზე გაივლის, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ბუნებრივი გაზსადენის პროექტის განხორციელებასაც.

ორი კვირის წინათ ხუთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით სტამბოლში გამართულ შეკრებაზე, რომელიც კასპიის აუზის ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სიმდიდრეებს მიეძღვნა, ნათლად დამტკიცდა, რომ ხსენებულ მილსადენებთან დაკავშირებით თურქეთსა და საქართველოს სრული თანხმობა აქვთ. უეჭველია, რომ ეს პროექტები მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ჩვენს ეკონომიკურ კავშირურთიერთობაზე.

რაც შეეხება საერთაშორისო სამშენებლო საქმიანობას, რუსეთის ფედერაციასა და შუა აზიის რესპუბლიკებში ჩვენი ქვეყნის ფირმებმა მნიშვნელოვან პროექტებს მოკიდეს ხელი და წარმატებითაც განახორციელეს.

ჩვენი სამშენებლო კომპანიები საქართველოშიც მოღვაწეობენ. მათ მიერ განსახორციელებელი პროექტების მოცულობა დაახლოებით 53 მილიონ დოლარს შეადგენს. გულითადი სურვილი მაქვს, რომ ეს მაჩვენებელი გაიზარდოს და საქართველოს ახალი მშენებლობის საქმეში ჩვენი ქვეყნის ფირმები კიდევ უფრო დიდი წილის მეპატრონენი გახდნენ.

ყველას კარგად მოგვეხსენება, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობის მქონეა საქართველოსათვის ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პროექტი. დარწმუნებული ვარ, ეს პროექტი, რომელიც მოიცავს გლობალიზაციისა და რეგიონიზაციის დადებით ფაქტორებს, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონის კეთილდღეობისა და სტაბილიზაციის საქმეში.

ჩვენ უნდა წავახალისოთ ჩვენი ბიზნესმენები, რათა მესამე ქვეყნებში განახორციელონ ერთობლივი ინვესტიციები მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროებში. დღევანდელ პირობებში არსებობს შესაძლებლობა მესამე ქვეყნებში გადავიტანოთ ჩვენი ორმხრივი სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობა. იგი თურქეთისა და საქართველოს მსგავსად სარგებლის მომტანი იქნება მესამე ქვეყნების ხალხებისთვისაც.

ამგვარი მოსაზრებებით მინდა ყველა თქვენგანისადმი გამოვხატო ჩემი პატივისცემა და გისურვოთ კვლავ წარმატებით გააგრძელოთ თქვენი საქმიანობა.

**აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი**

## გაეროს უშიშროების საბჭო:

# აფხაზეთში დაგეგმილ არჩევნებს არანაირი კანონიერი საფუძველი არ გააჩნია

ეს მიმართვა, ისევე, როგორც მასთან დაკავშირებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, საბჭომ თავის ოფიციალურ დოკუმენტად გაავრცელა, ხოლო 13 მარტს, დილით, საკითხი სხდომაზე განიხილა. მოისმინეს პოლიტიკურ საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწის ალვარო დე სოტოს ინფორმაცია, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ არსებულ პირობებში, როდესაც განსაზღვრული არ არის აფხაზეთის რეგიონის პოლიტიკური სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში, ამასთანავე, მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დევნილია შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, არჩევნებს არ გააჩნია არანაირი კანონიერი საფუძველი, რის თაობაზეც არძინბას განუცხადა გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენელმა ლივიუ ბოტამ.

მეგობარი ქვეყნების ჯგუფის სახელით გამოვიდა საფრანგეთის წარმომადგენელი ალან დე ჟამე, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს უკანონო აქტი შეშფოთების საფუძველს ქმნის და იგი საბჭომ სათანადოდ უნდა შეაფასოს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება გააკეთა რუსეთის წარმომადგენელმა.

გაკეთდა მიმდინარე თვეში საბჭოს თავმჯდომარის განცხადება.

**უშიშროების საბჭოს წევრებისათვის ცნობილია აფხაზთა მხარის განზრახვა, 14 მარტს ჩაატარონ ეგრეთ წოდებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები, და გამოთქვამს სერიოზულ შეშფოთებას სამშვიდობო პროცესზე მისი შესაძლო გავლენის გამო.**

**საბჭოს წევრები ამ არჩევნებს განიხილავენ როგორც უკანონოს (არალეგიტიმურს). არჩევნები შეიძლება გაიმართოს მხოლოდ აფხაზეთის, საქართველო, პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვით, ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა მონაწილეობის გარანტირებული შესაძლებლობის შემთხვევაში.**

**საბჭოს წევრები მოუწოდებენ მხარეებს განავითარონ სამშვიდობო პროცესი ყოველმხრივი პოლიტიკური მოწესრიგების მისაღწევად, რაც წინაპირობას შეუქმნის აფხაზეთის, საქართველო, ეკონომიკურ აღდგენას, და უზრუნველყონ აგრეთვე ღონისძიებები ყველა ლტოლვილისა და იძულებით ადგილნაცვალი პირის დასაბრუნებლად.**

სხდომის დამთავრებისთანავე უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს სახელით, განცხადება გააკეთა გაეროში აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლების წინაშე.

საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა, თავიანთი მთავრობების სახელით, საქართველოს წარმომადგენლებს მიმართეს თხოვნით, მხარდაჭერისა და პატივისცემის დასტური გადასცენ საქართველოს პრეზიდენტს, ქვეყნის მოსახლეობას.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

**საქინფორმი.**

# მოლაპარაკებების პირველი რაუნდი ტელეფონით შედგა

ენგურის ხიდთან მიმდინარე სამეგრელოს მოსახლეობის საპროტესტო აქციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ის არის, რომ უშუამავლებოდ დაიწყოს დიალოგი ქართველებსა და აფხაზებს შორის. გუშინ ამგვარი ნახევრად არაოფიციალური მოლაპარაკება გაიმართა, რომელშიც ერთი მხრივ აქციის ხელმძღვანელები, ხოლო მეორე მხრივ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მართალია, გალში მოსალაპარაკებლად გადასულ საქართველოს წარმომადგენელს ბექან გუნავას პირადად ვერ შეხვდა, მაგრამ ტელეფონით დაუკავშირდა ამ რაიონის აფხაზი გამგებელი ვალერი ლომია, რომელმაც უთხრა, რომ მზად იყო მასთან შესახვედრად. ამ სატელეფონო საუბრისას გადაწყდა, გაზრდილიყო სახალხო დიპლომატის „ხვედრითი წილი" ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში. მაგალითად, შეთანხმდნენ, რომ უახლოეს მომავალში მეგობრული საფეხბურთო მატჩი გაიმართება. რაც შეეხება უფრო მნიშვნელოვან საკითხებს, მათზე საუბრისგან ვალერი ლომიამ თავი შეიკავა, რადგან იგი შესაბამისი უფლებამოსილებით არ იყო აღჭურვილი. ეჭვი არ არის, რომ შეხვედრა მაინც შედგება.

ვალერი ლომიასთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, ბექან გუნავა შეხვდა აფხაზი მოსახლეობისა და სამხედროების იმ კატეგორიას, რომლებსაც „ბუტიაობა" მობეზრდათ და ქართველებთან შერიგება სურთ. თუმცა, სამწუხაროდ, ყველა აფხაზი ასე როდი ფიქრობს. მაგალითისთვის ისიც კმარა, თუ როგორ „უმასპინძლეს" გალში გადასულ ქართველ ჟურნალისტებს. ამ ამბისა და საერთოდ ენგურის ხიდთან მიმდინარე საპროტესტო აქციის ამსახველ მასალას ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

**ბექა ძიძია,**
„სრ" სპეც. კორ.
ზუგდიდი — თბილისი.

საქართველოს რესპუბლიკა
№61, კვირა, 15 მარტი, 1998 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლემიკა

# ღია წერილი ბატონ ედუარდ კოდუას

ბატონო ედუარდ, მართალი გითხრათ, არ ველოდი ჩემი წერილის გამო სიტუაციის ასე დაძაბვას. როდესაც უკვე ვიცოდი უარყოფითი რეაქციის შესახებ, მოსალოდნელ ავტორებს შორის თქვენ სულ არ მიგულისხმიხართ. მაპატიეთ ამის გამო. გარწმუნებთ, იმიტომ არა, რომ სპეციალისტად არა გთვლით. უბრალოდ იმიტომ, რომ თქვენში მშვიდ ადამიანს ვხედავდი (ვწუხვარ, რომ შევცდი) და მშვიდობისაკენ მოწოდებულ წერილზე (მიკვირს, რომ ეს მაინც შეგიმჩნევიათ) შვიდი კაცისაგან ასეთ რეაქციას არ ველოდი.

როდესაც თქვენი გამოხმაურების შესახებ შევიტყვე, ოღონდ წერილი ჯერ წაკითხული არა მქონდა, რეაგირების ორ ვარიანტზე ვფიქრობდი. პირველი ვარიანტი იყო, საერთოდ არ მეპასუხა. ეს ჩემი წესია, როდესაც საქართველოს შიგნით ეხება საქმე პოლემიკას. თქვენ თქვენი შეხედულებები გაქვთ და მე სულ არა ვთვლი აუცილებლად ისინი ჩემსას ემთხვეოდეს. სხვასაც აქვს სხვაგვარი შეხედულებები და თუ ყველაფერზე ერთმანეთს გამოვეპასუხეთ, წინ ნაბიჯს ვერ გადავდგამთ. მეორე ვარიანტი იყო, მეპასუხა საფუძვლიანად, ამეხსნა ჩემს შეხედულებებში ისეთი მომენტები, რომლებიც შესაძლოა თქვენ (და სხვა მკითხველმაც) სწორად ვერ გაიგეთ და ა. შ. იქნებ რაღაცაში მაინც ერთმანეთისთვის გაგვეგო, ერთმანეთის აზრები შეგვევსო... როგორი იყო ჩემი თავზარდაცემა, როდესაც თქვენი სტატია წავიკითხე და ნათლად დავინახე, რომ ორივე ვარიანტი გამოუსადეგარი იყო.

და აი, გადავწყვიტე, ღია წერილი მოგწეროთ. იმიტომ არა, რომ პოლემიკის ასეთი ხერხი მომწონს. უბრალოდ მე მართლაც შორსა ვარ დღეს თქვენგან (სამწუხაროდ, ყველა თვალსაზრისით) და რაც უნდა დავწერო, მაინც წერილი გამომივა. მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის. ჩემს წერილს სხვა სახე რომ მივცე, მას სათაური დასჭირდება. სათაურში ერთი ან ორი სიტყვით უნდა იყოს შეჯამებული ის, რასაც თქვენი წერილის შესახებ ვფიქრობ (ისევე, როგორც თქვენ გააკეთეთ ჩემი წერილის მიმართ). სამწუხაროდ, მე არ ვიცი არც ერთი ისეთი ერთი, ან ორი სიტყვა, რომლითაც მე ამას გავაკეთებდი და თქვენ უმძიმეს შეურაცხყოფად არ მიიღებდით. ამიტომ შევეცდები, ჩემს ღია წერილში როგორმე ისე გავფანტო ის ერთი-ორი სიტყვა, რომ გული ძალიან არ გატკინოთ.

წერილს, რომელმაც თქვენ აღგაშფოთათ, თავდაპირველად სათაურად ჰქონდა „კავკასიის ისტორიის გაკვეთილები". შემდეგ გაზეთისათვის მას „კავკასიის" ჩამოვაცილე, რათა უფრო განზოგადებული გამეხადა და ვუწოდე „ისტორიის გაკვეთილები". „ჩვენი" რედაქციის დამატებაა და მე მასზე პასუხს არ ვაგებ (კორექტურა არ მინახავს). მოხსენება განზრახული იყო კავკასიოლოგთა საერთაშორისო ფორუმისათვის ბუდაპეშტში. მასში მონაწილეობის მიღება, სამწუხაროდ, ვერ შევძელი. ამით იმის თქმა მინდა, რომ წერილის ადრესატები არ არიან მხოლოდ ქართველები. იგი ყველა კავკასიელს, კავკასიაში მცხოვრებს და კავკასიოლოგიაში მომუშავეს გულისხმობს. მგონი, ამას თქვენც კი მიხვდით.

ამრიგად, ბატონო ედუარდ, მე ისტორიას არა ვწერ. ამიტომ არა მჭირდება „არც მაკრატელი და არც წებო". მე უბრალოდ მომაქვს კავკასიის ისტორიიდან ისეთი მაგალითები, რომლებიც შეიძლება აწმყოშიც გამოდგეს. ისტორიაში ბევრი ცუდიც რომ ხდება, ვიცი, მაგრამ განსახილველ წერილში ეს არ მაინტერესებს. მე მინდოდა ის მეჩვენებინა, რაც კავკასიის ხალხებისა და ცალკეული ადამიანების სიკეთეს, დიდსულოვნებას, ერთმანეთის გატანას, ერთმანეთის ღირსების პატივისცემას შეუწყობდა ხელს და არა პირიქით. თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი არ იყო ჩემთვის მთავარი, მართლა მოხდა, თუ არა ესა თუ ის ფაქტი; მართლა ითქვა, თუ არა ესა თუ ის სიტყვა (როგორ გადაიტანს ამას თქვენი მეთოდოლოგია?). მთავარი ის იყო, რომ ვიღაცამ საჭიროდ დაინახა მისი დაფიქსირება, შთამომავლობისთვის საფიქრებლად დატოვება, თუ კი ადამიანს დამოუკიდებლად ფიქრის თავი აქვს და თვალი სხვის ციტატებზე არ უჭირავს.

ეხლა მივყვეთ თანმიმდევრულად იმას, რამაც თქვენ ასე აღგაშფოთათ.

პირველი, რასაც თქვენი აზრით მე ვამტკიცებ, არის: „ქართველები და სხვა კავკასიელი ტომებიც, სომხური წარმოშობისაა" (თქვენი სიტყვებია). ბატონო ედუარდ, მე თქვენს ადგილზე ასეთი მტკიცების ავტორს (XX ს-ის ბოლოს!) სულიერად ავადმყოფადაც კი არა ჩავთვლიდი. ამის მტკიცება დღეს შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც ახლოსაც არ გაუვლია თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან. რადა საჭიროა აქ მეთოდოლოგიებზე ღრმა მსჯელობები და დიდი სახელების მეწუხება? ამ სულელური დებულების ავტორი სრული უვიცია და მასთან მსჯელობაც არა ღირს. თქვენ კი მისგან მოითხოვთ, აგიხსნათ, „რა მეთოდოლოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს, როცა ქართველებს პაოსიანთა ბანაკს აკუთვნებს" (თქვენ, ცხადია, წერთ „მიგვაკუთვნებს") და „იმეორებს სომეხი ისტორიკოსის ნათქვამს" (რომელ სომეხ ისტორიკოსს გულისხმობთ, ლეონტი მროველს? მე ასეთი არც ძველს ისტორიკოსებში მეგულება და არც ახლებში). უბრალოდ უნდა დაგეწერათ, რომ ეს ავტორი უვიცია და დაგენებებინათ თავი. მაგრამ თქვენ ამას არ აკეთებთ და მასთან პოლემიკას მართავთ. არ აკეთებთ იმიტომ, რომ ვერა ხვდებით, რა საკვირველ უვიცობასთან გაქვთ საქმე! ვერა ხვდებით, რომ ეს ყველაფერი არც „ისტორიაა" და არც „ანტიისტორია". რატომ ვერა ხვდებით? მე გითხრათ, თუ თქვენ თვითონ მიხვდებით ამ ღია წერილის ბოლოს მაინც?

მეორე დებულება, რომელსაც თქვენ ეკამათებით: „კავკასიის რეა რეგიონი ცხადდება სომხურად, მათ შორის საქართველოც და მათი ენაც — სომხურად" და ამას „თან სდევს დამაჯერებლობას მოკლებული მტკიცება" (ისევ თქვენი სიტყვებია). არ შემიძლია არ გავიმეორო, რომ ეს დებულებაც მეცნიერების თვალსაზრისით სრული აბსურდია და შეიძლება ამტკიცოს კავკასიოლოგიის ანაბანის უვიცმა ადამიანმა. რატომ სთხოვთ, ბატონო ედუარდ, ასეთ ადამიანს „დამაჯერებელ არგუმენტებს?" მე კი ვიცი (სამწუხაროდ უკვე ვიცი), რატომაც სთხოვთ, მაგრამ თქვენ თუ ხვდებით, რის შესახებ კამათობთ!

მესამე დებულება, რომელიც თქვენში სამართლიან აღშფოთებას იწვევს (კიდევ კარგი): „როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ სომხეთის ტერიტორია სჯობია საქართველოს? მაშინ რატომაა სომხები მიგრაციით და უცხო გარემოსადმი ადაპტაციით მთელს მსოფლიოში გამორჩეული"?

დამშვიდდით, ბატონო ედუარდ, არა სჯობია, ჩემი გემოვნებით, სომხეთი საქართველოს და მას ჩემთვის, საერთოდ, არც ერთი ქვეყანა არა სჯობია, მაგრამ არ მიყვარს მე ასეთ თემებზე ხმამაღლა ლაპარაკი და ნუ მაიძულებთ. თქვენ წარმოიდგინეთ, მე იმაშიც არ მეპარება ეჭვი, რომ ლეონტი მროველსაც საქართველო ერჩია მთელს ქვეყნიერებას. მაგრამ სადმე თუ სომეხი შეგხვდათ, ან თუნდაც აფრიკის რომელიმე უდაბნოს მცხოვრები, და გითხრათ ჩემი ქვეყანა ყველას მირჩევნიაო, ნურც ამას გაიკვირვებთ და კამათს ნუ დაუწყებთ. არც ის მინდა, აქ ლექცია წაგიკითხოთ სომეხთა მიგრაციების ისტორიისა და მიზეზების შესახებ. თქვენი განათლება ამ საქმეში ადვილი არ იქნება და მე კი ძვირად დამიჯდება, მომაკერებთ რაიმე იარლიყს.

აი ასე, ბატონო ედუარდ, დღევანდელი მეცნიერებისათვის მსგავსი აბსურდული დებულებების დასაბუთებას მე ნუ მთხოვთ, რადგან მე ისინი არ მეკუთვნის. ჩემი კეთილი რჩევაა, ნურც სხვას მოსთხოვთ, თორემ მაშინვე გამოჩნდება, რამდენად შორსა ხართ კავკასიოლოგიის ყველა თანამედროვე პრობლემისაგან და იმ სახელებისგანაც, რომლებსაც ასე უადგილოდ და ასე ადვილად აწუხებთ. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ყოველი წინადადების შემდეგ არ ვიძახე: ღმერთი არ გაგიწყრეთ, არ იფიქროთ, რომ მეც ამ აზრებისა ვარ-მეთქი. მაგრამ არ არის ასეთი წერა ჩემი სტილი. ვერ გაკადრებთ, თქვენ, როგორც მკითხველს, დალეჭვას იმისა, რასაც უჩემოდაც ადვილად უნდა მიხვდეთ. და აკი დავისაჯე კიდეც ასეთი გულუბრყვილო ნდობისათვის.

მაშ, რა მოხდა ასეთი, რომ თქვენისთანა სერიოზული პიროვნება (მაპატიეთ, თუ სიტყვა „მეცნიერს", „ანტიმეცნიერსაც" კი, ველარ ვიხმარ ამიერიდან თქვენთან მიმართებაში) ასე აღშფოთდა და კალამს მოჰკიდა ხელი? თქვენ რომ საკმარისი ცოდნა გქონოდათ, სანამ წერილს დაწერდით, ჯერ მხოლოდ გაოცდებოდით: დღევანდელ დღეს ავტორს ასეთი საოცარი აზრები თავში როგორ მოუვიდაო. შემდეგ კვლავ მიუბრუნდებოდით ჩემს წერილს. თუ მაინც ვერ გაიგებდით, ჰკითხავდით ვისმეს (თქვენთვის კეთილის მნდომს, ვისაც თქვენზე უკეთ ესმის ეს საკითხები, ან გრძნობს მაინც, სად შეიძლება მეჩეჩებს გადაეყაროთ) და თავიდან აიცდენდით ამდენ ღრმა მსჯელობას ისტორიის მეთოდოლოგიის შესახებ. მე არ ვამბობ, რომ არ გამომეკამათებოდით, მაგრამ გამომეკამათებოდით რაღაც სხვაზე, რაზეც შეიძლება კამათი.

გადავიდეთ ახლა ლეონტი მროველზე. აი, აქ უკვე შეიძლება კამათი. ყველა ის დებულება, რომელიც მე თავზე გადამახიეთ, ლეონტი მროველისაა და, მოდით, ორივემ ერთად მას მოვთხოვოთ „დამაჯერებელი მტკიცებანი". თქვენ მართლაც არ აყოვნებთ და ისევე სერიოზულად იწყებთ ლეონტისთან კამათს, როგორც ჩემთან. ალბათ „ანტიისტორია" მარტო ჩემი პრივილეგია არ არის და ლეონტი მროველსაც ეხება. თქვენ სრულიად სამართლიანად და სერიოზულად წერთ: „ლეონტი მროველი იაზრებს ეპოქას, რომელიც მისგან ორიათას წელზე მეტითაა დაშორებული და მროველს არ შეიძლება რაიმე სანდო წყაროები ჰქონოდა იმ პერიოდის შესახებ". მე უარესს გეტყვით: ისეთი ეპოქა, როდესაც სომხების, ქართველებისა და სხვა კავკასიელთა წინაპრები ძმები იყვნენ, როდესაც ყველანი ესენი სომხურ ენაზე ლაპარაკობდნენ, საერთოდ არ არსებობდა არასოდეს და რა „სანდო წყაროები" უნდა მოვთხოვოთ მის ავტორს. ან საიდან მოვიდა ეს „ორიათას წელზე მეტი"? წლების ანგარიშს თუ დაიწყებთ, მართლა დაგჭირდებათ „სანდო წყაროების" ძებნა. ნუთუ თქვენ ჯერაც ვერ ხვდებით, რომ დედამიწის ზურგზე არ გაუვლია არც ერთ ადამიანს (წარმოიდგინეთ, მეც კი მათ შორისა ვარ), რომელსაც ეთქვას ლეონტი მროველის ცნობა სწორია (თუ არა მეტაფორულად!) და სინამდვილეს ასახავსო. იმის ცდები კი ბევრი იყო, ი. ჯავახიშვილამდე და მას შემდეგაც (ჩვენს დროში დისკუსიაც კი შედგა და მასალები გამოქვეყნდა), გაერკვიათ, რას გულისხმობდა ლეონტი მროველი, როდესაც ამბობდა, ქართველთა ენა თავდაპირველად სომხური იყოო (თქვენ წარმოიდგინეთ, მეც კი მაქვს გამოქვეყნებული ამ საკითხზე ისეთი ნაშრომი, თქვენ რომ სიამოვნებას მოგგვრიდათ). ცდილობდნენ „სომხურში" „სვან-მესხურიც" დაენახათ და „სომხი-თართა" ენაც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არმენული (ვწუხვარ, მაგრამ ამ პატარა ღია წერილში ყველაფერს ვერ მოგიყვებით). მაგრამ ასეთი ახსნები სწორედ იმას გულისხმობს, რომ ლეონტის, რაღაც წყაროები შეიძლებოდა ჰქონოდა ხელთ და მე, თქვენთან ერთად, გადაჭრით ვემიჯნები ასეთ ცდებს. ვიმეორებ, ლეონტის არავითარი წყარო ასეთი მტკიცებებისთვის არ შეიძლებოდა ჰქონოდა და მისი თეორია მეცნიერების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მცდარია.

თუ ასეა, მაშ რა მინდოდა მე. რაზე შევიწუხე თავი და რატომ გავხდი მსხვერპლი თქვენი რისხვისა? საქმე ის არის, რომ ლეონტის ყველაფერი ეს უწერია და მოდით ნუ დავუბრუნდებით იმ დროს, როდესაც ამისათვის 900 წლის წინათ მკვდარ ისტორიკოსს ჯვარს აცვამდნენ, მისი თხზულებიდან შესაბამისი ადგილების ამოღებას მოითხოვდნენ, გამომცემლობები სხვა ენებზე თარგმანებს არა ბეჭდავდნენ და ა. შ. მე, სხვებთან ერთად, მინდოდა გამეგო, რატომ გაუჩნდა ლეონტის ასეთი იდეა და რას ეფუძნებოდა იგი. სხვათა შორის, ის ახსნა, რომელიც თქვენ გაზეთში წაიკითხეთ, არ არის მთლიანად ორიგინალური, უბრალოდ იგი ყველაზე მარტივი და, ჩემი აზრი, ლოგიკურია.

ამრიგად, თქვენც, მეც და, დარწმუნებული ვარ, ყველა სხვა ერის შვილიც, ვინც „ქართლის ცხოვრების" ამ ნაწილს იცნობს, ერთი აზრისა ვართ: ლეონტი მროველის თეორია მცდარია! მაგრამ ჩვენს შორის ის განსხვავებაა, რომ თქვენ ლეონტი მროველი ამისათვის გეზიზღებათ (ამიტომ ცდილობთ მას შეფარვით ქართველობაზეც კი უარი უთხრათ), ხოლო მე კი მომწონს და მეამაყება, რომ გვყავდა ისტორიკოსი, რომელსაც შეეძლო კონცეფცია შეექმნა (თუნდაც მცდარი) და იმდენად გაბედული ყოფილიყო, რომ ამ კონცეფციის საფუძვლად შიშველი პატრიოტიზმი არ დაედო. საერთოდ, ძველი ქართული ისტორიოგრაფია, ძირითადში, კონცეფციებზე აგებული ისტორიოგრაფიაა და მასში ცვლილებების შეტანა მაშინვე იყვირებს.

ახლა შევეცდები აგიხსნათ, რას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, ლეონტი მროველი მომწონს-მეთქი. ეს ჩემს წერილში მე უკვე ნათქვამი მგონია, მაგრამ დამოუკიდებლად რომ რაიმეს მიხვდებით, ამის იმედი აღარა მაქვს.

**მე ვწერდი: ლეონტიმ აიღო მისთვის აქსიომატური წანამძღვრები და, მათზე დაყრდნობით, მიიღო ერთადერთი სწორი დასკვნა. იძულებული ვარ გაგიმარტოთ: სწორი არა ფაქტობრივად, არამედ ლოგიკურად.** მას რომ ეთქვა, თარგამოსი არარატის ძირას დასახლდა, კავკასიელები მისი ღვიძლი შვილები იყვნენ და უფროსი ძმა ქართლოსი იყო (ან, თუ გნებავთ, ეგროსი ან კიდევ რომელიმე სხვა), უკეთესი მიწაც მას ჰქონდა, უგმირესიც ის იყოვო, ხომ უაზრობა გამოვიდოდა? მე მომწონს, რომ ლეონტი უაზრობას არ ამბობს პატრიოტული მოსაზრებებითაც კი; მომწონს, რომ არც თავისი თანამედროვეებისა ეშინია და არც თქვენი. მაგრამ თქვენ ფილოსოფოსი ბრძანდებით, ფორმალური ლოგიკა იცით და რას შემარჩენთ ამ მომაკვდინებელ შეცდომას: „მაგრამ თუ წანამძღვრები არაა ჭეშმარიტი, ლოგიკური მსჯელობის შემთხვევაშიც ჭეშმარიტ დანასკვს ვერ მიიღებთ". მართალია, მაგრამ მერე რა? ეს თქვენთვის არის აღმოჩენა, თორემ ლეონტის წანამძღვრებიც და დასკვნაც რომ მცდარია, მე ხომ იმაზე მრავალი წლით ადრე ვიცოდი, ვიდრე თქვენ ამ თეორიის შესახებ საერთოდ რაიმეს გაიგებდით. მაგრამ მაინც, ალბათ, გიკვირთ, რატომ მომწონს მე ლეონტი, რომლის წანამძღვრებიც მცდარად მიმაჩნია და დასკვნებიც (ან „დანასკვი" როგორც თქვენ იტყოდით), და რატომ არ მინდა ადვილად დაგაჩაგვრინოთ იგი?

თქვენ შემდეგ ლეონტის წანამძღვრებთან იწყებთ ბრძოლას და ვერც ხვდებით, როგორ ძალიან ჰგავს ეს ქარის წისქვილებთან ბრძოლას (თუმცა იმედი მაქვს, თქვენს ბრძოლასაც კეთილშობილური მიზნები უდევს საფუძვლად): „ლეონტი თავის მტკიცებაში ბიბლიიდან ამოდის, მაგრამ ვინ დაამტკიცა, რომ ბიბლიური მითები ჭეშმარიტებაა"? დავანებოთ ახლა თავი იმაზე მსჯელობას, ბიბლიაში რა არის ჭეშმარიტი და რა არა; რა შეიძლება მასში ნახოს ჭეშმარიტი წყაროთმცოდნემ და ისტორიკოსმა და რა — არა. მე მხოლოდ მინდა გაგახსენოთ, რომ ლეონტი მროველი XI ს-ის ისტორიკოსია. ის, რაც თქვენთვის რანკეა (რამდენიმე წლის წინ, ალბათ, მარქსი, ენგელსი, ლენინი, იქნებ სტალინიც? თქვენი ასაკი არ მახსოვს), მისთვის ბიბლიაა, წმიდა მამათა წერილები, საეკლესიო ისტორიები. რა ქნას ახლა ლეონტიმ, დაგელოდოთ თქვენ, როდის გამოჩნდებით ასპარეზზე, როდის შეიცვლება პოლიტიკური ორიენტირები, როდის შეიძულებთ ლენინს (ხომ არა გგონიათ, რომ არ ახსოვთ ასპირანტებსა და სტუდენტებს, როგორ უტყდებოდათ ძილი თქვენი გამოცდების წინ იმის შიშით, რომ ლენინის ციტატების მოტანისას დაშვებულ შეცდომებში გამოიჭერდით), როდის წაიკითხავთ რანკეს და კიდევ ერთიორ ავტორს და მაშინ დაიწყოს თავისი თეორიებისთვის წარამძღვრების ძებნა? ვერ გააკეთებს

იხ. მე-7 გვ.

## პოლემიკა

# ღია წერილი ბატონ ედუარდ კოდუას

ამას და ამიტომ მივიღოთ ისეთი, როგორიც არის. ამის შემდეგ უკვე საბოლოოდ მინდა გითხრათ, რატომ მომწონს ლეონტი. იმიტომ, რომ მან თავის წანამძღვრებს არ უღალატა არც ერთი სხვა, როგორიც გნებავთ მაღალი, მიზნის გამო. დაუშვა შეცდომა, მაგრამ მან არ იცოდა, რომ ეს შეცდომა იყო და თქვა ვაჟკაცურად, ისე როგორც მას სჯეროდა. გულზე ხელი დაიდეთ, შეგვიძლია, ჩვენც ყოველთვის ასე მოვიქცეთ? შეცდომისაგან ხომ ისინიც კი არ არიან დაზღვეული, ვინც წინათ ლენინს კითხულობდა და ახლა რანკეზე გადავიდა! მიხვდით, რატომ მომწონს ლეონტი მროველი? მან თავის „ბიბლიას“ არც პოლიტიკური კონიუნქტურის გამო უღალატა და არც – პატრიოტული. თქვენ კი თქვენს „ბიბლიებს“ ხელთათმანებივით იცვლით. ამიტომ არ არის ამ წერილში არსად ნახსენები ლენინური ასახვის თეორია, სამაგიეროდ რანკეს მეთოდოლოგია ბევრჯერ არის დასახელებული. ნეტავ, რა მოხდებოდა ამ ცოტა ხნის წინათ ჩემს ნაწერებში რანკეს მეთოდოლოგია რომ აღმოგეჩინათ, ავცდებოდი პოლიტიკურ და იდეოლოგიურ გილიოტინას?

ეს, რაც შეეხება ბიბლიას, მაგრამ განა შეიძლება ლეონტისთვის (მით უმეტეს ჩემთვის) იმის პატიება, რომ მან განაცხადა: ხომხეთი საქართველოს ჯობიაო. მე კიდევ შემიძლია ჩემი შეცდომების გამოსწორება, მას. შემდეგ, რაც თქვენი წერილი წავიკითხე, მაგრამ ლეონტის როგორ მივაწოდოთ თქვენი ბრწყინვალე არგუმენტაცია: „თუ ქართველები მიგრაციით არ გამოირჩევიან, ამის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს მიწის სიუხვე და სილამაზეა“. ყველაფერი კარგად არის ნათქვამი, ბატონო ედუარდ, მაგრამ „ერთ-ერთი“ გღალატობთ ლოგიკის თვალსაზრისით. თუ ეს მიზეზი ერთადერთი არ არის, სომხებსაც შეიძლება მიგრაციის სხვა მიზეზები აღმოაჩნდეთ და არა მათი მიწის სილატაკე და სიმახინჯე. მაგრამ როგორი სამწუხაროა, ბატონო ედუარდ, რომ ისტორიის მეთოდოლოგია და ფილოსოფია ასე კარგად იცით და თვითონ ისტორია კი – არა. საქმე ის არის, რომ „უმჯობესი“ ლეონტისთვის იურიდიული, სოციალური ტერმინია და არა ესთეტური. როდესაც ძმები იყოფოდნენ, მთელს მამულს დაყოფდნენ თანაბარ ნაწილებად და წილის ბარათებს დაამზადებდნენ. უფროსი ძმისთვის ცალკე გამოყოფდნენ „საუფროსო“ ან „უმჯობეს“ მიწას და წილში არ გაათამაშებდნენ. როგორც წესი, ეს მათი მშობლების საცხოვრებელი ადგილი იყო. მე მგონია (შეიძლება ვცდები), სწორედ ამას და მხოლოდ ამას გულისხმობდა ლეონტი მროველი, ხოლო თუ „უმჯობესში“ ესთეტურის ძებნა დავიწყეთ, მაშინ მართლა ვერ ავცდებით ქარის წისქვილებთან ბრძოლას.

თქვენ ჩემს წერილს ორ ნაწილად ყოფთ (მე ასე არ დამიყვია). პირველში სომეხთა და სომხეთის აპოლოგიას ხედავთ, მეორეში კი ამ დიდი ცოდვის გამოსწორების ცდას. მართალი გითხრათ, ამ „მეორე ნაწილისადმი“ თქვენი დამოკიდებულება კარგად ვერც გავიგე. მე მგონი, ის მაინცა და მაინც არც გაინტერესებთ. საქართველო ხომ უკვე გადაარჩინეთ ჩემგან გასომხებას! როდესაც თქვენი წერილის ამ ადგილს ვკითხულობდი, ყურში სულ ავად გასახსენებელი „არა მჯერავს“, „არა მჯერავსო“ მედგა და გული კარგად ვერ დავუდე. მაგრამ მის შესახებ არც შევეკამათებით. „არა გჯერავთ“ და ნუ გჯერათ. მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ ისტორიაში და საისტორიო წყაროებში სიბინძურის გარდა, ნათელი ადგილებიც არის და ასეთ ადგილებს უნდა გავუფრთხილდეთ. მე არ ვამბობ, რომ ნათელი ადგილები უფრო მეტია, ვიდრე ჭუჭყი, მაგრამ იმ თქვენი შემაშფოთებელი წერილის წერის დროს, როგორც ჩანს, ნათელის დასანახად უფრო ვიყავი განწყობილი. თქვენ კი, თქვენი მაღალი მეთოდოლოგიით, ისევ სიბნელისაკენ შემომაბრუნეთ. ისე, რა საინტერესო დროში ვცხოვრობთ, რომ თქვენც კი გაგახსენდათ საქართველო. ამას მაინც არ ჩამითვლით დამსახურებად?

„ლეონტი მროველის ეპოქაში ვინ იყო ნაციონალისტი, არ ვიციო“, გულწრფელად წერთ და დარწმუნებული ხართ, რომ ასეთებს ვერ დაგისახელებენ. იყვნენ, ბატონო, ჩვენშიც იყვნენ და სომხეთშიც. ამაზეც არის დაწერილი და თუ წაიკითხავთ, ესეც გეცოდინებათ. მაგრამ ჩვენს დროში რომ გადმოდიხართ და ილია ჭავჭავაძე, მიხაკო წერეთელი და ივანე ჯავახიშვილი გინდათ დამიპირისპიროთ, ეს კი წელს ქვემოთ დარტყმას ჰგავს და ვერ მოგიწონებთ. თქვენმა სულიერმა წინაპრებმა ეს სახელები ბევრჯერ შებღალეს გუშინ, და დღეს მაინც დაასვენეთ. მათი გაფეტიშება, მათი სახელების წარწერა ახლა უკვე ეროვნულ გილიოტინაზე, როდესაც პოლიტიკური და იდეოლოგიური გილიოტინა გაგიკოტრდათ, კიდევ უფრო დიდი შეურაცხყოფაა მათი თავისუფალი სულისა და რაც მალე მიხვდებით ამას, მით უკეთესი. ხომ არა გგონიათ, რომ თქვენი წერილი განსხვავდება ძველებური იდეოლოგიური დასმენისაგან? თქვენ მას უბრალოდ მეთოდოლოგიურ-პატრიოტული დასმენით ცვლით. მაინც გული არ მითმენს და მინდა გკითხოთ, მართლა გგონიათ, რომ ჩემზე უკეთ იცით ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“ ან ივ. ჯავახიშვილის სომხური და ქართული წყაროების კრიტიკის მეთოდები? არა, ბატონო ედუარდ, ამ საკითხებში პოლემიკაში მე არ გამოგყვებით. თქვენგან განსხვავებით, არცერთ ამ დიდ სახელს მე ბრმად არ მივყვები (ამაშია ჩემი მათდამი პატივისცემა) და ყველაფერი ეს რომ აგიხსნათ, ანათემას ვერ ავცდები. თანაც, სამწუხაროდ, თქვენთვის ეს ყველაფერი ციტატებია და მეტი არაფერი, მათ უკან არავითარი ცოდნა, თქვენი საკუთარი, არა დგას. მაგალითი?

„ეროვნული პრინციპით ისტორიის დამახინჯების ანალიზი განსაკუთრებული სისრულით აქვს ივანე ჯავახიშვილს წარმოდგენილი შრომაში არსენ კათალიკოზის შესახებ. კათალიკოზის შრომა ეხება ქართველთა და სომეხთა ეკლესიების განხეთქილებას და საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას. ეს ორი საკითხი მწვავე დისკუსიის საგანი ყოფილა და არსენ კათალიკოზს სწორედ მათი გაშუქების მიზნით, შეუქმნია თხზულებანი: „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ და „წმინდა ნინოს ცხოვრება“ (ეს ციტატაა თქვენი წერილიდან). ახლა როგორ მოვიქცე მე, გამოგიწვიოთ დუელში ამ საკითხებზე? ვერ ვიზამ ამას, რადგან ათი სროლიდან ათივე ჩემია და თქვენი არც ერთი. სეკუნდანტადაც კი არ გამოგყვებათ არავინ, თუ თქვენი ღონისა არ აღმოაჩინეთ სადმე.

თქვენ მე წყაროთა კრიტიკის მეთოდებსაც მიწუნებთ: „ზაზა ალექსიძე ჯავახიშვილის პრინციპების საწინააღმდეგოდ მოქმედებს“. საიდან დაასკვენით ეს, არ ვიცი. ჩემი ნაწერი სხვაც რაიმე წაკითხული რომ გქონდეთ, ამას ვერ ვიტყვი. თქვენ გინდათ, რომ მეც თქვენთან ერთად ბრმად გავიზიარო ივ. ჯავახიშვილის სიტყვები ლეონტი მროველის შესახებ: „წყაროები, რომლებიც ლეონტი მროველს მოხსენიებული აქვს და სარგებლობს, თითქმის ყოველგვარ ისტორიულ ღირსებას არის მოკლებული. ამიტომ მისი თხზულება, როგორც სანდო მასალა ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის, ახლა, თითქმის გამოუსადეგარია“. არ არის ასე, ბატონო ედუარდ. ამ დებულების გამოქვეყნების შემდეგ ქართულმა ისტორიოგრაფიამ დიდი გზა გაიარა და ბევრი რამ შეცვალა ლეონტის წყაროების შეფასებაში (ნუ დამიწყებთ ახლა იმის მტკიცებას, რომ ივ. ჯავახიშვილი თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემთვის). თუ თქვენ კვლავ მაინცა და მაინც კავკასიელთა ეთნოგენეზისის შესახებ ლეონტის თეორია გინდათ იქონიოთ მხედველობაში, სწორი იქნებით, მაგრამ ხომ შევთანხმდით, რომ ამ შემთხვევაში წყაროები არაფერ შუაშია და ეს არის მხოლოდ თეორია მცდარ წანამძღვრებზე აგებული, ხოლო თუ მთელი „ქართლის ცხოვრების“ საწყის ციკლს გულისხმობთ და ლეონტი საერთოდ გინდათ გადააგდოთ, აქ უკვე ჩვენი შეთანხმება აღარ მოხერხდება და რანკეს გარდა თანამედროვე (ჩვეულებრივი, მოკვდავი) ქართველი ისტორიკოსების ნაშრომების წაკითხვაც მოგიწევთ. მაგრამ ეს ხომ ძალიან ძნელი იქნება და სულ დაგაბნევთ იმის გარკვევა, საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში რა სად გაჩერდა და რა აგრძელებს განვითარებას.

ისე კი, მაინც მინდა გკითხოთ: ვითომ, რა დაშავდება მე, ან რომელიმე სხვა ისტორიკოსს, წყაროთა კრიტიკის ივ. ჯავახიშვილისგან განსხვავებული მეთოდი რომ აღმოგვაჩნდეს, წააგებს ამითი ქართული მეცნიერება, თუ მოიგებს? თქვენს ახლანდელ ნაწერებში ვინმე ბედნიერმა რანკეს მეთოდოლოგიისგან განსხვავებული აზრი რომ აღმოაჩინოს, ან თუნდაც სულ ცოტა ხნის წინანდელ ნაწერებში მარქსისტული მეთოდოლოგიისგან განსხვავებული, მოიგებს მეცნიერება ამითი, თუ წააგებს? მე კი ვიცი, რომ მოიგებს, მაგრამ თქვენი დაჯერება გამიჭირდება ამაში. ასე რომ, ნუ შემაშინებთ მეთოდებითა და მეთოდოლოგიით. ჩემი მეთოდიც და მეთოდოლოგიაც, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი და ვისაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, დღეს ჩემია. ამისათვის მე არც ფეტიშები მჭირდება, არც კლიშეები, არც ციტატები და არც ავტორიტეტები. ამიტომ იყო, რომ მაშინაც არ მეშინოდა თქვენს უფროს ძმებთან შეჯახებისა, როდესაც ისინი თქვენსავით ეროვნულ დროშას არ იყვნენ ამოფარებულნი და სრული იდეოლოგიური პარპაშის საშუალება ჰქონდათ. ახლა როგორ შემაშინებთ?! თქვენ თქვენს მეთოდოლოგიას მიხედეთ და გაფრთხილდით, კიდევ არ შეიცვალოს დროება; კიდევ არ მოგიხდეთ მისი ღალატი.

როგორც, ალბათ, მიხვდით, ბატონო ედუარდ, მე თქვენთან ამდენი ლაპარაკის მიუხედავად, სერიოზულ მსჯელობას არ ვაპირებ, არ მაძლევთ თქვენ ამის საფუძველს. სამწუხაროდ, იმას კი აღარ ველოდებოდი, რომ ისტორიის ფილოსოფოსთა შრომებიც კი მხოლოდ კლიშეები, ტრაფარეტები, ციტატები და სუმბურია თქვენთვის. ვერც მოიხმართ მათ ვერასოდეს რაიმეში, იმიტომ, რომ ისტორიის ფილოსოფია ისტორიის გარეშე მკვდარია და ისტორიის შესწავლაზე თქვენ რამდენად იწუხებთ თავს, ჩემთვის უკვე სრულიად ნათელია. თქვენ მეთოდოლოგიურ ვაკუუმში ხართ, მას შემდეგ, რაც წაგართვეს ასე შესისხლხორცებული მარქსისტული მეთოდოლოგია (თუ თქვენ უღალატეთ მას ადვილად?), ამიტომ აღარ იცით, ვის ავტორიტეტზე შეჩერდეთ. მართალი გითხრათ, აღარც ის მჯერა, თუ რანკეს გაგება დამოუკიდებლად შეგიძლიათ. თქვენ ხომ უბრალო საგაზეთო წერილი, დაწერილი თქვენი თანამედროვეს მიერ სულ მარტივად ქართულ ენაზე, ვერ გაიგეთ ვერც ერთი განზომილებით!

და ბოლოს, ერთი სერიოზული გაკვეთილი მაინც კიდევ მინდა გავიხსენო ქართული წყაროებიდან, მიუხედავად იმისა, რომ არც ჩემი მეთოდოლოგია მოგწონთ და არც წყაროთა წაკითხვის მეთოდები. ამას თქვენთვის იმდენად არა ვწერ, ბატონო ედუარდ, რამდენადაც მათთვის, ვინც ჩემს მიმართ თქვენსავით გაბოროტებული არ არის; ვისაც მიაჩნია, რომ ახლა ამის დაწერის დრო არ იყო; ან გაზეთი, მით უფრო „საქართველოს რესპუბლიკა“, არ იყო მისი გამოსაქვეყნებელი ადგილი. ჩემს ღია წერილს, ალბათ, სხვა მკითხველიც ეყოლება და მათაც მინდა გავახსენო მირიან მეფის „ანდერძიდან“ ნაწყვეტი. იგი სიკვდილის წინ მიმართავს თავის შვილს რევს, რომელიც ტახტზე ასასვლელად არის გამზადებული. ამ ანდერძს რამდენიმე რედაქცია აქვს და მე იმ ვარიანტებს მოვიტან, რომლებშიც აზრი ყველაზე ნათლად არის გადმოცემული და ერთმანეთს ავსებს:

„აწ სადაცა ჰპოვნე ქუეყანასა შინა შენსა ვნებასა იგი ქართლისანი მაცთურნი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი მათი შეასუ მათ, ვინც მათ ევლოვდის. და ესე ამცენ შვილთა შენთა, რამეთუ მე ვიცი იგი, მსწრაფლ კავკასიათა შინა ვერ დაილევიან“. (შატბერდული).

„და ესეცა უწყებულ იყავნ შენდა, რამეთუ მტერნი იგი, რომელნი გარდამოსთხიენა მხსნელმან ჩუენმან და შეპყრობილ ვიყვენით საცთურითა მათითა, რამეთუ ვიცი, ვითარმედ კავკასიათა მიგან არა დაილევიან, არცა დასცხრებიან ბრძოლისაგან კაცთათა“. (ჭელიშური).

ხედავთ, მირიან მეფე, რომელსაც ჯერ ქართლის გაქრისტიანებაც კი არ დაუმთავრებია ბოლომდე, უკვე მთელს კავკასიაზე ფიქრობს და საზრუნველად შვილებს და შვილიშვილებს უტოვებს. იქნებ ერთად დავფიქრდეთ, რატომ?

„მტერი“ მისთვის, ანუ თუ გნებავთ თხზულების ავტორისათვის, მტერსაც გულისხმობს, დღევანდელი გაგებით, ეშმაკსაც და ყველა იმ ცდუნებასაც, რაც თითოეულს ჩვენთაგანში ზის. თუ ჩვენ, კავკასიელებმა, ეს „მტერი“ ვერ დავძლიეთ, არ იქნება მშვიდობა კავკასიაში და სანამ არ არის მშვიდობა კავკასიაში, არ იქნება მშვიდობა და კეთილდღეობა საქართველოშიც. იქნებ ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ მაინც უფრო ნათელი გახდეს, რატომ აიღო ხელში კალამი მშვიდობისაკენ მოსაწოდებლად სწორედ ისეთმა პირმა, რომელმაც თავისი მეცნიერებაში ყოფნის ორმოცი წელიწადი შეურიგებელ პოლემიკაში გაატარა სწორედ იმ საკითხებზე, რაზედაც პირადად თქვენ, ბატონო ედუარდ, ყურიც კი არა გაქვთ სერიოზულად მოკრული (თქვენი წერილიდან ეს არაჩვეულებრივად ნათლად ჩანს). ბოლო მოვლენებმა საქართველოში და თქვენმა წერილმა (არ იფიქროთ, რომ მასთან რაიმენაირად ვაკავშირებდე) მძიმე საგონებელში ჩამაგდო. იქნებ განწირული ვართ უგუნურებისა, სიბნელისა და თვითმკვლელობისათვის მთელი კავკასია და მაშინ მართლაც სასაცილოდ ჩანს ჩემი მოკრძალებული მოწოდებანი, ისტორიაში ვეძებოთ ნათელი ადგილები. მაგრამ მე მაინც მწამს, რომ კიდევ რაღაცის გადარჩენა შეიძლება, თუ გაერთიანდებიან ისინი, ვისაც თქვენ „ინტელექტუალებს“ უწოდებთ (არ ვიცი სერიოზულად, თუ ირონიით). ისევ თქვენ დაგესესხებით და გავიმეორებ: „მწამს იმიტომ, რომ აბსურდია“. აი, ამ შემთხვევაში კი თქვენი სიტყვები მე მართლა შეიძლება შემეხოს. დანარჩენი, რაც თქვენ დაწერეთ, მას ჩემთან არავითარი კავშირი არა აქვს. სატირალი რომ არ იყოს, სასაცილო იქნებოდა ჩვენი საერთო მკითხველისათვის იმის თქმა, რომ იმ მთავარ საკითხზე, რაზეც ასეთი მეთოდოლოგიური აურზაური ამიტეხეთ, ჩვენი შეხედულებები იოტისოდენადაც არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მე ვიცი ამის შესახებ, თქვენ კი – არა.

ბოლოს, ბატონო ედუარდ, ერთი მორჩილი თხოვნა მაქვს. თუ პოლემიკის ჟინმა არ გაგიარათ და კიდევ რაიმეს დაწერთ (მე რომ არ გიპასუხებთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ), იქნებ XX ს-ის მეორე ნახევარში დაწერილ ნაშრომებსაც მისწვდეს თქვენი ყურადღება და ჩემს წინააღმდეგ ნუ გამოიყენებთ პირველ ტომს „ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის ნარკვევებისა“. ამ წიგნში საკმაოდ წერია იმ ორი საკითხის შესახებ, თქვენ რომ დაგაინტერესათ ჩემთან პოლემიკაში – „მწვავე დისკუსიის საგანი ყოფილაო“ თურმე ქართველებსა და სომხებს შორის. ეგ ნაწილი დასახელებულ წიგნში ჩემი დაწერილია ფილოსოფიის ინსტიტუტის ოფიციალური შეკვეთით. მერე რა მოხდა, აღარ ვიცი. ჯერ მითხრეს, დაიკარგაო. როდესაც წიგნი გამოვიდა, მთელი ტექსტი მასში სრულად აღმოვაჩინე, ოღონდ სხვისი სახელით დაწერილ ნარკვევში, ჩემი მოხსენიების გარეშე. ამის შესახებ სულ ორმა-სამმა კაცმა ვიცით, შეიძლება თქვენ ვერ შეიტყოთ, მოგეწონოთ (მით უფრო, რომ სხვისი გვარი აწერია) და ჩემი კრიტიკისათვის გამოიყენოთ. ამიტომ გაფრთხილებთ: ჩემი დაწერილია და, როგორც ჩემმა ერთმა ახლობელმა მოსწრებულად თქვა, „კრამერი კრამერის წინ აღმდეგ“ არ გამოგვივიდეს.

მაპატიეთ, თუ ყოველთვის ვერ ვიყავი კორექტული, მაგრამ თქვენ იმას შეეხეთ უხეშად და, სამწუხაროდ, საქმის უცოდინრად, რასაც მე მთელი ჩემი ცხოვრება შევალიე.

**ზაზა ალექსიძე.**

დასასრული. დასაწყისი იხ. მე-6 გვ.

# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 15 მარტი, 1998 წელი. № 61 (2761)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

## პერსპექტივა

### ახალი შტრიხი

14 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ფრანგული კომპანიების „მარლ ობერტურისა" და „კასტელის" წარმომადგენელი ალმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შალვა გედევანიშვილი.

იმსჯელეს ფრანგული მხარის მონაწილეობით თბილისში ახალი ლუდის ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

## თურქეთის სახით საქართველოს ძლიერი და სანდო მეგობარი ჰყავს

### გუშინ დასრულდა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მესუთ ილმაზის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში

**14 მარტს** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო თურქეთის პრემიერ-მინისტრი მესუთ ილმაზი, დელეგაციის წევრები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გულთბილად მიესალმა სტუმრებს და განაცხადა, რომ ეძლევა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ გამოხატოს ქართველი ხალხის პატივისცემა თურქი ხალხის მიმართ, ვინაიდან პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პარტია და დაჯგუფება, განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, ერთნაირად დარწმუნებულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი თანამშრომლობა თურქეთთან. პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები თავიანთ ძალისხმევას მოახმარენ საპარლამენტო დონეზე ისეთივე აქტიურ თანამშრომლობას, როგორიც მთავრობებს შორის არის დამყარებული.

ბატონმა მესუთ ილმაზმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და თურქეთის კავშირურთიერთობა სწრაფი ტემპით ვითარდება და ეს სხვა ქვეყნებისათვის სამაგალითოა.

„ჩვენ საქართველოს აღვიქვამთ როგორც სტრატეგიულ პარტნიორს და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მომავალშიც განვაგრძოთ ეს კავშირურთიერთობა", – განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა. ამ მხრივ ძალზე სასარგებლო იყო გასულ თვეში საქართველოს პარლამენტის თურქეთის დიდ ეროვნულ მეჯლისთან მეგობრობის ჯგუფის ვიზიტი თურქეთში. კავშირურთიერთობის გაღრმავებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი თურქეთში, რომელიც მაისშია დაგეგმილი.



თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა საქართველოს პარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

იხ. მე – 2 გვ.

## ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

14 მარტს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს 1998 წლის 19 მარტს მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს პოზიციის შესახებ.

ეროვნული უშიშროების საბჭომ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლებას დღემდე არ გამოუთქვამს თავისი დამოკიდებულება იმ ტერორისტთა მიმართ, რომლებმაც განახორციელეს საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმა 1995 წლის 29 აგვისტოს და 1998 წლის 9 თებერვალს, მხილებულნი არიან სხვა მძიმე სახელმწიფოებრივ დანაშაულში და რომლებმაც თავშესაფარი პოვეს რუსეთში, კერძოდ კი, ქალაქ მოსკოვში.

უშიშროების საბჭომ ცნობად მიიღო საქართველოს პრეზიდენტის განცხადება იმის თაობაზე, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მოსკოვის სამიტის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ მოგვიანებით მიიღებს.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 7 მარტი ქ.თბილისი

ვ. გრიგალაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო ორგანოებში ნაყოფიერი მოღვაწეობისა და საქართველოს ქალთა საბჭოში აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი **ვარვარა გრიგალაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

## კონტაქტები



საქართველოს სამხედრო აკადემიაში.

## დღეს ამინდი



*თბილისში:* ცვალებადი მოღრუბლულობა, ჩრდილო დასავლეთის ქარი 10-12 მეტრი წამში.

*ღამით:* +6+8.

*დღისით:* +15 +17.

## აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

### გაეროს უშიშროების საბჭო: აფხაზეთში დაგეგმილ არჩევნებს არანაირი კანონიერი საფუძველი არ გააჩნია

საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ გაეროში მიმართა უშიშროების საბჭოს აფხაზეთის რეგიონში დაგეგმილი ეგრეთ წოდებული არჩევნების შეფასების აუცილებლობის თაობაზე.

იხ. მე – 5 გვ.

## საქმიანი თანამშრომლობის გაღრმავებისთვის საჭირო კლიმატი ჩამოყალიბდა

გუშინ გაუწყეთ, რომ 13 მარტს თბილისის სასტუმრო „შერატონ-პალასის" საკონფერენციო დარბაზში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მესუთ ილმაზმა ორი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს სიტყვები წარმოთქვეს.

დაპირებისამებრ გთავაზობთ მათ გამოსვლებს.

იხ. მე – 4 – 5 გვ.

*პეკინი.* სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ... მიზეზად საერთაშორისო შუამავლების გამოუცხად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუმრუდ გოდერძიშვილი

## მაიკო და ციყვი



მოუყვანა მამიკომ
ტყიდან ციყვი პაწია
გაიხარა მაიკომ —
შექმნა გაწამაწია,
ჩამოჰკიდა გალიით,
არწია და არწია.

## აჩიკო

ჯოხის ცხენზე გადამჯდარი,
მოქრის ბიჭი აჩიკო,
დაიფრინა წიწილები
იმ ეზოში რაც იყო.

თხა კიკინამ გზა დაუთმო
მოკრძალებით და რიდით,
ჯოხის ცხენით მოქრის ბიჭი —
თავმომწონე რაინდი.

ი. აკიმუშკინი

## ესენიც კატები არიან!



# გარეული კატა

... მაშ განვაგრძოთ მოთხრობები კატების ყველაზე ცნობილ მონათესავეებზე.

მგონი უკვე ვთქვი, რომ დიდ კატებს — მათ შორის ლომებს, — ლეოპარდებს, ფოცხვერებს უფრო ჩვენნაირი თვალები აქვთ.

რაც შეეხება ხმას, თუკი კატა კნავის ან კრუტუნებს, სამაგიეროდ, დიდი კატები ღრიალებენ ხოლმე. ესეც გახსოვდეთ — დედამიწის ზურგზე 35 სახეობის კატაა! კატის სანათესაო მარტოოდენ მრავალრიცხოვანი კი არა, უძლიერესიც გახლავთ, ისინი ხომ დაუნდობელი მტაცებლები არიან. ამასთანავე, გარდა ლომისა და ვეფხვისა, ხეებზე ძრომაც კარგად ეხერხებათ.

ვთქვათ და ტყეში შეეფეთეთ გარეულ კატას, — ღმერთი არ გაგიწყრეთ არ მიეფეროთ, იგი შინაური ფისუნიასავით ალერსიანი როდია, ველური გახლავთ, ველური, მერედა როგორი ავი! როგორი ნახტომი აქვს, როგორი შემოტევა! სიბრაზისაგან ბეწვი აეშლება ხოლმე, ზურგი მოიშვილდება, კუდი გაუმსხვილდება. ძაღლებს ფრუტუნ-ფრუტუნით ეტანება, მელიასი და მაჩვის ხომ სულ არ ეშინია. არც სოროში მოკალათებულებს ერიდება — გამორეკავს ხოლმე იქიდან მეპატრონეებს. ხიდან ერთი სკუპით დააცხრება თავს შველსა თუ ირემს. არც კურდღელზეა უარს. ნაირნაირ ფრინველს, თაგუნიებს, ციყვებს, გველებსა და ხვლიკებსაც კი ემტერება. სოლოზე თურმე ასეთნაირად ნადირობს: ღამით, როდესაც ამ ყრუანჩალებს ფიჩხვებზე სძინავთ, გარეული კატა აძვრება ხეზე, მიეპარება მძინარე ფრინველს, ჩაიჭერს და მასთან ერთად ისკუპებს პირდაპირ ძირს.

გარეული კატა ძალზე ჩამოგავს შინაურს, მაგრამ რამდენადმე მოზრდილია, ხოლო კუდი, თათები და ყურებიც კი, უფრო მოკლე აქვს. ყელს თეთრი ბეწვი უმშვენებს.

დღისით გარეულ კატებს შინაური კატებივით უყვარს სადმე, მზის გულზე მოკალათება, საღამოობით კი ნადირობენ. თუ ძალიან მოშივდათ, ღამეც წაინადირებენ, თუ არადა, დანაყრებულზე არხეინად სძინავთ.

გარეული კატები უმთავრესად ევროპის, აფრიკის, ინდოეთის ტყეებში ბინადრობენ, არიან უკრაინის სამხრეთით, კავკასიაში და შუა აზიაშიც.

ტრამალის გარეული კატა უმეტესად დაფორაჯებულია, ტყისა კი ზოლებიანი. მართალია, მათი არეალი ვრცელია, მაგრამ უკვე გადაშენების გზაზე არიან.

თარგმნა
ნანა ღვინეფაძემ.

ალექსანდრე დიდებაშვილი

## საქართველოს მდინარეები

ულამაზეს ხეობებში
და ამაყი მთების ეშხით
დიან, დიან, დიან, დიან...
დენა მათი მარადია.

მთაში — ყველა ჩქარი, ჩქარი,
ბარში — მდორე, წყნარი, წყნარი,
მოდუდუნე მოდის მტკვარი,
მოაცილებს მთა და ბარი.

ამას მდორე არა ჰქვია, —
ეს მქუხარე არაგვია.

ენგური და ხრამი, ქსანი,
ჭოროხი და ალაზანი,
ცხენისწყალი და რიონი
ბზიფი, თერგი და იორი.
კოდორი და...
ლიახვი და...
არღუნი და...
თეზამი და...
ნაკადული, წყაროსთვალი,
ყვავილების სალოცავი...
დიან, დიან, დიან, დიან...
დენა მათი მარადია,
აცოცხლებენ მამულს ჩქერით,
ყველა თავის ხმაზე მღერის.

## მარტის დღესასწაული

მზეს კალთიდან უამრავი
ყვავილები დაფანტვია,
იქ ენძელა, აქეთ ია
ველი უფლის ნახატია.



მარტში, ვიცით, დედის დღეა,
მოვეფეროთ დედიკოსა,
და უნაზეს დღესასწაულს
ხვა მაღლი და ეშხი მოსავს.
სიხარული ვაგრძნობინოთ
დიდედებს და დაიკოებს.
სადიმილო, წრფელი სიტყვა
შევაკოლოთ იის კონებს.
მათ ის უნდათ: შრომა-გარჯით
რომ მამული ვასახელოთ...
ჩვენი გული, ჩვენი მაჯა,
შეემატოს საქართველოს.

ნათელა ფაილოძე

## ბიჭუნები „საქანელას“ უბნიდან

— სად მდებარეობს ასეთი უბანი? — თბილისში, მტკვრის სანაპიროსთან, ერთ მყუდრო ადგილზე, არც ისე დიდ უბანში დილიდან საღამომდე გაისმის ბავშვების ჟრიამული. თუ რატომ შერჩა უბანს ასეთი სახელი, ბებომ უამბო გიორგის:

— ამ ადგილზე ადრე ცირკი ყოფილა. ის ხომ საქანელების გარეშე წარმოუდგენელია. თურმე, მაშინ შეარქვეს თბილისელებმა აქაურობას „საქანელა“. შემდეგ ცირკისთვის ბექობზე ახალი შენობაც წამოუჭიმიათ. გიორგიმ იცის, სადაც არის ცირკი, კვირა დღეს დაჰყავთ ხოლმე მშობლებს. მოსწონს ბიჭუნას თოკებზე მოსიარულე ცირკის მსახიობები, საოცრად დამჯერე და გონიერი მაიმუნები, ცხენები, სახედრები, ფრინველები... სასაცილო ჯამბაზები...

რადა „საქანელას“ უბნელები ვართ, თუ ხეებს შორის ერთი თოკიც ვერ გაგვიჭიმიაო, — მოილაპარაკეს გიორგიმ და თორნიკემ. მათ სხვებიც წამოეშველნენ, შინიდან თოკები მოიტანეს და გიორგის მამის დახმარებით ხეებს შორის ერთის ნაცვლად „ხამი საქანელა“ დაკიდეს; გაიმართა — „აიწონა-დაიწონაც“, დაიდგა სასრიალოც.

გასართობებთან განა მარტო ისინი, მთელი უბნის ბავშვები იკრიბებიან. შეთანხმდნენ კიდეც: საქანელაზე, „აიწონა-დაიწონაზე“ და სასრიალოზე რიგ-რიგობით ვითამაშოთო.

... მაგრამ, ბავშვების წიოკობამ ერთ დღეს, დილაადრიან, უბანი ფეხზე დააყენა: საქანელები დახსნილი, „აიწონა-დაიწონა“ გადაყირავებული დახვდათ. — ვინ გაბედა, ვინ აუნგრია ბავშვებს გასართობები? — იქუხა ერეკლე პაპამ მესამე სართულის აივნიდან, მთელი უბნის ბავშვების მეგობარმა და ქომაგმა.

— ვინ ახლო ხელი ბავშვების გასართობებს? — წუხდნენ მშობლებიც.

— ალბათ, „ვახოს ბანდამ“ — დაასკვნეს „საქანელას“ უბნელმა ბავშვებმა.

— რაზე ვერ თანხმდებით? — იკითხეს მშობლებმა.

— მეზობელ უბანში ერთი ბიჭი ცხოვრობს, ვახო ჰქვია. თავის ორ ძმასთან ერთად, ზოგჯერ დიდი ბიჭებიც მოყვებიან და გვაწიოკებენ ხოლმე, განა არ გაგიგონიათ, არიქა „ვახოს ბანდა“ მოდის, თავს ვუშველოთო, რომ ვყვირით ხოლმე? — აუხსნეს მშობლებს ბავშვებმა.

ყველანი იმ ქუჩისკენ გაემართნენ, სადაც ვახო ცხოვრობს.

მათი მისვლის მიზეზი რომ შეიტყვეს, ვახოსა და მისი მეგობრების მშობლებმა სულ ყურის აწევით შეკრიბეს ბავშვები,

— პატარები დაჯაბნეთ?

— გუშინ, დაბინდებისას, მოვშალეთ — აღიარეს ბიჭუნებმა.

— რა დაგიშავეთ? — შეეკითხა გიორგი.

ვახომ მხრები აიჩეჩა...

მშობლებმა ორივე უბნის ბიჭუნებს შერიგება ურჩიეს... ასეც მოხდა.

... მეორე დილით ბავშვების ჟრიამულმა გამოახედა გარეთ „საქანელას“ უბნელები.

მოედანზე ზოგიერთ მშობელთან ერთად მეზობელი უბნის ბავშვები სათამაშო მოედანს აწესრიგებდნენ... და, კვლავ გაიბა საქანელები, კვლავ გაიმართა „აიწონა-დაიწონა“, კვლავ დაიდგა სასრიალო.

— მამაც მეხმარება, ინჟინერია! — თავს იწონებდა თანატოლებთან ვახო. — გიო, იცი რატომ გაგიბრაზდით?

— არა! — ნუ გვეძახი რა „ვახოს ბანდას“! მამამ მითხრა: ეს ცუდი სახელიაო. ამაზე ჩვენი უბნის ბიჭებიც ბრაზობენ.

— ასე იყოს!

— დაეთანხმა გიორგი და შერიგების ნიშნად ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— „საქანელას“ უბანი ადრე მთელ ცირკს იტევდა, თქვენ რაღა დაგემართათ, ყველაფერი თუ მიანგრ-მოანგრიეთ, უბანს, ქუჩას, ეზოს, ხესა და ბუჩქს არ მიხედეთ, ხომ მოიშალა თბილისში ყველაფერი? თქვენი ხნისა აქაურობას რომ არ გაეფრთხილებოდით, განა შერჩებოდა „საქანელას“ თავისი სახელი? — გადმოსძახა აივნიდან ერეკლე პაპამ ბავშვებს და კიბეებს ჩამოჰყვა. მათთან, ჩვეულებისამებრ, კვლავ გაიხსენა ძველი ამბები:

— ... აქვე ახლოს, რუსთაველის პროსპექტი სავსე იყო ყვავილებით... ლადიძის წყლებთან შაშვები გალობდნენ. დაიხსომეთ! — ძველად თბილისი აკაციებისა და გლიცინიების ქალაქად ითვლებოდა, ქუთაისი — ვარდების, ბათუმი — ყვავილების სამოთხედ, ფოთი — კავკასიური ჟასმინის, ანუ უცვეთელასი. იმასაც ხომ ამჩნევთ, თქვენს უბანში ზოგი ხე ისე დაბერებულა, საქანელასაც ვერ ჩამოჰკიდებთ. თამაში კარგია, მაგრამ მწვანე ნარგავებსაც მიხედეთ; ქალაქელ ხეებს ისედაც ძნელი ცხოვრება აქვთ... განა აქ ისე ლაღად არიან, როგორც ტყეში...

ერეკლე პაპას ბავშვები მუდამ ყურადღებით უსმენენ...

... იმ დღიდან ორ უბნელთა ჩხუბს არავინ შესწრებია... მათი ჟრიამული იკლებს იქაურობას...

უბანში ახალი ნერგებიც გაჩნდა...

ვალერიან ჩეკურიშვილი

## გაბუტულები

მთელი ეზო აიკლეს
თამთამა და მურამა,
მურას უყვარს ძვლები და
თამთას უყვარს მურაბა.
თამთუნა და მურია
ერთურთს ჰგვანან ამაში:
ერთსაც უყვარს თამაში,
მეორესაც — თამაში.
ჰოდა, ერთხელ ცელქობდნენ,
(ლამას დაუნახია), —
მურა თამთას ეცა და
კაბა ჩამოახია!
თამთას კიდევ სილაქით
კარგად გაულახია,
მოუხდება, დიახაც,
მურიაზე ახია.
უხეშად რომ იქცევა,
ლეკვია თუ ძაღლია?!
იმ წუთიდან ერთმანეთს
ემდურიან სრულებით,
და რამდენი ხანია
სხედან გაბუტულები.

## თამთას კაბა

თამთამ კაბა ჩაიცვა
ჭრელი, ყვავილიანი
და ეზოში გაიქცა,
— უჰ, რა კარგი დღე არი!
მზეზე ისე გაბრწყინდა
გაზაფხულის ფერებით,
ჩიტუნია აფრინდა:
— ცოტას მოვეფერები!
ფრთახატულა პეპელა
მისდევს ფრთების ფარფატით:
— აყვავებულ ატმის რტოს
შეხეთ, შეხეთ სად გარბის!
გაეკიდა ფუტკარი
საოცარი მშრომელი,
ყვავილების მძებნელი,
ბევრი თაფლის მშოვნელი.
პეპლებო და ფუტკრებო,
რატომ მისდევთ, დაიცათ!
განა მართლა რტო გარბის, —
თამთამ კაბა ჩაიცვა!

ჩანართის რედაქტორი
შოთა ხოდაშნელი,
მხატვარი
სიმონ ჭიორელი.

საქართველოს რესპუბლიკა
№61, კვირა, 15 მარტი, 1998 წელი.

## მთელი საუკუნე

მას უნაკლო მეხსიერება აქვს, თუმცა უკვე საუკუნეს გადააბიჯა. ცხოვრების გრძელ გზაზე ბევრი რამ შეხვდა და ყველაფერი დეტალურად ახსოვს. სპეციალობით პარიკმახერია და, ცხადია, ადამიანებთან უხდებოდა ურთიერთობა. ადამიანებთან ურთიერთობა კი, მოგეხსენებათ, ფაქიზი გრძნობაა და გაფრთხილება სჭირდება. ძია სამა დღესაც თვალისჩინივით უფრთხილდება თავის მეგობრებს, ხოლო გარდაცვლილებს, როგორც ცოცხლებს, ისე მოიხსენიებს.

ალექსანდრე კაზაროვი მიიჩნევს, რომ ადამიანი არ კვდება, მისი სული ზეცაშია და ახლობლებს ესტუმრება ხოლმე.

პირდაპირ მხარეს საკუთარი საპარიკმახერო გავხსენი.

ნიკოლოზის დროც კარგად მახსოვს. პური 4 კაპიკი ღირდა. 1916 წელს ერთი კაპიკი მოუმატეს და ამან ქალაქში ისეთი მღელვარება გამოიწვია, ძველი ფასი ისევ აღდგა. მეფის ჩამოგდებას ყველაფრის გაძვირება მოჰყვა. ქალაქში ხალხი ერთმანეთს ეხმარებოდა და ძნელი პერიოდიც ადვილად გადავიტანეთ.

ჩემს სადალაქოს ხალხი არ აკლდა. შემოსავალი კარგი მქონდა. სახელოვან ადამიანებში ვტრიალებდი. კარგად მახსოვს — მსახიობი ვასო აბაშიძე ჩემი კლიენტი იყო. მშრომელი ხალხისათვის უყვარდა სპე-

## „გალაკტიონი ჩემი კლიენტი იყო“



— მე, — ამბობს ძია სამა, — ახალგაზრდა ძმა გარდამეცვალა. მას შემდეგ დიდი დროა გასული. ერთხელ სახლში გამომეცხადა და მეუბნება: — ძმაო, სახლში პური გამოგლევია და წავალ მოგიტანო... როცა გამომეღვიძა, საპურეში პური იდო. ქალიშვილს ვეკითხები, შენ ხომ არ მოიტანე-მეთქი. არაო. სხვა ჩემს ოჯახში პურის მომტანი არავინ იყო. დღესაც მჯერა, რომ ის პური ძმამ მომიტანა. დიდი ძალა აქვს რწმენას...

ა. კაზაროვი გორში დაიბადა 1897 წლის ვარდობისთვეში. 13 წელიწადი იქ იცხოვრა. კარგად ახსოვს პატარა ქალაქის ერთსართულიანი სახლები, დუქნები და სხვადასხვა ტიპის სავაჭროები.

შემდეგ მშობლები საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდნენ და პატარა სამა ხელობის შესასწავლად დალაქს მიაბარეს. სამი წელიწადი დასჭირდა მის დაოსტატებას, ხოლო შემდგომ საზეიმოდ მიიღეს დალაქთა ამქარში. გუშინდელივით ახსოვს ის დღე. საოსტატო გამოცდა, უფროსი კოლეგების შეფასება, ოსტატის დალოცვა. შემდგომ ზეიმი, სადაც საბოლოო კურთხევა მიიღო. ასეთი ზეიმები კვირაობით იმართებოდა. ეს იყო ზომიერი დროსტარება. — ქალაქგარეთ, უფრო ხშირად ორთაჭალაში, ფაეტონით მივდიოდით, — იგონებს ძია სამა, — თან მიგვქონდა ხორაგი, საკლავი. სიმღერა და შაირობა გვიანობამდე გრძელდებოდა. ერთი მეგობარი თერძი მყავდა, ვასილ ხანთაძე. მადლიანი სიმღერა იცოდა. ჩემს კოლეგებს იმდენად მოეწონათ მისი სიმღერა, რომ შეუჩნდნენ, დალაქობას გასწავლით და ჩვენს ამქარში გადმოდიო. ვასილმა შორს დაიჭირა, მაგრამ უთხრა: თუ სიმღერა მოგენატრებათ, საშას უთხარით და თქვენთან ვიქნებიო.

სამი წელიწადი ჩემ ოსტატთან ვიმუშავე. მეოთხე წელს დღევანდელი რუსთაველის თეატრის შო-

ქტაკლების დადგმა. ასაკით დიდად განსხვავდებოდით, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლიდა, თბილი ურთიერთობა გვქონდა.

თავიდან ძია სამა ოჯახით მთაწმინდაზე ცხოვრობდა. ამჟამად დავით აღმაშენებლის გამზირზე ცხოვრობს. უყვარს სტუმარი და მასთან საუბარი, ბევრი აქვს მოსაგონარი. მის მეხსიერებაში დღესაც ცოცხლობენ აბელ ენუქიძე, სანდრო ახმეტელი, ვასო გოძიაშვილი, ნიკო გოცირიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, მამია ორახელაშვილი, სამა გეგეჭკორი, ევტიხი ჩერქეზია, სამა ეგნატაშვილი და სხვები. ბატონი სამა განსაკუთრებული სიყვარულით იგონებს გალაკტიონ ტაბიძეს, რომელიც მისი სადალაქოს ხშირი სტუმარი, მისი კლიენტი ყოფილა.

— მოგეხსენებათ, დალაქი კლიენტთან საუბრობს ხოლმე. ერთხელაც, დრო გამოვიყენე და დიდ პოეტს შევეკითხე: — გალაკტიონ, რაიმე რომ გკითხო, ხომ არ გეწყინება-მეთქი?

— რა უნდა მითხრა, სამა, ისეთი, რომ მეწყინოსო. მეც გავბედე და ვეუბნები: — შენზე ამბობენ, რომ ლოთია და მე მწყინს-მეთქი.

საპონწასმულმა თვალები მოჭუტა, შემომხედა, გაიცინა და მეორე პარიკმახერ სარდიონს დაუძახა: — სარდიონ! თუ არ გაიზარებ, გვერდით სასადილოდან ას-ასი გრამი კონიაკი მოგვიტანეო!

მე ჩემი საქმიანობა განვაგრძე. სარდიონის მიერ მოტანილი ერთი ჭიქა მე მომაწოდა, მეორე თვითონ დაიკავა, მომიჭახუნა და მითხრა: — შურა, ეს შენს სიჭკვიანეს გაუმარჯოს და ჩემს სისულელესო. მე ჩემი საქმიანობა განვაგრძე, გალაკტიონმა კი ისევ სარდიონს გასძახა: — სარდიონ! ამღენივე, თუ ძმა ხარ, ისევ მომიტანეო! მე გალაკტიონის გაპარსვა დავასრულე. მან მეორეჯერ მომიჭახუნა და მითხრა: შურა, ეს შენს სისულელეს გაუმარჯოს და ჩემს სიჭკვიანესო!

— რატომ ამბობ ამას-მეთქი?

მიპასუხა:

— მე ორასი გრამი კონიაკი არ დამათრობს, წავალ ეხლა და ლექსს დავწერ, შენ კი უკვე მთვრალი ხარ, ხალხს ველარ გაპარსავ, ამიტომ მე ვარ ჭკვიანი, რადგან მუშაობა შემიძლია, შენ კი სულელიო...

ძია სამამ ას წელს გადააბიჯა და ჯანმრთელობას არ უჩივის, არასდროს უავადმყოფია! მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა და თავის დღეგრძელ სიცოცხლესაც ამას უმადლის.

იეთიმ გურჯსაც იხსენებს: — უსწავლელი კაცი, თავის ლექსებს ხშირად გამოთქმით კითხულობდა. ამქართა ქეიფების ხშირი სტუმარი იყო, გვიყვარდა. მან სიმღერით ბევრი რამე თქვა...

ეზოში ხის მრგვალ მაგიდასთან უყვარს ჯდომა და მასლაათი. იუმორი არ ღალატობს.

მიამბობს:

— არეული დრო იყო, ადამიანები ოქროს თუმნიანებს მალავდნენ, შავი დღისთვის ინახავდნენ. ქალაქის ფულს ძალა არ ჰქონდა. მეგობარმა მთხოვა, საწოლი მაქვს საყიდელი და ბაზარში გამყევიო. რატომღაც რკინის საწოლი შეარჩია. სახლამდის ეტლით მივიტანეთ. კიბეზე ატანისას საწოლის ფეხი მოაჯირს მოედო, მოტყდა და ოქროს თუმნიანები გამოცვივდა. ღარიბები ვიყავით და გაგვიხარდა ასეთი „საჩუქარი“.

როცა შევეკითხე, რას ისურვებთ დღეს-მეთქი? მეუბნება — გადარჩენა მინდა მივულოცო ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, მინდა ვუსურვო ჩემი ხნის მოიყაროს და ყველა, ვინც დღეს თბილისიდან და საქართველოდან გასულია, ერთად შეჰყაროს... მენატრება ჩემი შვილი და შვილიშვილები, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ, ღმერთმა მათი ნახვით გამახაროს!

**ხაჩატურ ვართანიანი.**

**ასწლიანები... რამდენი არიან ისინი თბილისში, საქართველოში, ამას მხოლოდ აღწერის დროს ვიგებთ. მათი ცხოვრება კი მთელი ისტორიაა, მათ ბევრი აქვთ საამბობი და სალაპარაკო. კარგი იქნება, რომ თბილისში დაარსდეს საუკუნის ადამიანთა კლუბი. ვისაც სურვილი აქვს ამ საქმეში დახმარების გაწევისა, დაგვირეკეთ 93-21-74.**

მეფე-

## 17 მარტი გალაკტიონ ტაბიძის

# შეხვედრა

მიიქამა საუკუნე მეოცე. კიდევ ორი გაელვება და სამუდამოდ ჩარაზავს საკუთარ გულის კარებს მეორე ათასწლეული. მალე დაგვცილდება, ისტორიის ფურცლებს ჩაეფურცლება თავისი კაცობითა და არაკაცობით, თავისი კაცთდაბადებითა და კაცთაკვლით, თავისი პატიოსნებითა და უპატიოსნობით, გაუთავებელი სიცრუითა და მართალსიტყვაობით, გაუტანლობითა და გატანით, მოუთმენლობითა და მოთმენით.

დაუსვამს თავის არსებობას შავ წერტილს. მოსაგონრად დარჩება ბევრს პირსისხლიანი და სირცხვილნაჭამი მეოცე საუკუნე.

ბევრი ჰქონია სამარცხვინო დღეები ამ ცოდვილ ასწლეულს. 1959 წლის 17 მარტი გამორჩეული იყო მათგან.

სწორედ ამ დღეს დილიდანვე ჰქონდათ ბჭობა გამართული სიკვდილ-სიცოცხლეს. სწორედ ამ დღეს დაუმანძილდნენ ერთმანეთს დაუძინებელი მტრები: სიცოცხლეს არ შეეძლო სიცოცხლის შენარჩუნება, სიკვდილს კი არ შეეძლო ესიკვდილა.

სწორედ ამ დღეს ფიქრთდატვირთული, ბრძოლის ველიდან გამოსული გალაკტიონი მოუყვებოდა ნაცნობ ქუჩებს, ნაცნობ სახეებს არიდებდა რატომღაც თვალს. მოუყვებოდა და ყველასაგან შეუმჩნევლად მოაცილებდა შავ სუდარაში გახვეული თვალცრემლიანი მთაწმინდის მთვარე.

იქ, მთაწმინდაზე, მამადავითის სამფლობელოში, ილიასა და აკაკის გვერდით მესაფლავე წინასწარ საფლავს თხრიდა რატომღაც. სადღაც, დაბინდული ქლიავის ძირში მერი ტიროდა. რიონიც გრძნობდა მოსალოდნელ უბედურებას. ატალღდა, აზვირთდა, აბობოქრდა და შავ ზღვას ეხეთქა შავი ამბით. კოლხეთის მიწიდან აფრენილმა შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და მთაწმინდისაკენ აიღო გეზი. მესაფლავეს დავეხმარებიო, — ფიქრობდა გზაში. შორი გზა იყო გასავლელი.

გურიის მთებს, ნასაკირალსა თუ დაფნარს დაუჯერებელი უნდა დაეჯერებინათ. იქნებ მივუსწროთო, და უხმეს ნაცნობ მეეტლეს მოწოდებით: „წინ, მეეტლევ! ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!“

გვიანი იყო ეს შეძახილი. ბედის ვარსკვლავს უკვე გადაეწყვიტა დიდი კაცის ბედი. ხალხისთვის დაბადებულ შვილს უნდა მიეტოვებინა დაჭაობებული ბრძოლის ველი, ძალაგამოცლილი, ბრძოლის უნარწართმეული დაბედშავებული შარბათოვანნი.

მოდიოდა სიკვდილნატრული კაცი და იგონებდა ადრე ნათქვამს:

**„ოჰ, რომ იცოდე, როგორ მწყურია სიკვდილი! ღმერთს გეფიცები, ვისმეს თავს შევაკლავ, თუ ასე გაგრძელდა... საშინლად მომწყინდა ყველაფერი...**

**დიდი ხნიდან დავეძებ მე ამ სიკვდილს, მაგრამ არ მოდის იგი... თავის მოკვლა არ მსურს, მაგრამ სხვა არავინა მკლავს. ბევრჯერ მივეცი სხვებს შემთხვევა, მაგრამ მათ... ხომ იცი, სიკვდილის ყველას ეშინია... რომ იცოდე, რა მოსაწყენია ყველა ეს ინტრიგები, ეს დაუსრულებელი მითქმა-მოთქმა, ჭორები... თავისთავად იბადება სურვილი, რომ გავშორდე ყველა ამას, რადგან ამის მეტი ცხოვრებაში არა არის რა“...**

გალაკტიონს სწყუროდა სიკვდილი. სიკვდილს არ უნდოდა პოეტთა პოეტის სიკვდილი. იცოდა, კარგად იცოდა, რომ არ აპატიებდნენ ნაადრევად გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს. ცრემლადქცეული სიკვდილი ფეხებში ებლანდებოდა ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ გალაკტიონს. გალაკტიონი კი თავისას არ იშლიდა, მიუყვებოდა განჯაგამოელილი, დამძიმებული ტანით, დამძიმებული ფიქრით. მიუყვებოდა ადრე ნაცნობს და ახლა გაუცხოებულ არემარეს. წამი წამს ეზიდებოდა და წუთისოფლის ამაოება გულს უღრღნიდა საიმქვეყნო სამზადისში მოტორტმანე კაცს:

**„ვხედავ ზამთრის ძონძები**
**ხეებს ჩამოეკონა,**
**მე კი ეს გაზაფხული ისევ**
**ჩემი მეგონა.**
**ყველაფერი გათავდა, წამი**
**წამს ეზიდება,**
**რა ამაო ყოფილა წუთისოფლის**
**დიდება“.**

ხეებს ეძებდა შესაფერისს გალაკტიონი ჩამოსაძონძებლად. იცოდა ეს სიკვდილმა. არ ეჯერა მხოლოდ სიცოცხლეს. მაინც ვერ აეხსნა მოსალოდნელი ტრაგედიის გამომწვევი მიზეზები. არადა, იქვე, ახლოს, მაღალ თუ დაბალ ეშელონებში უხვად ბუდობდნენ ინტრიგები, ჭორები; კაცის აბუჩად ამღგებნი, ფლიდნი, ორპირნი, დამსმენნი, სისხლის მსმელნი, პანაშვიდებისა და საფლავების მოყვარულნი. სიკვდილი მათ სიკვდილს ნატრობდა. გალაკტიონი არ ემეტებოდა სასიკვდილოდ. პოეტი, უკვე აღარ პოეტი, „ითვლის თვის წლებს, ღონდება“. ხედავს წარსულის დიდების დღეებს, მერე დამჭკნარს და გახუნებულს, ყოელად უვარგისს. უაზროდ ყოფნამ გული დაუჭკნო და ნაადრევად აკურთხა სიკვდილს.

სიკვდილს ნატრობდა ლექსის მეუფე, ლექსი კი სადღაც მკრთალად იწვოდა. ბოლო სტრიქონი ცეცხლში იგემა, ზარი საზარელ თვალებს იფშვნეტდა:

**„ზედ არწივივით**
**არის შემჯდარი**
**დაბადების და**
**სიკვდილის ზარი**
**ზარი საქვეყნო**
**გამოძახების,**
**უბედურების**
**აწ განახლების“.**

ზარებსაც ჰქონდათ სამზადისი. ზარი უნდა ეთქვათ შესაზარი, იწმინდებოდნენ, იცრემლებოდნენ, პოეტთა პოეტს წუთით ეტრფოდნენ. უბედურება ახლოვდებოდა და განახლების არ ჩანდა კვალი.

ზარი საქვეყნოდ ემზადებოდა, ქვეყანა ზარებს არ კადრულობდა. ღმერთი, ლოცვა და წმინდა სანთელი ნათლიას მხოლოდ შემორჩენოდა. გალაკტიონს კი უღმერთოდ ყოფნა ეძნელებოდა. სიკვდილის ძებნა, პოეტის ნება ღმერთის გარეშე თურმე ხდებოდა.

## არ დაღამდება

### გალაკტიონ ტაბიძეს

თუ პოეზია მღელვარებს ზღვისებრ,
შენც ხარ მიზეზი, რომ ასე ელავს,
დრომ უკვდავება გარგუნა იმას, —
როგორც არგუნა ბაგრატს და
გელათს.
სხვა ხმით მერწავდი აპრილს
თუ მაისს
მშობლიურ მიწის ზღვას, მთებს
თუ ველებს,
შენი ესოდენ სიმაღლე მაინც
რად დაინახეს სიკვდილის მერე?!

დღეს არ გაკლია დაფნა, ვარდები,..
დღეს მშვიდად დგახარ მწვერვალის
ქიმზე,
მგონია, სულმთლად
ვპატარავდებით, —
მაგ სიმაღლიდან როდესაც გვიმზერ.
თავისებურად ისევ და ისევ,
მრისხანე ქამი წამივით გადის,
ვის არ სურს, მაგრამ ვერვინ იკავებს,
ვერვინ პოულობს შენს
გვერდით ადგილს.

თუმცა ცდილობენ ცხადად თუ ჩუმად,
ამ საუკუნის უმძლავრეს ჯებირს
რომ გაგვეჯიბრონ... მაგრამ
შენს ლექსთან
მე ვხედავ ბევრის ამაო შეჯიბრს.
გადახდილი გაქვს ყველაფრის
ვალი,
სამაგიეროს გადახდის გარდა...
შენი ცხოვრება — სულ ბობოქარი
დაუოკებელ ზღვის ღელვას ჰგავდა.
რახან შენს სიტყვამ დროს
წინ გაასწრო,
რახან აქცია წლები დარდებად,
არ დაღამდება შენთვის არასდროს,
შენთვის არასდროს არ დაღამდება.

**ამირან ახობაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი

გარდაცვალების დღეა

# სიკვდილთან



ვაჟას მეუღლე თამარი და გალაკტიონი, ჩარგალი 1958 წელი.

სიცოცხლეს არ ეცალა გალაკტიონისთვის. სამყარო კი ერთ დიდ უდაბნოდ ქცეულიყო:

**„რა უდაბნოა, ოჰ, ჩემო ზეცავ,**
**რა სიჩუმეა, ოჰ, ჩემო ღმერთო!“**

საკუთარმა ღმერთმა თბილისის ცა მოაგონა. ზე აიხედა და გაუკვირდა, ძალზე გაუკვირდა, ღლისით შემოპარული მთაწმინდის მთვარე რომ დაინახა. მზისთვის ეთხოვა, ეს დღე დამითმეო, და სიკვდილთან მიმავალ პოეტს ადევნებოდა. გაუკვირდა გალაკტიონს, რომ გამქრალიყო მისი სინაზე, მისი სიწყნარე, მისი სიდარბაისლე:

**„ჩვედიანი და დაფიქრებული**
**ცას უდაბნოში სცურავდა**
**მთვარე“**

ღრუბელთა გროვას ერთ გუნდად ჰრავდა, ცრემლთა თქეშისთვის ამზადებდა. სული პოეტის უკან რჩებოდა, სიკვდილი მასაც ეძნელებოდა.

ჯერ არასდროს არ ყოფილა მთვარე ასე მკვდრი. გლოვით იწვევს მწერლის რითმებს და ხევებში აქსოვს. თბილისის ცას არ ჰყოლია მთვარე ასე მკვდარი. ცრემლთა დენამ ადიდა მოდუღუნე მტკვარი.

ქრებოდა სიცოხლე კაცისა და სინაზე დაკარგული მთვარისა.

სადღაც ქვითინი ისმოდა დედის. აქ გლოვა იყო ობოლი ბიჭის.

სიკვდილის გზაზე მომაკვდავი გედი ვიდოდა. დაგვიანებულმა სიკვდილმა სიცოცხლის გამწარება იცისო — და გამწარებულ სიცოცხლეს გაურბოდა. გაოგნებული ისევ ფიქრობდა: „მაინც დავდივარ ამ ქვეყანაზე?“ აღარსად ჩანდა ის ქვეყანა, მას რომ უყვარდა. „ვიცი, თუ როგორ გადიხარხარებს, როცა გაიგებს სიკვდილის ხველას, შენი ცხოვრება არვის ახარებს, შენი სიკვდილი ახარებს ყველას“, — გაიფიქრა და...

შეჯდა არწივი ფანჯრის რაფაზე. დაბლა მოჩანდა ზღვა ზვირთოსანი. სიკვდილს ეძახდა ჩასახუტებლად. არ ისვენებდა მთაწმინდის მიწაც. იბუზნებოდა, აკაკის ცრემლით გულმკერდს ილბობდა. ფრთებდაკეცილი, გულჩაფერფლილი არწივი მიწას დაასკდა უცებ. აღარსად ჩანდა ის ზღვა მაცდური, შავი ცრემლები აპკურა შავ ზღვას. მისმა ღმუილმა შეძრა ქვეყანა, თვით აფხაზეთიც ცრემლში განბანა. კაცი მოკვდაო, — გაისმა ყველგან. ობოლი ცრემლი დასდინდა ყველას. თვით ხომ სიკვდილი გააიოლა, გულში ჩაიკრა, გაითავისა:

**„ღრუბლები ჰგვანან**
**ამღვრეულ ტვინებს,**
**ციდან ცრემლები**
**მოდის ჩაფებით,“**

ამღვრეულ ტვინთა დიდი სიმრავლე ახალ წიწამურს ტალღად მოაწყდა.

ხეებს ახრჩობდა ბოღმა და სისხლი. ხმამაღლა ტირილს ვერვინ ბედავდა. უკუნით ღამეს დამსგავსებოდა ქალაქის მყუდრო უბანი ერთი. ხეების ჩრდილი სუდარასავით გადაეფარა სიცოცხლეშეწყვეტილ სხეულს.

ამლილ წვერ-ულვაშს სისხლი სდიოდა, სისხლი ყველასგან მივიწყებული.

ჭიქა წაექცა ვიღაცას მაშინ. თბილისში ერთი ლოთი ტიროდა. ლექსსაც მოუკვდა მომგონებელი. სიკვდილს ჩააკვდა „მდუმარებით შემოსილი, ასე ნაზი მთვარე“.

იცრემლებოდნენ ირგლივ ხეები. მიწა სიმძიმეს ველარ უძლებდა წვეთი სისხლისას.

მგლოვიარენი იდგნენ ხეები. მარტის თვესავით გაურკვეველნი. ფერხთით ეწვინათ პოეტთა მეფე, მეფე ყველასგან მიტოვებული! შემორჩენილმა ფოთლებმა იწყეს შავი სუდარის გადაფარება.

სიონის ზარმა ზარი შემოჰკრა, უბედურება ქალაქს აუწყა. აკაკის ლანდმა თვალი დალანდა ჩამხმარ სტრიქონებს ვარაზის ხევთან.

მოსვენებული იწვა პოეტი მოუსვენარი ცხოვრების გმირი.

ქალაქი დუღდა, არ ისვენებდა. ახლაც არ იცის, რა მოხდა მაშინ!

წუხილმა უცებ იწუხა ძლიერ და მოწოდებად ესლა წარმოთქვა:

**„ჩვენ მზე გვსურს...**
**ხალხო, შეერთდით...**
**ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“**

გაოგნებული სიკვდილ-სიცოცხლე იქვე, ხის ძირას ჩუმად ტიროდნენ. ახალგაზრდებმა მზის სიახლოვეს ჩაიმუხლეს და ცრემლით განბანეს ობოლი სისხლი, სისხლი ქართული, ქართველი კაცის ხელით დაღვრილი. ზევით ასწიეს მზე, ზევით და მამადავითისკენ მიმავალ უკვდავების გზას დაადგნენ. ცრემლნიაღვარი აღმართს აპობდა. ფარისეველნიც ფარისევლურად აქაც ცრემლობდნენ. მარტს შემორჩენილი ხმელი ფოთლები ცრემლად ეპკურნენ სიმებჩაწყვეტილ ჩანგს მიტოვებულს.

პროცესიას იდუმალი ხმა მიაცილებდა:

**„ასე ხდება ქვეყანაზე — ყველა**
**ცოცხლობს, ყველა კვდება,**
**და ვაი მას, ვის სიკვდილი**
**სიცოცხლეშივ ავიწყდება“.**

იცოდა გალაკტიონმა სიკვდილის ფასი. ბევრმა არ იცოდა პოეზიის მეუფის არსი. მზის მცხუნვარებამ საოცრად იკლო, მზის დაბნელება დაიწყო მაშინ!

**თენგიზ სანიკიძე,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი.

სანთელი

# ...როგორც ლურჯი ყვავილი

ლელა (ლილი) არაბული ხევსურეთის ულამაზეს სოფელ დათვისში დაიბადა. როგორც ნაბოლარას, ოჯახში ყველაზე უმცროსს სიყვარულთან და ქებასთან ერთად დასაქმებაც არ აკლდა. ძალზე პატარამ ისწავლა ცხენოსნობა; თურმე ისე დახელოვნდა ამ საქმეში, რომ ცხენზე ამხედრებული წიგნსაც კი კითხულობდა.

ლელას ოჯახში ხშირად იმართებოდა „პოეზიის საღამოები“, მის მშობლებს ძალიან უყვარდათ პოეზია. ზეპირად იცოდნენ უამრავი ხალხური ლექსი. მისი ერთი ძმა ხომ პოეტია — კობა არაბული, ხოლო მეორე, ირაკლი, ჩინებული ექიმი და ხალხური პოეზიის კარგი მცოდნე. დათვისის ხეობაში, ახლო მეზობლად ცხოვრობდნენ უკვე ცნობილი პოეტები: მინდია, ალუდა და ბალათერ არაბულები. აქა-იქ ჩუმჩუმად მოლექსეებიც მოიძებნებოდნენ. მოსახლეობაში ხომ ლიტერატურისა და პოეზიის შესანიშნავი ექსპერტები იყვნენ. ელექტრომონტიორმა (ეს პირობითად) ბათირა არაბულმა, ანუ „ბაბუათ ბათირამ“ ფოლკნერის, ვეტექიმმა გივი ლიქოკელმა კი ინგლისური პოეზიის სიღრმისეული ცოდნითა და ანალიზით, თურმე, ერთხელ ისე გააოცეს უნივერსიტეტის თანამშრომლები, ამბობდნენ, თავი მწერალთა სასახლეში გვეგონაო.

ისტორიის მასწავლებლის, პოეტ ალუდა არაბულისა და მისი მეუღლის, პედაგოგ ლირა კუსიანის მიერ ლელას სულზე დაჩნეული „კვალი ნათელი“ წარუშლელი იყო. ალუდასაგან ისწავლა ვაჟა, ისტორიის სიყვარული და ჰუმანიზმი, ლირასაგან — ცეკვა, ჩაცმის კულტურა, მანვე გაუღვიძა ინტერესი ეთნოგრაფიისადმი. იგი ავალდებულებდა ლელასთან ერთად, ყმაწვილებს საკუთარი ხელით შეეკერათ საცეკვაო ტანსაცმელი და მოუწოდებდა ოდითგანვე ნასათუთევი ხელსაქმის ბრწყინვალე ტრადიცია აეღორძინებინათ. თბილისიდან ბარისახოში ასულმა ქალმა მალე შეისწავლა ხევსურული ქსოვა-ქარგვის ურთულესი და უნატიფესი ხელოვნება და პროფესიით ბიოლოგმა, ქსოვის ბრწყინვალე ნიმუშები შექმნა.

ლელა არაბულის სულის ფორმირებაზე ასევე უდიდესი გავლენა მოახდინა მისმა უფროსმა სულიერმა მეგობარმა და ლიტერატურის მასწავლებელმა მიხეილ არაბულმა. მისგან ისწავლა ვაჟკაცობა, პირდაპირობა, სიმართლისმოყვარეობა, ნაწარმოების ორიგინალურად გააზრება, სიცოცხლისა და სიმღერის სიყვარულიც...

ხევსურეთი, როგორც უძველესი ქართული ტრადიციების შემნახველი კუთხე და „რაინდთა ქვეყანა“, უამრავ ფოლკლორისტს, მეისტორიეს, კინოდოკუმენტალისტს, მხატვრული კინოს სპეციალისტს, ტურისტს იზიდავდა. ისინი ლელა არაბულის ოჯახში იღებდნენ ბინას და ბავშვებზეც ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენდნენ. თინათინ და დედიკა ოჩიაურები, მზია მაკალათია, გიორგი (იურა) ჯაფარიძე, ზურაბ კიკნაძე, გურამ გეგეშიძე, ლაშა თაბუკაშვილი, ნუკრი ალხაზიშვილი, თენგიზ არჩვაძე, ლეილა აბაშიძე, რეზო ხუნწარია, რამინ რამიშვილი, გოგა რჩეულიშვილი, გერმანელი ქართველოლოგი ჰაინც ფენრიხი და სხვები, მათი სტუმრები იყვნენ. მათ შორის ბევრი დისიდენტურად მოაზროვნეც ერია და აზრის თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობაც მეტი იყო. მათთან ურთიერთობა კი ლელას საქართველოს მეჭირისუფლეობისადმი განაწყობდა. როგორც იგი ამბობდა: მეც ავღექი და დავიწყე ცოტა-ცოტა წერა, ცოტა-ცოტა კითხვა, ცოტა-ცოტა ცეკვა და სიმღერა, ცოტა-ცოტა ქარგვა-ქსოვა და ცოტა-ცოტა ხატვა. ჩემგან ჩამოყალიბდა არა კარგი შემოქმედი, არამედ კარგი მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი, დამთვალიერებელი და საბოლოოდ კი, ვიმედოვნებ, ქართული კულტურის მოკრძალებული ჭირისუფალიო.

შემდეგ კი თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში დააკვალიანეს მირიან აბულაძემ, ოთარ ფირალიშვილმა, ვასილ კიკნაძემ, გივი ბოლოთაშვილმა, ვახტანგ ჭელიძემ, ლევან სანიკიძემ, აკაკი ბაქრაძემ, რისმაგ გორდეზიანმა, ვახტანგ ბერიძემ, თამაზ ქვარიანმა, თამარ ინჯიამ და სხვებმა. ლელა მათ ემადლიერებოდა „თვალების ახელისათვის“, თუმცა, რაღა...

ლელას დარჩა ჩანაწერები. მათგან ამოკრეფილი ფრაგმენტები ცხადყოფს, რა სიღრმისეულად იცნობს იგი ხალხურ შემოქმედებას, როგორი პატრიოტია: — საქართველო გამოირჩევა კუთხური მრავალფეროვნებით: ყოველ მათგანს, გარდა ყოფითი ტრადიციების სხვადასხვაობისა, ახასიათებს განსხვავებული ჩაცმულობაც... აქედან გამომდინარე გამოყენებითი ხელოვნების ტრადიციებიც ყველა კუთხეს თავისებური აქვს.



უნდა ითქვას, რომ ქართული ორნამენტი, აღმოსავლურისაგან განსხვავებით, მეტ თავისუფალ სივრცეს ტოვებს. იგი ლაღად „სუნთქავს“. ჩვენი ოსტატები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ორნამენტისათვის ფონის შერჩევას. ხევსურული ორნამენტისათვის ძირითადად გამოიყენებოდა ლურჯი და შავი ფონი.

არსებობდა ფერთა შეხამების დოგმატური წესებიც. ასე მაგალითად, არავითარ შემთხვევაში თეთრს და ყვითელს (ხევსურულ ყვითელში უფრო ნარინჯისფერი იგულისხმება და არა კვერცხის გულის ფერი) ერთმანეთთან არ შეახამებდნენ. ხევსურეთში გავრცელებულია ორი ასეთი ტაეპი ხალხური ლექსიდან: „ისრამც მასცდები ქალაო, თეთრი გქნა ყვითელთანაო“...

უძველეს საქართველოში მატყლი და აბრეშუმი ბუნებრივ საღებავებში იღებებოდა. ამ ხერხით შეღებილი ნაწარმი დღესაც უცხოელი ბიზნესმენების დიდ ყურადღებას იმსახურებს. სხვადასხვა ფერის მისაღებად გამოიყენება ენდრო, თრიმლი, ხახვის ფოჩი, წერთხალა, მურყნის ხის ქერქი, კაკლის ხის ფესვის კანი და ჩენჩო, ჩაის ნაყენი, დეკას ძირები და სხვა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, განსაკუთრებით თუშეთსა და ხევსურეთში, დღესაც მისდევენ შესაღებად ბუნებრივი ფერების გამოყენებას. ასე, მაგალითად: შავი ფერი იღებება ბლისა და მურყნის ქერქის ნადუღში. სიხვი (დაახლოებით სალათის ფერი) — ტუტისა (ნაცარწყლის ნაყენი) და ლების ნადუღში. წითლად იღებება მუხის ქერქსა და ლებში, აგრეთვე, ენდროში, ლურჯი ფერი — ლილამი (კრისტალური ნივთიერებაა). ყვითელი — წერთხალასა და შაბში (წერთხალა საკვები მცენარეა), აგრეთვე, თრიმლის წვენშიც. მწვანე — წერთხალსა და ლების წვენში.

მესხეთში შესანიშნავად ქსოვდნენ აბრეშუმის წინდებსა და პაჭიჭებს, რომლებსაც ფერადი სახეებით აფორმებდნენ. აბრეშუმს ღებავდნენ ბუნებრივ საღებავებში. ამოქარგულ თუ ჩაქსოვილ ფიგურებს სხვადასხვა საკუთარი სახელები ერქვათ: არშია — ვერძის რქა, ზენიანი, ფანჯრული, ფიცრული, გულ-კავი ფონებიანი და სხვა. ასევე საკუთარი სახელები ერქვათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ორნამენტებსაც. თურქეთიდან შემოსულ ნაწარმზე გამოსახულ ორნამენტებს რატომღაც „თურქულს“ ვეძახით, მაგრამ ღრმად მწამს, რომ ეს ორნამენტები მათ ტანსაცმელზე „მოპარული“ კულტურის ანარეკლია.

იმისათვის, რომ სრულიად არ წაგვლეკოს სხვა ქვეყნებიდან შემოსულმა მრუმე ფერის მზა ტანსაცმელმა და ვითომ ევროპული ცივილიზაციისაკენ მლტოლვეელი საქართველო არ აღმოჩნდეს იმმირის შაითან ბაზრების ირიბ დამატებად, საჭიროა აეაღორძინოთ ჩაცმის ჩვენი, ნაციონალური კულტურა. ძველს მივცეთ მოდერნისტული სახე და მივიღოთ ქართული მოდელები. ქსოვისა და ქარგვის ქართული ორნამენტებიდან ჩვენს პირობებში ზოგიერთი დეტალის გაკეთება ძალზე მარტივად შეიძლება.

ლელა არაბულმა საოცარი ხელსაქმე იცოდა. მისი ნაქარგობა სწორუპოვარი „ნახელსაქნარი“ ნიმუშები იყო.

ლელა ამაყობდა იმით, რომ არაბულების განთქმულ გვარში ერთადერთმა გაუძლო ლექსის ცდუნებას და „პოეტობისაგან“ თავი შეიკავა, მაგრამ მაინც უყივლა სისხლმა და მის შემოქმედებით დუმილს წერტილი დაუსვა. ერთ-ერთი შეხვედრისას, როგორც მეგობარს, გამაცნო საკუთარი შემოქმედება. აი, ერთ-ერთი:

**„ეპიტაფია“**

გ. ო.-ს

**მორეული ლანდები შენს**
**საფლავთან ივლიან,**
**ბევრჯერ მოგვენატრება შენი**
**თეთრი ხატება.**
**სრბოლა მრუმე დღეების**
**უკვე შეწყვეტილია,**
**პოეზიით ანთებულთ,**
**ბევრჯერ მოგველანდები...**
**ბევრი რამე დაგვრჩება,**
**ბევრიც დაღმართს ჩაივლის,**
**შენი სული ინათებს,**
**როგორც ლურჯი ყვავილო,**
**მზე არხოტის ცის თაღზე**
**კვლავაც ანთებულია,**
**შენს წინაპრებს უცილოდ**
**სწორედ შენებრ უვლიათ.**
**გენის გამონათება**
**შორეთიდან გვეძახის,**
**შენი მოდგმა იხარებს,**
**როგორც ნერგი ვენახის,**
**შენი ხსოვნის სანთლები**
**სულში მუდამ ინათებს,**
**შეგვახსენებს ერთურთის**
**გატანას და სიმართლეს,**
**შენს გაკვალულ ბილიკზე**
**შენი მოდგმა გაივლის**
**და მერმისში ინათებს,**
**როგორც ლურჯი ყვავილო.**
**1993 წ.**

მუდამ სხვებზე მზრუნველი, სხვების სიხარულით აღფრთოვანებული, უხვად გასცემდა სიკეთეს, ადამიანურ სითბოს, რაც მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. მისი ზღვასავით მოლივლივე და განუმეორებლად ლამაზი თვალები, მთაში მონავარდე შველის ნუკრივით რომ დროდადრო კრთებოდნენ, ძნელი დასავიწყებელია. უდიდეს სინანულს აღძრავს, რომ იგი ჩვენს შორის აღარ არის. ხევსურეთის ფრიალოების ათასფერადი ყვავილებივით მოგვენატრება ლელას სურნელი, საქართველოს უკეთეს მერმისზე მუდამ მაფიქრალი და დამაშვრალი ქალი.

**იზა ჯაჭვაძე.**

საქართველოს რესპუბლიკა
№61. კვირა, 15 მარტი, 1998 წელი.

## ექსპერტიზა

# დსთ: „ყოფნა, არყოფნა?“

## მოსკოვის სამიტის წინ

უსასრულოდ შეუძლია ელცინსა და მის გარემოცვას ოპოზიციისაკენ (დუმისაკენ) გაიშვიროს ხელი, რომლის პროსეპარატისტული (აფხაზეთის საკითხში) პოზიციის იგნორირება არ შეუძლია აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაგრამ არც საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია უსასრულოდ შეეგუოს რუსეთის საშინაო-პოლიტიკური მოტივებით „არგუმენტირებულ“ ორმაგ სტანდარტებს. რუსეთზე ნაკლები დემოკრატია დღეს არც საქართველოშია, აქაც არსებობს პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც დღითი დღე სულ უფრო და უფრო აქტიურად ცდილობს საკუთარ ინტერესებში გამოიყენოს (არაფერია უჩვეულო ამაში) გადაუჭრელი მწვავე ეროვნული პრობლემა, მით უმეტეს, როდესაც საკითხი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სამას ათას გამწარებულ, ზოგჯერ ორიენტაციადაკარგულ ლტოლვილს ეხება.

...მას შემდეგ, რაც კიშინიოვში ელცინმა პირდაპირ დაუსვა საკრამენტული კითხვა თავის კოლეგებს — გვჭირდება თუ არა თანამეგობრობაო და, ასევე, პირდაპირი (თუმცა არასასიამოვნო) პასუხიც მიიღო, უკანასკნელ შანსად მოსკოვის სამიტი იქცა. ამ წერილის დასაწყისში (იხ. „სრ“ წინა ნომერი) ითქვა, რომ მოსალოდნელია სერიოზული სტრუქტურული ცვლილებები, მაგრამ იქნება ეს საკმარისი? რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ თვითონ რუსეთის ხელისუფლების შიგნით არ არსებობს ერთიანი პოზიცია ინტეგრაციის საკითხში?

ჯერ კიდევ 1996 წელს გამოაცხადა რუსეთის ხელისუფლებამ თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად თანამეგობრობის ქვეყნებთან ურთიერთობა. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ დეკლარირებული კურსის ერთგულება მოსკოვს დღემდის არ დაუმტკიცებია საქმით. პირიქით, რუსეთის მთავრობა სწორედ „პრიორიტეტულ“ მოკავშირეებთან საბაჟო ბარიერების გაძლიერების გზით ცდილობს საკუთარი ბიუჯეტის შევსებას. ამას მოჰყვა ისეთი სიტუაცია, როდესაც მესამე ქვეყნებთან ვაჭრობა უფრო მომგებიანია, ვიდრე საბაჟო კავშირის შიგნით. ორმაგი დაბეგვრა, 25-პროცენტიანი ტარიფები, კვოტები და სხვა ანალოგიური ხასიათის „ინიციატივები“ ვერაფრით უწყობს ხელს თანამეგობრობის შიგნით მუშახელის, საქონლისა და კაპიტალის მოძრაობას. გასულ წელს გამოქვეყნებული რუსეთის ეკონომიკის სამინისტროს პროგნოზი 2005 წლამდე ითვალისწინებს თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოებთან ვაჭრობის შემცირებას 19 ან 15 პროცენტამდე. საოცარია პირდაპირ, ერთის მხრივ, რუსეთში ყველა დონეზე წუწუნებენ, რომ კატასტროფულად მცირდება ეკონომიკური კავშირები ყოფილ „მოძმე რესპუბლიკებთან“ და პარალელურად იზრდება უკანასკნელთა ინტერესი დასავლეთის მიმართ, ხოლო, მეორეს მხრივ, იგივე რუსეთის ხელისუფლება საქმით უწყობს ხელს ასეთი ვითარების შეუქცევადობას.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა „საიმედოდ“ იყო მიბმული, ვთქვათ, უზბეკეთის ეკონომიკა რუსეთის მრეწველობას. ვინ იფიქრებდა, რომ სულ რაღაც 3-4 წელიწადში ტაშკენტი რადიკალურად შეცვლიდა ორიენტაციას? დღეს კი როგორი სურათია? უცხოეთის (არა რუსეთის) პირდაპირმა ინვესტიციებმა უზბეკეთის ეკონომიკაში 6,5 მილიარდ დოლარს (!) მიაღწია და განუხრელად იზრდება. რაც შეეხება რუსულ კაპიტალს, ასევე განუხრელად მცირდება მისი მოცულობა. იგი არცერთ მსხვილმასშტაბიან პროექტში არ მონაწილეობს. რატომ? უბრალოდ რუსეთის კანონმდებლობამ ისე გაართულა და გაამკაცრა უცხოეთში რუს ინვესტორთა საქმიანობა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია რუსული კაპიტალის სერიოზული პოზიციები უცხოეთში. მარტო ის ერთი ფაქტი რად ღირს, რომ მთლიანად შეწყდა უზბეკეთის ბამბის ექსპორტი რუსეთში და დღეს ივანოვოს მხარე პაკისტანში ყიდულობს უზბეკურ ბამბას. ასეთი ეკონომიკური აბსურდის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ რუსეთის მთავრობა ვერ შეგუებია ელემენტარულ რეალობას — უზბეკეთი იმპერიის პერიფერია და სანედლეულო დანამატი აღარ არის, უცხოეთია და მტკიცე ვალუტა სჭირდება მასთან ვაჭრობას. მოსკოვი კი ბამბის ნაცვლად ტაშკენტს ჩაწოლილ კომბაინებს — „ენისეის“ სთავაზობს, რაზეც უზბეკეთი არ თანხმდება. ჰოდა, რა გასაკვირია, ამის შემდეგ, თუ იგივე უზბეკეთს საქართველო უფრო პერსპექტიულ პარტნიორად მიაჩნია ბამბის ტრანზიტული ექსპორტის საკითხში?



გულზე არ ეხატებათ მოსკოვში გუამი, მაგრამ ვინ მოგვევლინა თანამეგობრობის შიგნით დაჯგუფებების ინიციატორად?

გუამს რამდენიმე წლით უსწრებდა ორთა კავშირი და ოთხთა კავშირი, რომელთა ინიციატორი სწორედ მოსკოვი იყო. თანამეგობრობის შიგნით „სუპერ-თანამეგობრობის“ პრაქტიკის დამკვიდრებით, მოკავშირეთა შორის „განსაკუთრებულ“ მოკავშირეთა შერჩევით, მოსკოვმა მძლავრი დარტყმა (შეიძლება სასიკვდილოც) მიაყენა თანამეგობრობის თვით იდეას.

დრომ გვიჩვენა, რომ არც ორთა კავშირში შესვლის მსურველები აღმოჩნდნენ და არც ოთხთა კავშირში. დიდი ანალიტიკური ალღო არ არის საჭირო იმის მისახვედრად, თუ რა ბედი ელის მოვლენათა ასეთი განვითარების ფონზე თანამეგობრობას.

ხვდება ოფიციალური მოსკოვი, რომ თვითონ მიიყვანა ამ დღემდე თანამეგობრობა? ვფიქრობ, რომ ხვდება, თუმცა, ეს ჯერ კიდევ ნაკლები შეღავათია თუნდაც ჩვენთვის; მთავარია დასკვნები და კონკრეტული ნაბიჯები. ამიტომაც ელის ყველა რაღაც სიახლეს მოსკოვის სამიტისაგან. მეორე კიშინიოვი ხელს არავის აძლევს: მოლდავეთის დედაქალაქში ბოლომდე ითქვა სათქმელი და გამეორებას აზრი აღარა აქვს. თუმცა ამ საკითხზე თავისი აზრი აქვს ბელორუსიის პრეზიდენტს: მოსკოვის სამიტამდე ორი კვირით ადრე, მინსკში გამართულ თეორიულ-პრაქტიკულ კონფერენციაზე (კონფერენცია თანამეგობრობის პრობლემებს მიეძღვნა) გამოსვლისას მან პირდაპირ დასდო ბრალი ინტეგრაციის წარუმატებლობაში კოლეგა-პრეზიდენტებს, რომლებიც, თურმე, ყურს არ უგდებენ საკუთარი ხალხების სურვილს და ხელს უშლიან „საბჭოთა კავშირის მსგავსი“ გაერთიანების შექმნას. ლუკაშენკოს აზრით, მოსკოვის სამიტის წინ ისეთივე სიტუაციაა, როგორიც კიშინიოვის სამიტის წინ იყო. აშკარად ცდება ბელორუსიის პრეზიდენტი, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უქმად არ დაუკარგავს მოსკოვს კიშინიოვის შემდგომი პერიოდი: მიუხედავად სერიოზული ცდუნებისა, ძნელი სავარაუდოა, რომ „მესამე წრეზე“ წასვლა გადაწყვიტოს ელცინმა და კიდევ ერთხელ იყაროს კენჭი როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა. ოპოზიციასა და კონსტიტუციას კიდევ შეიძლება რამე მოუხერხოს, მაგრამ საკუთარი ჯანმრთელობა ყველაზე საშიშ უცნობად რჩება. უფრო სავარაუდოა, რომ მის მთავარ საფიქრალს არ წარმოადგენს, თუ როგორ შევა ისტორიაში. უკანასკნელი მოვლენები იმაზე მეტყველებს, რომ „ახლო საზღვარგარეთთან“ ურთიერთობაში რუსეთის პრეზიდენტის ნომერ პირველ დილემად უკრაინასთან ურთიერთობის ნორმალიზაცია იქცა.

სიტუაცია კი არცთუ სახარბიელოა. გასული წლის უკანასკნელ ცხრა თვეში ორი მილიარდი დოლარით შემცირდა რუსეთსა და უკრაინას შორის საქონელბრუნვა. მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა დეკემბერში, ზავიდოვოში, ელცინსა და კუჩმას არაფორმალურ ვითარებაში საუბრის შემდეგ, როდესაც უკრაინის პრეზიდენტმა რუსეთში უბრალოდ 600 ათასი ტონა შაქრის ექსპორტის უფლება მიიღო. მეორე საკითხია ასეთი შეთანხმების რეალიზაცია. საქმე ის გახლავთ, რომ უკრაინის იაფი შაქრის მოძალება რუსეთის ბაზრებზე კატასტროფამდე მიიყვანს ადგილობრივ შაქრის მწარმოებლებს, რომელთა ზურგს უკან დუმაში ლობირებისუნარიანი გავლენიანი წრეები დგანან. ასე თუ ისე, მოსკოვი იმედოვნებს, რომ მარტი თაფლობის თვედ იქცევა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში.

თანამეგობრობის არც ერთი პრეზიდენტი არ მიუღიათ რუსეთში (ლუკაშენკოს ჩათვლით) ისეთი ხაზგასმული პატივით, როგორითაც კუჩმა მიიღეს მარტის დასაწყისში. კრემლში მთელ რიგ ხელშეკრულებებზე (ეკონომიკის სფეროში) ხელის მოწერისა და მოსკოვის უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შემდეგ კუზბასში ჩასულმა უკრაინის პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა: „რუსეთსა და უკრაინას შორის სავაჭრო ომი დამთავრდა“. მართალია, ჩვენთვის უცნობია ორ ქვეყანას შორის გაფორმებულ შეთანხმებათა დეტალები, მაგრამ ის კი ცხადია, რომ რუსეთი რაღაც დათმობებზე წავიდა (შეიძლება არაეკონომიკური ხასიათის). ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მალე უკრაინაში არჩევნები უნდა გაიმართოს და პირადად კუჩმასათვის შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს უკრაინის რუსული მოსახლეობის პოზიციას.

პოლიტიკაში რომ არ არსებობენ მარადიული მოწინააღმდეგენი და მოკავშირენი, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, რომლის ილუსტრაციადაც შეიძლება მივიჩნიოთ კიევისა და მოსკოვის ურთიერთობათა გაუმჯობესება უშუალოდ მოსკოვის სამიტის წინ. სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად ხანგრძლივი აღმოჩნდება თაფლობის თვე, მაგრამ სამიტზე რომ უკრაინის დელეგაცია „განეიტრალებული“ იქნება, ეს ფაქტია. ვიცი, რომ იმანენტურად დაებადება „კვიმატი“ კითხვა მკითხველს: — რა, თავისკენ გადაიბირა მოსკოვმა ჩვენი ერთ-ერთი საიმედო და პერსპექტიული მოკავშირე? ჯერ ერთი, ნებისმიერი სახელმწიფო იმდენად არის სხვისი მოკავშირე, რამდენადაც ეს შეესაბამება მის ეროვნულ ინტერესებს და, მეორე (მთავარი), — პერსპექტივაში სწორედ უკრაინის ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება საქართველოსთან სამოკავშირეო ურთიერთობა. ასე რომ არ ყოფილიყო, თბილისსა და კიევს შორის არანაირ მეგობრობას არ ექნებოდა ადგილი.

ეჭვგარეშეა, რომ მოსკოვის სამიტის დღის წესრიგში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და აქტუალური იქნება აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ მოვლენათა განხილვა. საქართველოს ხელისუფლება არ მალავს, რომ პრინციპულად დასვამს ბოსნიური მოდელის საკითხს. არც რუსეთის დელეგაციის უარყოფითი პოზიცია იქნება მოულოდნელი. ასეთ სიტუაციაში კი გადამწყვეტი როლი ენიჭება თანამეგობრობის დანარჩენ წევრთა აზრს. როგორც ლოგიკური, ასევე, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ბოსნიური მოდელი უკვე კარგა ხანია, რაც იქცა ულტერნატივო ვარიანტად აფხაზეთის პრობლემისათვის. იგივე გაეროს წესდება ორ შემთხვევაში გულისხმობს იძულებითი მშვიდობის მექანიზმის ამუშავებას: 1. როდესაც საომარი მოქმედებანი მიმდინარეობს და მთავარი ამოცანაა მშვიდობის აღდგენა; 2. როდესაც კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის მოქმედებას შეიძლება ომის განახლება მოჰყვეს. განა გამორიცხულია საომარ მოქმედებათა განახლება სოხუმის უკომპრომისო პოზიციის შედეგად?

თებერვლის დამლევი და მარტის დასაწყისი საერთაშორისო ურთიერთობათა ქრონიკებში აღინიშნა სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ სამხედრო აქციის მზადებით. საბოლოო ჯამში მოიხსნა ძალის გამოყენების საკითხი; გაეროს გენერალური მდივნის ვიზიტით ბაღდადში, წერტილი დაესვა ინტენსიურ დიპლომატიურ ძალისხმევას და ბაღდადი გადაურჩა აშშ რაკეტებს. რა იყო ეს? დიპლომატიის გამარჯვება სამხედრო ძალაზე? არავითარ შემთხვევაში. მხოლოდ მის სანაპიროებთან თავმოყრილმა რეალურმა ძალამ აიძულა ერაყი წასულიყო დათმობაზე. „ძალით შემაგრებულ დიპლომატიას გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე მხოლოდ დიპლომატიას“ — აი, კოფი ანანის პირველი სიტყვები ერაყიდან დაბრუნების შემდეგ. დღეს უკვე აფორიზმად იქცა მისივე მეორე გამონათქვამი — „ძალის გამოყენების საუკეთესო საშუალება ძალის დემონსტრაციაა“. ასეც რომ არ იყოს, განა რუს პოლიტიკოსებს ჩვენგან ესწავლებათ, რომ ყველაზე საიმედო და ქმედით კავშირს, ჯერ კიდევ ძველი რომაელების დროიდან, საერთო მტრის ფაქტორი უდევს საფუძვლად? არის თუ არა დღეს სეპარატიზმი რუსეთისა და საქართველოსთვის საერთო მტერი? რა უფრო ემუქრება რუსეთის მთლიანობას, ნატო თუ სეპარატიზმი? მხოლოდ და იმდენად ჩეჩნეთს არ ვგულისხმობ; გადაავლეთ თვალი რუსეთის პრესას — დღითი დღე ძლიერდება რეგიონთა ცენტრიდანული ტენდენციები, ზოგიერთი რეგიონი უკვე დემონსტრაციულად აღარ ცნობს ცენტრის პრეროგატივას.

და ბოლოს, ხშირად გვესმის სხვადასხვა დონეზე საუბრისას — რა აზრი აქვს თანამეგობრობაში ჩვენს ყოფნას? ყველა რეალური და ჰიპოთეტური მომენტის გათვალისწინებით, მართლაც არ უნდა ველოდეთ დიდ სიკეთეს თანამეგობრობიდან, მაგრამ დემონსტრაციულად, პროტესტის ნიშნად მისი დატოვება სერიოზული შეცდომა იქნება, ისევე, როგორც სერიოზული შეცდომა იყო თავის დროზე ნოვო-ოგარიოვის პროცესში ჩაურთველობა; გორბაჩოვის უკანასკნელი, რამდენადაც ამბიციური, იმდენადვე უტოპიური ინიციატივის ფორმალური მიღება (იმთავითვე ცხადი იყო, რომ სერიოზულ შედეგებამდე საქმე ვერ მივიდოდა) ბევრ, მართლაც სერიოზული უსიამოვნებისაგან დაგვიცავდა. თუ რუსეთის დღევანდელი პოლიტიკის პირობებში თანამეგობრობა მართლაც განწირულია, რატომ მაინც და მაინც საქართველოს უნდა დაბრალდეს მისი აღსასრულის დაჩქარება? საქართველოს პრეზიდენტმა ერთხელ უკვე განაცხადა, რომ რუსეთის სამშვიდობო მისიის ეფექტიანობაზე არა მხოლოდ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაა დამოკიდებული, არამედ თვითონ თანამეგობრობის სიცოცხლისუნარიანობაც.

ამ მხრივ, სიმტკიცის კიდევ ერთ გამოცდად იქცევა მოსკოვის სამიტი; ძნელი სათქმელია, ინტეგრაციის რა სტადიაში იქნებოდა დღეს თანამეგობრობა, რომ არ არსებობდეს აფხაზეთის, ყარაბახის, დნესტრისპირეთის მოუწესრიგებელი კონფლიქტები, ან რუსეთის როლი და შესაძლებლობანი ისეთივე იყოს სამივე კონფლიქტში, როგორიცაა, ვთქვათ, ყირგიზეთის (ე. ი. არანაირი), მაგრამ რეალობა სულ სხვაგვარია და სწორედ ამიტომ უკავშირებს ასე ორგანულად საქართველოს პრეზიდენტი კონფლიქტების ნეიტრალიზებას თანამეგობრობის სიცოცხლისუნარიანობას. ამიტომაცაა სწორედ მოსკოვზე დამოკიდებული — თანამეგობრობის ეპიტაფიად იქცევა მოსკოვის სამიტი, თუ სიცოცხლის გამახანგრძლივებელ ელექსირად. ვნახოთ, დაველოდოთ.

**სოსო ცინცაძე,**
დიპლომატიური
აკადემიის რექტორი.

დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 60.

# ბერეზოვსკის საჩუქარი

— ბატონო რადუევ, ცნობილია თუ არა თქვენთვის რაიმე იმათ შესახებ, ვინც გროზნოში ინგლისელი ექიმები მოიტაცა?

– მასხადოვის ადგილზე, თუ ვერ შევძლებდი ჟურნალისტების, ექიმების ან ნებისმიერი უცხოელი მოქალაქის უსაფრთხოების უზრუნველყოფას იჩქერიის ტერიტორიაზე, გადავდგებოდი. დარწმუნებული ვარ, მთავრობამ იცის მომტაცებლების ვინაობა და მელსაც მე ვმეთაურობ, მიიღონ ზომები კანონის შესრულებისათვის.

— ამბობენ, რომ არმიის შესანახ ფულს ბნელი გზით შოულობთ...

– განათლებით ეკონომისტი ვარ, ჩემი ინტელექტუალური და გონებრივი მონაცემები საშუალებას მაძლევს საკმაოდ კარგი ფული ვიშოვო. გარდა ამისა, შემიძლია გიამბოთ ჩემს სახელობითს საერთაშორისო ფონდზე, რომელიც რეგისტრაციაში გაატარა ჩეჩნეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ. ფონდს შტაბ-ბინები აქვს სინგაპურში, მალაიზიაში, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ფონდის დამფუძნებელი თავად ვარ, მისი პრეზიდენტი კი გახლავთ ერთ-ერთი ისლამური სახელმწიფოს პრეზიდენტის მრჩეველი.

— მაინც რა თანხას შეიცავს ფონდის საწესდებო კაპიტალი?

– არ გეტყვით, მაგრამ წელს ვაპირებ „კავკასიის სახლის“ (პოლიტიკური ორგანიზაცია ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელშიც შედის რადუევი) დაფინანსებისათვის ჩემი ფონდიდან გამოვყო 5 მილიონი დოლარი.

ამით არ მთავრდება რადუევის ქველმოქმედება. იგი აპირებს, აგრეთვე, შექმნას ახალი ორგანიზაცია – მუსლიმანური სახლის კომიტეტი. საერთოდ კი, რადუევი ახლა ჩეჩნეთის ერთ-ერთ ყველაზე საქმიან და ენერგიულ ადამიანად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი ამთავრებს წიგნს პირველი მაისის „ბრძოლების“ შესახებ, რის შემდეგაც დაიწყებს ამავე თემაზე ფილმის გადაღებას. რადუევს შინ ბევრი საჩუქარი და რელიქვია აქვს. იგი უკვე აპირებს გახსნას „საერთაშორისო მუზეუმი“.

— ბატონო რადუევ, ამბობენ, რომ თქვენს მუზეუმში ბერეზოვსკის საჩუქარიც ინახება. როგორ მიიღეთ იგი?

– ეს განსაკუთრებული საჩუქარია. 1996 წლის დეკემბერში, როცა ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარზე ოცდაერთი პენზელი ომონელი დავატყვევე, ბორის ბერეზოვსკი ჩამოვიდა მათი გათავისუფლების თაობაზე მოსალაპარაკებლად. შეხვედრისას, პატივისცემის ნიშნად, ბერეზოვსკიმ მოიხსნა საათი და მაჩუქა. ეს არის „როლექსი“, რომელიც 100 ათასი დოლარი ღირს.

— ყველა თავდასხმის მიუხედავად, თქვენ ენერგიული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებთ.

– მე ვცხოვრობ წინასწარმეტყველ მუჰამედის ხადისით: „იცხოვრე ისე, თითქოს არასდროს არ მოკვდები, და ემზადე სიკვდილისათვის ისე, თითქოს ხვალ უნდა მოკვდე“. ახლა კი ვამზადებ ანდერძს, რომლის მიხედვით, თუ რაიმე მომივა, მთელი ჩემი ქონება უნდა დაურიგდეთ ჯიჰადის მეომრებს.



მერამდენედ გაულიმა ბედმა სალმან რადუევს — იგი უნდა დაეპატიმრებინათ და გაესამართლებინათ, მაგრამ პირიქით მოხდა, კვლავ გმირად აღიარეს. რაზმები არ დაუშლიათ, თვით რადუევი კი, უწინდებურად, ზის გროზნოში „გენერალ დუდაევის არმიის“ შტაბში.

...ხელს აფარებს მათ. ერთ მშვენიერ დღეს მოიპარავენ მთავრობის რომელიმე წევრის ნათესავებს, და ეს აიძულებს ბოლოს და ბოლოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, გაააქტიუროს თავისი მოქმედება.

როცა მასხადოვს შევხედი, მას გავაცანი ადამიანებით ბიზნესის მთელი სქემა, რომელიც ასეთია: ჯერ ერთი, ამ საქმიანობას ეწევიან კარგად ორგანიზებული და შეიარაღებული მობილური ჯგუფები. რესპუბლიკაში დაახლოებით რვა ასეთი ჯგუფია. მეორე, ჩავარდნის შემთხვევაში დაზღვეულები უნდა იყვნენ, ანუ ხელისუფლებაში ჰყავდეთ „ჭერი“.

სხვათა შორის, იარაღის შესახებ კანონი, რომელიც 25 თებერვალს შევიდა ძალაში, შეიძლება კრიმინოგენული ვითარების დამდებითი ფაქტორი გახდეს. თუმცა, მას თავისი მინუსებიც აქვს, რაზეც ჯერჯერობით არ მსურს ლაპარაკი. უკვე განკარგულება გავეცი, გენერალ დუდაევის არმიაში, რო...

**არბი არბიევი.**

გროზნო.

გაზ. „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ №46.




## ირემი მაღაზიას ეწვია...

ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ერთ-ერთი ქალაქის მაღაზიის პატრონებმა, დილის სამუშაოზე რომ მივიდნენ, საფოსტო და მისალოცი ბარათების დახლებს შორის აღმოაჩინეს დაუპატიჟებელი სტუმარი – თეთრკუდა ირემი. დაჭრილი „მძარცველი“ შეწუხებული და დაბნეული ჩანდა. კაცმა არ იცის რამ მოიყვანა ირემი მაღაზიაში, მაგრამ მისი სავაჭრო წერტილიდან გაყვანისათვის პატრონებს პოლიციის დახმარება დასჭირდათ. ირემმა, როგორც კი იგრძნო თავისუფლება, დასახიჩრებული ფეხების მიუხედავად, ელვის სისწრაფით შეაფარა თავი ბარდებს.

## გერმანიაში უმუშევრობა იზრდება

უმუშევრობის დონე ახალ ფედერალურ მხარეებში კვლავ ინტენსიურად იზრდება. ახლა პროცენტული თვალსაზრისით აქ მეტი უმუშევარია, ვიდრე ესპანეთში, სადაც დასაქმების დონე ყველაზე დაბალი იყო ევროპის კავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამავე დროს, აღმოსავლეთ გერმანიაში უმუშევართა არმიას ყოველდღე ახლები ემატებიან. გაზეთს მიაჩნია, რომ სიტუაციაში, როცა ყოველ მეხუთეს არა აქვს სამუშაო, სახელმწიფომ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს, თორემ უმუშევრები იფიქრებენ, რომ ისინი უბრალოდ ბედის ანაბარა მიატოვეს. აღმოსავლეთ გერმანიაში უმუშევრობის ზრდის ძირითადი მიზეზი, როგორც გაზეთი „ბერლინერ კურიერი“ წერს, არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან მიღებული სოციალური მემკვიდრეობა.

## უჩვეულო მოგზაურობა

ფრანგი პეგი ბუშე ნაყრდება უნიკალური ტრანსატლანტიკური მოგზაურობის დაწყებამდე. იგი აპირებს თავისი 8 მეტრი სიგრძის ნიჩბიანი ნავით გადაკვეთოს ატლანტის ოკეანე. პეგი ბუშე, რომელმაც სტარტი უნდა აიღოს კანადის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძულიდან, იმედოვნებს, რომ სამ თვეში მიაღწევს ანტილიის კუნძულებს. თუ ეს შეძლო, ოცდაოთხი წლის პეგი პირველი ქალი იქნება, რომელიც დაძლევს ამ რისკიან წამოწყებას.





## წინასაარჩევნო ტრიუკი ველოსიპედით

დანიის იუსტიციის მინისტრის პოსტი რომ დაიკავა, ფრანკ ენსენმა დაიფიცა, ქვეყანას დამნაშავეობისაგან გავწმენდო. იმის დასამტკიცებლად, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია, მინისტრი თავად შევიდა ჩრდილოეთ დანიის ერთ-ერთ ყურეში და თავისი ხელით გამოათრია ვილაცის მიერ მოპარული და წყალში გადაგდებული ველოსიპედი. რა თქმა უნდა, ეს უფრო პროპაგანდისტული აქცია იყო საპარლამენტო არჩევნების წინ, რომელიც დანიაში ოთხშაბათს გაიმართა. უშველის თუ არა ეს ტრიუკი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომლის წარმომადგენელიცაა ენსენი, კენჭისყრის შედეგები გვიჩვენებს.

## ამნისტია გამოაცხადეს

სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა კიმ დეჯუნმა გამოაცხადა მთელი რიგი პოლიტიკური პატიმრების ამნისტია, იუწყება ბრიტანეთის გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი. სეულის ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფის ინფორმაციით, 478 კაცი იხდის სასჯელს პოლიტიკური მრწამსისათვის. მათგან 23 კაცი უკვე 28 წელია საპყრობილეში იმყოფება. ამნისტია შეეხება პოლიტპატიმრებს, რომლებიც მონაწილეობდნენ გასული წლების სამხედრო რეჟიმის წინააღმდეგ ოპოზიციურ მოძრაობებში, აგრეთვე, იმათ, ვისაც ბრალად ედებოდა ჯაშუშობა ჩრდილოეთ კორეის სასარგებლოდ.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით.

გვერდის რედაქტორი
**არჩილ მანჯგალაძე.**

# სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი



დიდი’სარბიელიდან საზეიმო გაცილებისას. ლევან თედიაშვილი შვილებთან ერთად სპორტის სასახლეში. 1981 წ.

დაისტამბა

## წიგნი მომავალი თაობებისთვის

ეს წიგნი, რომელიც ამ დღეებში დაისტამბა და საზოგადოებას უკვე წარედგინა, უნიკალურია მრავალმხრივ. ჯერ ერთი, იგი ეძღვნება მართლაც უნიკალური ნიჭის მქონე, ბეჭდაუდებელ ფალავანს – ორგზის ოლიმპიური თამაშების, ხუთგზის მსოფლიოს, მრავალგზის ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ლევან თედიაშვილს. მეორეც, იგი შეადგინა ლევანის მოსიყვარულე მეუღლემ ქალბატონმა ნანა მჭედლიშვილმა, რომელიც წიგნის შესავალში აღნიშნავს: „მკითხველს ვთხოვ, სწორად შეაფასოს მეუღლის დაუძლეველი სურვილი, თავისებურად უკვდავეყო და შეძლებისდაგვარად ხელმისაწვდომი გაეხადა მომავალი თაობებისთვის დიდი ფალავანისა და მოქალაქის, სამშობლოს ერთგული შვილის სახელი და მიიღოს იგი, როგორც მოკრძალებული მადლობა საოცრად მძიმე, ნერვიულობითა და მოლოდინით აღსავსე, მაგრამ მაინც უსაზღვროდ ლამაზი, თბილი და მრავალმხრივი შთაბეჭდილებებით დატვირთული წლების გამო, რომლებიც ერთმანეთს გვაკავშირებს“.

და მესამეც: ამ წიგნში იხილავთ უკანასკნელი ოცწლეულის საუკეთესო სპორტული და არამარტო სპორტული ჟურნალისტების ყველგაუვლელ ნაკალმევს, ბუმბერაზი მოჭიდავის ლევან თედიაშვილის ცხოვრების ამსახველ ფოტოკადრებს. 70-იანი და 80-იანი წლების ქართული და რუსული სპორტული პრესიდან მოტანილი წერილები, რომელთა ავტორები „ცხელ კვალზე“ მისდევდნენ ჩემპიონთა ჩემპიონს, ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ლევანის, როგორც დიდი სპორტსმენის და მოქალაქის ბუნებაზე, ხასიათზე, ჩვევებზე. ერთი სიტყვით, თედიაშვილი წარმოგვიდგება ფართო პლანით.

ქართველ ფალავნებთან ერთ-ერთი მეგობრული შეხვედრის დროს ოლიმპიურმა ჩემპიონმა რომან რურუამ სპორტულ ჟურნალისტებს გვითხრა:




– თქვენ რომ არ იყოთ, ჩვენს შესახებ ვინ რას გაიგებდაო. ამაზე კი ვუპასუხე: თქვენ რომ არა, თქვენი გამარჯვებები რომ არა, სპორტული ჟურნალისტიკაც ვერ იარსებებდა-მეთქი.

ალბათ, ამ ურთიერთდამოკიდებულებაში ჩადებულია ცხოვრებისეული ფილოსოფია მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირისა, რაც, ალბათ, განაპირობებს ჩვენს სინამდვილეს.

ასევე ამ შემთხვევაშიც: დიდ მოჭიდავეს, მოქალაქეს და მეუღლეს მიეძღვნა წიგნი მეუღლისა, რომლის ფაქტობრივი შემდგენელია თვით ლევანი – ავტორი უდიდესი სპორტული მიღწევებისა, რომელმაც კაცურ-კაცობით, დიდი გულით, ვაჟკაცური შემართებით განვლო სახელოვანი და ტკივილიანი ცხოვრების ერთი მონაკვეთი – 15 მარტს ლევან თედიაშვილს დაბადებიდან 50 წელი უსრულდება.

ვულოცავთ!

**ანზორ ბასილაია.**

## ლეგენდარული ფალავანი

ბაღმაუბანი ქალაქ საგარეჯოს ის ნაწილია, ამაღლებულ გორაზე რომ პეტრე-პავლეს ციხე დგას, ქვემოთ ფერდობი აკრავს დასავლეთით და მჭიდროდ არის დასახლებული ხალხით, ქვითკირით ნაშენი სახლებითა და ბაღ-ვენახებით.

ზაფხულის არდადეგებისას ჩემი ბავშვობის რამდენიმე წელი სწორედ იქ გავატარე, სადაც დაიბადა მომავალი ლეგენდარული ფალავანი **ლევან თედიაშვილი** – ფალავანთა-ფალავანი.

ვინ იცის, რამდენჯერ მიჭიდავია თანატოლ ბიჭებთან ნახერხზე, კალოზე, მწვანე მდელოზე. მეხსიერება თუ არ მღალატობს, ამ პატარა ბიჭებს შორის ყველაზე ძლიერი და გამორჩეული თედიაანთ ლევანი იყო. დიახ, ის ლევან თედიაშვილი, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა და დღეს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ზეიმობს!

საგარეჯომ ბევრ ფალავანს დაულოცა გზა მსოფლიო თუ ყოფილ საბჭოთა საკავშირო არენაზე. არსენ მეკოკიშვილი, ანზორ ზურაბაული, სპარტაკ ქარსაულიძე, ბიჭიკო მარიდაშვილი, ვაჟა და როინ ქაიხოსროშვილები და სხვა. და მაინც ლევან თედიაშვილი რჩეულთა შორის რჩეული ფალავანია.

ორგზის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში, მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი, ევროპის, საბჭოთა კავშირის და საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ წევრი, საპატიო რკინიგზელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი, ბრწყინვალე ფალავანი და ჩინებული მსახიობი, მსოფლიოს მრავალი ქალაქის საპატიო მოქალაქე, კალიფორნიის (აშშ) საპატიო შერიფი, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი – აი, არასრული ნუსხა ლევან თედიაშვილის დამსახურებებისა. მოჭიდავემ და მწვრთნელმა იან დიპოვმა თავის წიგნში „საქართველოს ფალავნები“ [...]რაერთი თბილი სიტყვა უძღვნა სახელგანთქმულ [...]რთველ მოჭიდავეებს – არსენ მეკოკიშვილს, [...]ვი კარტოზიას, დავით ციმაკურიძეს, გიორგი [...]ირტლაძეს, ვახტანგ ბალავაძეს და სხვებს. გა[...]კუთრებით აღნიშნა ლევან თედიაშვილის ღვა[...]ი.

[...]78 წელს გამომცემლობა „ფიზკულტურა და სპო[...]“ მოსკოვში გამოსცა ფერადი ბუკლეტი სათაურით: „ოლიმპიური თამაშების გმირები, ლევან თედიაშვილი“ უამრავი ფოტოთი, სადაც ასახულია ლევანის განვლილი გზა ბავშვობიდან ოლიმპიურ კვარცხლბეკამდე.

1988 წელს იმავე გამომცემლობამ დასტამბა მოზრდილი წიგნი „ლოკომოტივის“ 50 წელი“, სადაც დაბეჭდილია ვლადიმერ გოლუბევის ვრცელი სტატიები რკინიგზელ სპორტსმენებზე – ლევან თედიაშვილზე, გენერალ გივი ყვარელაშვილზე და სხვებზე.

თედიაშვილი ყოველთვის ხიბლავდა მილიონობით მაყურებელს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თავისი ვირტუოზული ჭიდაობით და ტექნიკით. განსაკუთრებით დიდი ზეიმი იყო ჩვენთვის მისი გამოსვლა თბილისში, საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნეებზე.

15 მარტს ბატონ ლევანს 50 წელი შეუსრულდება. საინტერესო და ბედნიერი, მაგრამ ამავე დროს მძიმე წლები განვლო მან ბავშვობიდან დღემდე: ხალისიანი ბავშვობა და სკოლაში გატარებული დღეები. ჭიდაობა და ინტენსიური ვარჯიშები, სტუდენტური წლები (ფიზკულტურის ინსტიტუტი, უნივერსიტეტი), ჩემპიონობა, მილოცვები, ოჯახი, საყვარელი მეუღლე – ექიმი ნანა მჭედლიშვილი, ვაჟკაცი შვილები ბესიკი და ვახტანგი, აფხაზეთის ომი, სადაც ერთად იბრძოდნენ ბატონი ლევანი და მისი ვაჟი ვახტანგი, რომელიც მამის თვალწინ გმირულად დაიღუპა. ეს დღე ყველაზე ავადმოსაგონარ დღედ დარჩება ბატონ ლევანის ცხოვრებაში. „რას ვიზამთ, ღმერთმა მომცა, ღმერთმა წაიყვანა“, ასე იტყვის ბატონი ლევანი ერთ-ერთ ინტერვიუში.

ბესიკმა მსოფლიოში სახელგანთქმული კოლუმბიის (აშშ) უნივერსიტეტი დაამთავრა და თბილისში დაბრუნდა მშობლებთან.

საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის 1998 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით ლევან თედიაშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის და ჭიდაობის ქომაგთა სახელით ვულოცავთ ბატონ ლევანს დაბადებიდან 50 წლისთავს და სამშობლოს მაღალ ჯილდოს!

**ვაჟა ჭიაურელი,**

საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის პრესცენტრის თანამშრომელი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



ივან იარიგინი (მარცხნივ) და ლევან თედიაშვილი თბილისის საერთაშორისო ტურნირზე.



ჭაბუკი ფალავანი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# სტუმართა ზეობა

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის სტარტი სტუმართა უპირატესობით აღინიშნა – 4 მოგება, 3 ფრე და 1 წაგება – ასეთია მათი მონაგარი.

გაუწყებთ გუშინდელი მატჩების შედეგებს: თსუ – „კოლხეთი“ 0:2, „გურია“ – „მერანი“ 1:1, „გორდა“ – „დინამო“ 0:1, „სამგურალი“ – „დილა“ 0:0, „მორკინალი“ – „მარგვეთი“ 0:0, „მაღაროელი“ – „ოდიში“ 1:3, „სიონი“ – „ბათუმი“ 1:0.

მეჩვიდმეტე ტურში დიდ ინტერესს იწვევს ლიდერის – თბილისის „დინამოს“ გასვლითი მატჩი გორის „დილასთან“ (18 მარტი) და დედაქალაქის კლუბების – „მერანისა“ და „მორკინალის“ შეხვედრა (19 მარტი).

წყალბურთი

# „ლაგუნა-ვერე“ მეორეა

ბაქოში დამთავრდა აზერბაიჯანის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სასპორტო კლუბის ღია პირველობა, რომელშიც 1985-1986 წლებში დაბადებული ყმაწვილები მონაწილეობდნენ. შეჯიბრებაში გამოდიოდა ექვსი გუნდი, მათ შორის, თბილისის „ლაგუნა-ვერე“. საქართველოს წარგზავნილებმა სამი თამაში მოიგეს, თითო წააგეს და ფრედ დაამთავრეს. საბოლოოდ კი მეორე ადგილზე გავიდნენ.

1982 წელს დაბადებული ქართველი წყალბურთელები კი თურქეთის საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობდნენ სამი წლით უფროს კოლეგებთან.

მართალია, ჩვენმა ნაკრებმა ოთხი მატჩი წააგო და მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრა ფრედ – თურქეთის მეორე გუნდთან, მაგრამ ტურნირში მონაწილეობა მისთვის გენერალური რეპეტიცია გახლდათ რუსეთის ჭაბუკთა პირველობის წინ, რომელშიც ჩვენებურები 24 მარტიდან ჩაებმებიან. პირველობა ნიჟნი ნოვგოროდში გაიმართება.

საქ. ინფორმაცია.

კიკბოქსინგი

# რუსთავის გავლით – ბარსელონაში



ჩვენი ქვეყნის ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის (პრეზიდენტი – გოჩა ჯავახია) და მისი ქვემო ქართლის ფილიალის (გოჩა ფასიეშვილი) ინიციატივით რუსთავში მოეწყო კიკბოქსინგის ქართველ და აზერბაიჯანელ ოსტატთა საერთაშორისო შეხვედრა.

გუნდები ძირითადად ოფიციალური და საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონებითა და პრიზიორებით იყვნენ წარმოდგენილი. მასპინძელთა შემადგენლობაში აღიარებული კლუბის „ჯიქი-90“-ის წევრები ჭარბობდნენ.

აღსანიშნავია კარატისტთა საერთაშორისო ასპარეზობის გამარჯვებულის გიორგი ჩაკვეტაძის (54 კგ) წარმატებული დებიუტი პროფესიულ რინგზე. მან ძლიერი დარტყმებით სამჯერ გაგზავნა გამოცდილი მეტოქე ნოკდაუნში და შერკინება აშკარა უპირატესობით მოიგო.

ჩინურ ორთაბრძოლებში (ხანდა) ევროპის ჩემპიონისა და კიკბოქსინგში კონტინენტის პირველობის ვერცხლის პრიზიორის სახით არანაკლებ მრისხანე მოწინააღმდეგე ჰყავდა მსოფლიო ჩემპიონს კიკბოქსინგში გიგა კორძაძეს (63,5 კგ). დაძაბულ პაექრობაში ჩვენმა თანამემამულემ სწორი ტაქტიკა აირჩია და მრავალფეროვანი ილეთებით წარმატებას მიაღწია.

კარგად დაწყებული საქმე ღირსეულად განაგრძეს მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა ტაილანდურ კრივში როინ ფილაურმა, სოსო გორდეზიანმა, კახა ფრიდონაშვილმა და პაატა ბესელიამ. მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 6:2.

უფროსების გამოსვლას წინ უძღოდა ჭაბუკთა შეჯიბრება ეროვნული ფედერაციის ფილიალის წევრების მონაწილეობით. ვაჟკაცური ბრძოლით გულშემატკივართა მოწონება დაიმსახურეს თბილისელმა, რუსთაველმა (მწვრთნელები გოჩა ფასიეშვილი, ზურაბ ჩიტრიკაშვილი), ქარელელმა (არჩილ აბრამიშვილი) და ზესტაფონელმა (პაატა ხუსკივაძე) ნორჩმა სპორტსმენებმა.

ღონისძიებას ესწრებოდა ახლადშექმნილი სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მურთაზ მნათობიშვილი.

ჩვენთან საუბარში ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ჯავახიამ თანადგომისათვის მადლიერებით მოიხსენია სამშენებლო ფირმა „ლიბოს“ პრეზიდენტი იოსებ კირცხალია.

მარტის დამლევს საქართველოს ნაკრები ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში კიკბოქსინგის ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს.

გია პლატონიშვილი.

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად













**დღევანდელი ვარჯიშების კომპლექსი განკუთვნილია მათთვის, ვინც 40 წელს გადასცილდა.**

**თითოეული ვარჯიში სრულდება 2-3-გზის ათ-თორმეტჯერ. დასაწყისში, როგორც ყოველთვის, აუცილებელია მოთელვა.**



**პირველი ვარჯიში:** გაიდეთ შტანგა მხრებზე და ჩაბუქნეთ. ჩაჯდომისას ჩაისუნთქეთ, ადგომისას ამოისუნთქეთ.

**მეორე ვარჯიში:** ფეხები მხრების სიგანეზე, დაიდეთ შტანგა მკერდზე, ასწიეთ და ამოისუნთქეთ, დაუშვით, ჩაისუნთქეთ.

**მესამე ვარჯიში:** ფეხები მხრების სიგანეზე, შტანგა დაიდეთ მხრებზე. აჭიმეთ და ამოისუნთქეთ, დაუშვით მხრებზე და ჩაისუნთქეთ.

**მეოთხე ვარჯიში:** საშუალო ტაცით მიიზიდეთ შტანგა მკერდამდე და ნიკაპამდე, ამოისუნთქეთ, დაუშვით, ჩაისუნთქეთ.

**მეხუთე ვარჯიში:** იატაკიდან მკლავებზე აწევა, ხელები – ბეჭებზე განივრად, აწევისას ამოისუნთქეთ.

**მეექვსე ვარჯიში** (სრულდება ხელის ორთავა კუნთისთვის): ასწიეთ შტანგა მკერდამდე, ამოისუნთქეთ, დაუშვით, ჩაისუნთქეთ.

**მეშვიდე ვარჯიში:** სრულდება მუცლის კუნთებისთვის.

ბორის ბერეჟნოი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.










ყოველი მხრიდან

### სლავა მეტრეველს ეძღვნება

ფეხბურთის დიდოსტატის სლავა მეტრეველის თაყვანისმცემლები ერთხელ კიდევ გაიხსენებენ თავიანთ სასიქადულო ადამიანს 21 მარტს, როცა სოჭში გაიმართება მისდამი მიძღვნილი საქველმოქმედო ამხანაგური მატჩი – სოჭის „ჟემჩუჟინა“ და თბილისის „დინამო“. შეხვედრის მთელი შემოსავალი გადაეცემა მეტრეველების ოჯახს.

სლავა სოჭშია დაბადებული და ამ საინტერესო შეხვედრის იდეაც იქიდან წამოვიდა, თბილისელებმაც მხარი დაუჭირეს მას, თუმცა, ორი დღის შემდეგ საპასუხისმგებლო მატჩი აქვთ საქართველოს ჩემპიონატზე.

### ჯაშუშიც დასჭირდათ

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარიო ზაგალომ, როგორც იქნა, ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციას წაგლიჯა ფული ჯაშუშის შესანახად. დიახ, არის ასეთი თანამდებობა ნაკრებში და მისი მოვალეობაა, შეაგროვოს ცნობები ფეხბურთში მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე ბრაზილიის მოწინააღმდეგე გუნდების შესახებ.

ჯაშუშის თანამდებობაზე დაინიშნა ჟილმარ რაინალდო – მეკარე, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი (იგი მაშინ კლაუდიო ტაფარელის დუბლიორი იყო, მაგრამ არცერთ შეხვედრაში არ მიუღია მონაწილეობა).

### ქომაგები არ ცხრებიან

კლუბ „ოლიმპიკის“ ქომაგები, რომლებიც თავს „ჩრდილო მარსელის იანკებს“ უწოდებენ, იმუქრებიან, რომ ჩაშლიან საფრანგეთისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებების მატჩს, თუ ეროვნული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი ნოელ ლე გრე არ გადადგება. გულშემატკივარ-ექსტრემისტების აზრით, „ლე გრემ მთლად შეირცხვინა თავი ფეხბურთის ყველა მოყვარულის თვალში და თავისი არაკომპეტენტურობა დაამტკიცა. ჩვენ არ ვაიგივებთ საფრანგეთის ნაკრებსა და ამ ვაჟბატონს და მხარსაც დავუჭერთ ჩვენს გუნდს, სადაც ბევრი მარსელელია, მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ, გადავდგათ ასეთი ნაბიჯი“. „იანკებსა“ და ლე გრეს შორის კონფლიქტი სათავეს იღებს 1993 წლიდან, როცა „ოლიმპიკს“ საფრანგეთის ჩემპიონობა ჩამოართვეს.

ჩანართის რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

საქართველოს რესპუბლიკა
№61. კვირა, 15 მარტი, 1998 წელი.

მილოცვა

# ღირსეული მამულიშვილი

60 წელი შეუსრულდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს **თენგიზ ჩიკვაიძეს.**

ბატონმა თენგიზმა, როგორც ხალასი ნიჭით დაჯილდოებულმა, ერუდირებულმა და ღირსეულმა მამულიშვილმა დიდი და სახელოვანი გზა განვლო რიგითი ინჟინრიდან სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილის თანამდებობამდე, ხოლო 1996 წელს სათავეში ჩაუდგა ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგის აღორძინებას.

დიდია თენგიზ ჩიკვაიძის წვლილი ქვეყნის აგროსამრეწველო და სურსათის კომპლექსის ინდუსტრიალიზაციისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საქმეში. ათეული წლების განმავლობაში მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით მწყობრში ჩადგა თანამედროვე დონეზე აღჭურვილი მსხვილი მეფრინველეობის ფაბრიკები, მეცხოველეობის ობიექტები, სამეცნიერო დაწესებულებები, გადამმუშავებელი და კვების მრეწველობის ახალი საწარმოები, სამაცივრო და სასაწყობო მეურნეობები.

განსაკუთრებულია მისი ღვაწლი სოფლების განაშენიანებასა და კეთილმოწყობაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა და მწყობრში ჩადგა 100-მდე ახალი კეთილმოწყობილი სოფელი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის.

ბატონი თენგიზის მრავალწლიანი მდიდარი გამოცდილება, ერუდიცია და ახლებურად აზროვნება დიდად უწყობს ხელს ქვეყნის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგის აღორძინებას და კარგი ტრადიციების აღდგენას. უკანასკნელ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით მოკლე ვადაში დამუშავდა მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის კომპლექსური ღონისძიებები, დარგში დაიწყო რეფორმები, შეიქმნა საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, აგრეთვე, რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროგრამა და საინვესტიციო პირობების ჩამოყალიბება.

ბატონი თენგიზისათვის დამახასიათებელია შრომის დიდი სიყვარული, თავმდაბლობა, გულისხმიერება და ადამიანებთან უაღრესად თბილი, მეგობრული ურთიერთობების დამყარების უნარი.



ბატონი თენგიზის დამსახურება დიდად დააფასა ქვეყანამ, სხვადასხვა დროს დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით. მინიჭებული აქვს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის და საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდებები.

1998 წლის თებერვალში თენგიზ ჩიკვაიძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

სახელოვან მამულიშვილს ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში.

**ზაურ გომართელი,
ირაკლი დვალი.**

რეგიონი

# დამნაშავეები ამხილეს

სამცხე-ჯავახეთის მხარეში გრძელდება ბრძოლა კორუფციისა და სახელმწიფო ქონების დატაცების წინაალმდეგ.

სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტი გამოვლინდა ამას წინათ ახალქალაქში. ახალქალაქის საბაგირო გზების მოწყობილობების ქარხნიდან, რომელიც მრეწველობის სამინისტროს ექვემდებარება. წლეულს, იანვრის ბოლოს, ქარხნის დირექტორის ა. კტოიანისა და სხვადასხვა ცენტრალური უწყების ოფიციალურ პირთა ნებართვით და ხელშეწყობით ჩამოწერეს და საგრძნობლად დაბალ ფასად უცხოეთში გაყიდეს 2 ცალი სახარატო ჩარხი. ჩარხების გატანა-გაყიდვის ნებართვის კანონიერება სამხარეო ადმინისტრაციამ საეჭვოდ მიიჩნია და მისი მითითებით სამცხე-ჯავახეთის პოლიციის მთავარმა სამმართველომ დაიწყო ამ საქმის გამოძიება.

მოკვლეული მასალების საფუძველზე, სამხარეო პროკურატურამ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ახალქალაქის საბაგირო გზების მოწყობილობების ქარხნის დირექტორის კტოიანის მიმართ, რომელმაც გამოიყენა დაკავებული თანამდებობა, ანგარების მიზნით, ბოროტად, ჩარხების ჩამოწერითა და დაბალ ფასად გაყიდვით სახელმწიფოს განსაკუთრებით დიდი ოდენობის ზარალი მიაყენა.

გამოძიება გრძელდება.

**ვერიკო მოდებაძე**

ხსოვნა

# ელდარ კვასტიანი



1998 წლის 10 მარტს უეცრად გარდაიცვალა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქნახშირის ტყიბულის დასავლეთი შახტის დირექტორი, საქართველოს ნახშირის მრეწველობის ღვაწლმოსილი სამთოელი **ელდარ გიორგის ძე კვასტიანი.**

ელდარ კვასტიანი დაიბადა 1948 წელს ლენტეხის რაიონის სოფელ ჩიხარეშში. 1967 წელს საშუალო სკოლისა და 1968 წელს ტყიბულის №19 პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, შრომითი საქმიანობა დაიწყო ყოფილი ლენინის სახელობის შახტში მუშად. 1969 წელს ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1977 წელს. 1970-1972 წლებში იყო სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

1977-1985 წლებში მუშაობდა ტყიბულის ყოფილი ლენინის სახელობის შახტში: მიწისქვეშა ცვლის ოსტატად, საექსპლუატაციო უბნის უფროსად, მთავარი ინჟინრის მოადგილედ. 1985-1986 წლებში კი ამ შახტის მთავარი ინჟინერია, ხოლო 1986-1987 წლებში — ტყიბულის დასავლეთი შახტის მთავარი ინჟინერი.

ელდარ კვასტიანი 1987 წლიდან გარდაცვალებამდე შეუცვლელად იყო სახაზინო საწარმო „ტყიბულნახშირის“ დასავლეთი შახტის დირექტორი. მისი ხანგრძლივი საწარმოო საქმიანობა დაკავშირებული იყო მიწისქვეშა სამთო სამუშაოებთან, შახტებში ნახშირის მოპოვების რთულ სპეციფიკასთან. იგი ხელმძღვანელობის ყველა დონეზე მუდამ პირნათლად ართმევდა თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისპეტაკით, მეშახტეთა და მეგობართა შორის, თავისი ენერგიული საქმიანობით და შესაშური ვაჟკაცური შემართებით მისაბაძ მაგალითს აძლევდა ყველას.

ელდარ კვასტიანის ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომა შეფასებული იყო მეშახტეთა დიდების მე-2 და მე-3 ხარისხის ნიშნებით.

ელდარ კვასტიანის, როგორც შესანიშნავი ადამიანის და კეთილი მეგობრის ხსოვნა მუდამ დარჩება მეშახტეთა და მთლიანად ქ. ტყიბულის მშრომელთა მეხსიერებაში.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო;
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქნახშირი;
ქ. ტყიბულის მერია;
საქართველოს ნახშირის მრეწველობის პროფესიული კავშირი;
სახაზინო საწარმო „ტყიბულნახშირი“;
ტყიბულის დასავლეთი შახტის მშრომელები;
სახაზინო საწარმო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველო.



მეუღლე თამარ ჯიქია, შვილები ნანა, ვაჟა, თინა, აკაკი, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დები თამარ ქაჯაია, ლიზა სართანია ოჯახებით, დისწულები, ძმისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აკაკი ილარიონის ძე ცხაკაია

პანაშვიდი 15, 16, III, 5 ს. გამოსვენება 17 III, 3 ს. ვაჟა-ფშაველას პრ. 27 I სადარბაზო, ბინა 4.

---

თორნიკე, ირაკლი, დარეჯან, რუსუდან აფაქიძეები ოჯახებით იუწყებიან ბიძის

ვარლამ ონისიმეს ძე კვარაცხელიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

ცეკავშირის გამგეობა, სარევიზიო კომისია და ცენტრალური აპარატის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს შუქრი ცხვედიანს დედის

ივლითი ცხვედიანის

გარდაცვალების გამო.

კროსვორდი



შვეულად: 1. სიტყვის ან გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება. 2. უიარაღოდ თავდაცვის იაპონური სისტემა. 3. პირი, რომელიც ცხოვრობს გასესხებული კაპიტალის სარგებლით, ფასიანი ქაღალდების შემოსავლით. 4. ბეჭდვითი ან ზეპირი მოღვაწეობა, რომლის მიზანია მოახდინოს ზეგავლენა ფართო მასების შეგნებასა და განწყობილებაზე. 6. მოჭადრაკეთა — დიდოსტატებისა და ოსტატების — თამაშის ძალის შეფასების ინდივიდუალური კოეფიციენტების სისტემა. 8. თეატრისა და კინოს რუსი მსახიობი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „12 სკამი“. 9. ნადირობის მფარველი ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 13. ქალაქი უნგრეთში, სადაც დაიდგა შ. რუსთაველის ძეგლი. 14. ძველი თბილისის კომუნარების ბაღის პროექტის ავტორი, 1859 წ. 18. ამერიკელი მხატვარი და გამომგონებელი ტელეგრაფის დარგში. 19. თხრობითი გაულექსავი ლიტერატურა. 21. ფრანგი კინომსახიობი ქალი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ქალი და მამაკაცი“. 24. დაბალი ბუფეტი სასადილო ჭურჭლისათვის. 25. ალლო. 26. ვისიმე ან რისამე წინააღმდეგ მოქმედება. 27. პატარა ლირიკული არია ოპერაში. 30. რისამე ხარისხი, დონე. 32. რეჟისორ ე. კლიმოვის ფილმი. 33. ხვეული ხელმოწერა.

თარაზულად: 5. კარგი მორბენალი, წვივმაგარი ცხენი. 7. საქონლის, განძეულობისა და მისთ. შეზიდვის ან გაზიდვის აკრძალვა რომელიმე სახელმწიფოში. 10. სვეტი. 11. წარწერა კინოფილმის კადრზე. 12. უნგრეთში ძველი ქართული ანბანის გამომჭრელი. 15. მაღალხარისხოვანი წმინდა ქეჩა, რომლისგანაც ქუდებს ამზადებენ. 16. ტბა აშშ-ისა და კანადის ტერიტორიაზე. 17. აფრიკის სახელმწიფო. 20. რაიმე სპორტული ვარჯიშის ცალკე მოძრაობა. 22. ფერებით, საღებავებით ხატვის ხელოვნება. 23. ფრანგი კინომსახიობი. 24. უტყეო, სწორი ბალახით დაფარული სივრცე მშრალი ჰავის ზონაში. 28. რაიმე გზის, დისტანციის ცალკეული მონაკვეთი, უბანი. 29. ერთგვარი თამაში ხის ჩაქუჩებით და ხის ბურთებით. 31. ქალაქი და ნავსადგური ბულგარეთში. 34. მეცნიერება ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ. 35. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქი. 36. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა. 37. ხმელთაშუა ზღვის კუნძული. 38. გამანადგურებელი ქარიშხალი.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა**

### 1 მარტს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. გარანტი. 8. ტემპერა. 9. მეტრიკა. 11. ლიბრეტო. 12. ივო. 13. სია. 14. დიუმა. 16 „ალეკო“. 17. იჯარა. 20. სტილი. 21. აქცენტი. 22. ფისტულა. 24. არარატი. 28. ბროლი, 29. ისარი. 32. კასიო. 33. ასული. 34. აბე. 35. ფრე. 37. რეკორდი. 38. ატამანი. 39. სტალონე. 40. ოპერეტა.

შვეულად: 1. დანელია. 2. ბაირამი. 3. სტეკი. 4. ფერია. 5. „სპირალი“. 6. კრიტიკა. 10. „ავარა“. 11. ლისტი. 15. აჯა. 16. ალი. 18. აქტიორი. 19. ვენტურა. 20. სტილეტი. 23. სურო. 24. ალიბი. 25. ისარა. 26. ერა. 27. პატენტი. 28. ბინოკლი. 30. ისამარი. 31. პლანეტა. 34. ადანი. 36. ეტაპი.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი:
380096, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.